პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიური მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 7 ივნისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 128 (2474)

დღიური

— საბერძნეთის მტრული ზრახვები თურქეთის მიმართ.
— ხელშეკრულება ფორდსა და საკავშირო ს. მ. უ. ს. შორის.
— დამთავრდა პარიზის ფოსტალიონების საპროტესტო გაფიცვა.
— 27 მაისისათვის ინგლისში იყო 1.182.300 უმუშევარი.
— 8 ივნისს ოდესაში მოფრინდება იტალიის საჰაერო ესკადრილია.
— საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის ახალი სამდივნო.
— გამომგონებლობის ხელის შემწყობ კომიტეტის მოწოდება.

დღეს, ივნისის 7-ს, მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქ. სსრ ეკონომიური საბჭოს მორიგი სხდომა
სხდომის დასაწყისი დღის 12 საათზე
საქ. სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭ. საქმ. მმართველი პრ. მეგრელიშვილი

საჭიროა საფუძვლიანი მომზადება

(საწარმოების 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის გამო)

მუშათა კლასზე კაპიტალის შეტევის ერთ-ერთ უმთავრეს გამოხატულებას სამუშაო დღის გადიდება წარმოადგენს. რვა საათის სამუშაო დღე, სადაც ის შემოღებული იყო პროლეტარიატის მედგარ და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, დღეს ფორმალურად თუ ფაქტიურად გაუქმებულია. რევოლიუციონური მოძრაობის ზეგავლენით დადებული ვაშინგტონის კონვენცია რვა საათის სამუშაო დღის შესახებ ქაღალდზე დარჩა, თუმცა იგი თავისთავად იმდენ და ისეთ გამონაკლისებს უშვებს რვა საათის სამუშაო დღის დაკანონების მხრით, რომ მისი ღირებულება ძალზე შეზღუდულია. ამ ცოტა ხნის წინად კერძოდ ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა ხსენებულ კონვენციის რატიფიკაციაზე. ბევრგან 10, 12 და მეტი საათის სამუშაო დღეა შემოღებული.

როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშების ასეთ უსაზღვრო ექსპლოატაციას აქვს ადგილი (ჩვენ აქ არ შევჩერდებით კაპიტალის შეტევის სხვა მომენტებზე) საბჭოთა კავშირში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადავდივართ. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საკავშირო ცაკის სესიის მიერ გამოქვეყნებული მანიფესტი ამ მხრივ უაღრესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია. მისი ძირითადი მუხლი, როგორც ვიცით, შვიდი საათის სამუშაო დღის დაკანონებაში მდგომარეობს.

საბჭოთა ხელისუფლების ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული მტრები, რომელნიც ჩვენს შესახებ ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ და, სხვათა შორის, გაიძახიან, თითქო მუშათა კლასი ჩვენში დაბეჩავებული იყოს,—ეს მტრები შეეცადენ იმ დიდი შთაბეჭდილების გაბათილებას, რომელიც მანიფესტმა მსოფლიო პროლეტარიატზე მოახდინა: ეს მხოლოდ საგიტაციო მიზნით გამოსროლილი ცარიელი დაპირებააო. მაგრამ სინამდვილე ამ ცილისწამებას შეუბრალებლად ამსხვრევს. მთელი რიგი საწარმონი საბჭოთა კავშირში, მათ შორის ჩვენშიაც, უკვე გადასული არიან შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ამჟამად გაცხოველებული და ფართო მუშაობა წარმოებს ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად და მანიფესტის დირექტივის სრული, საყოველთაო გატარებისათვის. ეს საუკეთესო პასუხია აღნიშნულ ცილისწამებაზე, და ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივი გამოფხიზლებისა და გარევოლიუციონერებისათვის.

იყვნენ ისეთი ელემენტებიც, უკვე საბჭოთა კავშირში და საბჭოთა წრეში, რომელთაც ნაადრევად მიაჩნდათ სამუშაო დღის შემცირება, რომელნიც ეჭვს გამოსთქვამდნენ, რომ იგი ზიანს მიაყენებს ჩვენს სამრეწველო განვითარებას და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებასო. ეს ეჭვი სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. 7 საათის სამუშაო დღის გატარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამას ოდნავადაც არ გამოუწვევია შრომის ნაყოფიერების დაკლება, მრეწველობის პროდუქციის მასის შემცირება, ნაწარმოების ხარისხის გაუარესება. პირიქით: ბევრგან საწინააღმდეგო შედეგები მივიღეთ, საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ იმასთან შედარებით, რაც იყო ამ რეფორმის შემოღებამდე.

თავისთავად ცხადია, ეს აიხსნება ერთი მხრით მუშების შეგნებული დამოკიდებულებით ხელისუფლების ამ უდიდეს ღონისძიებისადმი, მეორე მხრით საფუძვლიანი წინასწარი მომზადებით. ახლა, როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარეობს მუშაობა შვიდი საათის სამუშაო დღეზე ახალ საწარმოების გადასაყვანად, რაც მოკლე დროშია განზრახული. საჭიროა ამ დარგში უკვე არსებულ გამოცდილების გამოყენება და ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც სავსებით უზრუნველყოფენ შვიდი საათის სამუშაო დღის უმტკივნეულოდ შემოღებას. ისე რომ წარმოება ამით არამც თუ არ უნდა დაზარალდეს, არამედ შესაძლებელი უნდა გახდეს მისი გაუმჯობესება და წინ წაწევა.

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება საწარმოთა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული გვქონდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში. ამ დადგენილებაში ჩამოთვლილია მთელი რიგი ღონისძიებები, როგორიცაა საწარმოთა ნედლეულით მომარაგება, მათი ტექნიკურად უკეთ მოწყობა, რაციონალიზატორულ ზომების მიღება, კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება, 7 საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილ საწარმოთა მუშების ყოფა-ცხოვრების და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და სხვ. ყველა ამ ღონისძიებათა მიზანია სამრეწველო გეგმების სრული განხორციელება, მუშაობის გაჯანსაღება და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება.

სათანადო სამეურნეო ორგანოებმა, მუშათა მასების და მათი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, უნდა გაშალონ მუშაობა ამ დადგენილების მტკიცედ გატარებისათვის. და ეჭვს გარეშეა, რომ საჭირო მომზადებით შვიდი საათის სამუშაოზე საწარმოთა გადაყვანა უდიდეს შედეგებს გამოიღებს როგორც მრეწველობის განვითარების, ისე მუშათა შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მხრივ. ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩვენ უკვე საკმაოდ მოგვეპოვება.

სიძნელენი გადავლახოთ მასების დახმარებით

ჩვენი პარტია მტკიცედ და გაბედულად ანხორციელებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის კურსს.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების ხუთწლიანი გეგმა მოითხოვს პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანოს, მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნას. ამ გარდაქმნას მტკიცედ უნდა ახასიათებდეს მუშებისა და მშრომელთა მასების აქტივობის უფართოესი მობილიზაცია თვითკრიტიკის გაშლა- გაფართოებისათვის, მედგარი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, მუშათა კლასის მხრით გლეხობის ხელმძღვანელობის გაძლიერება მათ შორის საწარმოო კავშირის შემდგომი განმტკიცების ხაზით და გადამწყვეტი შეტევა ნეპმანისა და კულაკის წინააღმდეგ.

როგორ ვანხორციელებთ პარტიის გადაწყვეტილებებს, როგორ ვახდენთ ჩვენი მუშაობის გარდაქმნას?

მრეწველობის მუშაობის პირველმა ნახევარ წელიწადმა დაგვანახვა, რომ რიცხვობრივი მიღწევები გვაქვს, მაგრამ თვისებრივი მაჩვენებლების მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის.

თუმცა პარტია მუშათა კლასის ძალების შეუწყვეტელ მობილიზაციას ახდენს თვითღირებულების საკითხის გარშემო, თუმცა მედგარი კამპანია მიმდინარეობს წარმოების ხარჯების შესამცირებლად,—ჩვენ მაინც ჯერ კიდევ სათანადო შედეგებს ვერ ვხედავთ.

რა მიზეზით აიხსნება ეს, სად არის ის ბერკეტი, რომლის დახმარებითაც საჭირო შედეგებს მივაღწევთ სამეურნეო წლის დარჩენილი თვეების განმავლობაში?

ცხადზე უცხადესია, რომ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის იმას, თუ რანაირი იქნება „სამკუთხედის" მუშაობა თვით წარმოებაში.

ამ მხრით ბევრგან საქმე ჯერ კიდევ სრულებითაც დამაკმაყოფილებელი არ არის. სამკუთხედებმა ჯერ ვერ იგრძნეს იმ ამოცანათა მთელი სერიოზულობა და პასუხისმგებლობა, რომლებსაც მათ მომენტის მოთხოვნილება აკისრებს. განსაკუთრებით სუსტად მუშაობდნენ და მუშაობენ ჩვენი პროფესიონალური ორგანიზაციები, ისინი მიუტევებელ დაყოვნებას და უძრაობას, ზოგჯერ კი აშკარა ჩამორჩენილობას, მასებისაგან მოწყვეტას და მაჩანჩალობას იჩენენ.

ამ სენებისაგან ჯერ კიდევ თავი ვერ დაუღწევიათ ზოგიერთ პროფკავშირულ „ზედაფენებს". ჩამოშორდნენ რა მუშათა კლასის მოწინავე ნაწილებს, ისინი არ გრძნობენ, რომ პასუხისმგებელნი არიან იმისათვის, თუ რა მდგომარეობაშია საწარმო, და არა თუ წინ არ გაუძღვენ ისინი საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც ასე ჩქარი ტემპით ვითარდება, არამედ კუდში მისდევენ მასებს, მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფებს.

დღემდე კიდევ პროფკავშირთა ორგანოები ადგილებზე თავის ნამდვილ საქმედ არა სთვლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, განზე დგანან მისგან და საწარმოო ცხოვრებისაგან. მათ ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა, შრომის ნაყოფიერების აწევისა და თვითღირებულების შემცირების ამოცანები მხოლოდ სამეურნეო მუშაკთა საქმეს წარმოადგენს და მხოლოდ ამ უკანასკნელებმა უნდა აგონ მისთვის პასუხი. ამიტომ ისინი „გულკეთილად" უთმობენ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობას შტაბებს, კომისიებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ეგრე სწრაფად იზრდებიან, მხოლოდ თავიდან აიშორონ და სხვას დააკისრონ პასუხისმგებლობა.

ცალკე პროფკავშირული ბიუროკრატები ჯერ კიდევ სცდილობენ განსაზღვრონ პროფკავშირთა მუშაობა ცეხური მნიშვნელობის ვიწრო ჩარჩოებით. მთელი მათი მუშაობა მხოლოდ სამეურნეო მუშაკთა წინააღმდეგ შეტევაში გამოიხატება კოლექტიურ ხელშეკრულებათა კომპანიის დროს, ისინი სცდილობენ ჩაატარონ ხელშეკრულებები „ბევრის აღებისა და მცირე მუშაობის" პრინციპზე. იმის მაგივრად, რომ თვითონვე ებრძოლონ ტაციობასა და სხვა ანტიპროლეტარულ განწყობილებათ, ისინი თვით განიცდიან მათ გავლენას და მასებს მაჩანჩალურ სულისკვეთებას უნერგავენ.

პროფკავშირთა მე-8 სრულიად საკავშირო ყრილობამ სავსებით მოიწონა პარტიის გენერალური ხაზი, რომელიც მიმართულია ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციისაკენ, მოუწოდა მთელს პროფკავშირულ მასას იქითკენ, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადალახვაში, და პოლიტიკური ხასიათის დირექტივები მისცა თავის ქვედა ორგანოებს. ეს ყრილობა წარმოადგენს გამოსავალ პუნქტს იმ აზრით, რომ დაიწყო გადაჭრილი გარდატეხა პროფკავშირთა მუშაობაში, აწეული იქნა მათი პასუხისმგებლობა სამეურნეო მშენებლობისათვის და ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის განხორციელებისათვის.

პროფკავშირთა მეორე პლენუმმა, რომელიც ეს-ეს არის დასრულდა, განიხილა იმ მუშაობის შედეგები, რომელიც პროფკავშირებმა შეასრულეს ნახევარი წლის განმავლობაში სამეურნეო მშენებლობის დარგში, კონკრეტულ ფორმებში ჩამოაყალიბა პროფკავშირთა შემდგომი ამოცანები ამ დარგში და, ყრილობის მითითებათა განსავითარებლად, შემდგომი პრაქტიკული დირექტივები მისცა პროფკავშირულ მასებს და თავის ქვედა რგოლებს.

პლენუმმა ერთსულოვნად აღნიშნა როგორც მთლიანად ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის, ისე მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში ამ გეგმის განხორციელების უეჭველი რეალობა.

აქედან გამომდინარეობს უპირველესი ამოცანა ყველა პროფკავშირის სამეურნეო მუშაკებთან ერთად, რომ მათ პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სასწრაფოდ შესცვალონ თავისი მუშაობის უდიდესი ნაწილი დაუქვემდებარონ წარმოების ინტერესებს, მრეწველობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესებას. უნდა ანგარიში მივსცეთ ჩვენს თავს, რომ მხოლოდ მედგარი ღონისძიებებით, მხოლოდ მთელი მასის აქტივიზაციით და მთელი სამეურნეო კოლექტივის ჩაბმით შესძლებს სოციალისტური შეჯიბრება გამოასწოროს საწარმოო წლის უახლოესი თვეების განმავლობაში მუშაობის სუსტი მხარეები.

ჩვენ უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ ამას და მივაღწევთ კიდევაც, რითაც არ უნდა დაგვიჯდეს.

მასების აქტივობის ზრდის საქმეში დამახასიათებელ ფაქტს წარმოადგენს ტულის მელითონეთა გამოსვლა „პრავდა"-ში პრაქტიკული წინადადებებით საკავშირო პროფკავშირთა პლენუმის სახელზე. ეს წინადადებები შეეხებოდნენ პროფკავშირების მხრით სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. პლენუმმა მოუსმინა ტულის მუშათა წარმომადგენელს, განიხილა ხსენებული წინადადებები და მათი ნაწილი საფუძვლად დაუდო თავის დირექტივებს შეჯიბრების ხელმძღვანელობის შესახებ. ეს დირექტივები, რომლებიც შეიცავენ ქვედა მასების დიდ გამოცდილებას, აუცილებლად ჯეროვანი ყურადღებით იქნება მიღებული ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციაში და სახელმძღვანელოდ გახდება სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების საქმეში.

პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა დაადგნენ სოციალისტური შეჯიბრების იდეის ცხოვრებაში მეტად აქტიურად გატარების გზას. მათ მტკიცედ უნდა ჩასჭიდონ ხელი ხსენებული შეჯიბრების ხელმძღვანელობის ბერკეტებს, აწარმოონ რაც შეიძლება ენერგიული ბრძოლა შრომის დისციპლინის ასაწევად, მასებთან ერთად გადაჭრით უნდა გამოვიდნენ საწარმოში ჩამორჩენილი ელემენტების ტაციობის სულისკვეთების წინააღმდეგ, იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების მაღალი ტემპისათვის და სამეურნეო გეგმის მთლიანად განხორციელებისათვის.

„სამკუთხედი" უნდა დაემყაროს ფართო მასებზე და საბჭოთა ხელისუფლების იმ ერთგულ სპეციალისტებს, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ მშენებლობაში, მან თანდათანობით, მაგრამ გადაჭრით უნდა აამაღლოს ჩამორჩენილი მუშები საუკეთესო პროლეტარების შეგნების დონემდე, გასწიოს მუშაობა საერთო ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, აწარმოოს მედგარი ბრძოლა შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად ქვედა პრესაში, კრებებზე და კლუბებში მოახდინოს საუკეთესო დამკვრელი ბრიგადების და მათი ცალკე წარმომადგენლების მუშაობის ფართო პოპულარიზაცია, ხელი შეუწყოს მუშათა ინიციატივისა და საფაბრიკო-საქარხნო მასის გამომგონებლობის დაჯილდოვებას. ამ გზით „სამკუთხედმა" თამამად უნდა წაიყვანოს მასები სოციალისტური შეჯიბრებისაკენ. საქმის წარმატება სავსებით დამოკიდებული იქნება ჩვენი ღონისძიებებისაგან და იმაზე, თუ რამდენად შევსძლებთ ჩვენ დავეუფლოთ საზოგადოებრივი მოძრაობას და გამოვიყენოთ იგი ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის განხორციელებისათვის.

„პრავდა", 6 ივნისი.

ინგლისის პრესა მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ

მაკდონალდის მთავრობის ბედი დამოკიდებული იქნება ლიბერალების პოზიციაზე

„დეილი ჰერალდი" აღნიშნავს: „მუშათა პარტიის მთავრობა შეეცდება განამტკიცოს ერთა ლიგა, ამერიკასთან თანამშრომლობა და აღადგინოს ურთიერთობა საბჭ. კავშირთან"

მეთამბაქოეთა საყოველთაო გაფიცვა ბულგარეთში.—პოლიცია საბაბს ეძებს გაფიცვის ჩასახშობად

მაკდონალდის კაბინეტის მოსალოდნელი შემადგენლობა

ლონდონი, 5 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის მიერ სრულიად სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ახალი მთავრობის შემადგენლობაში შეიქნება სპეციალური სამინისტრო ტომასის მეთაურობით, უმუშევრობის საკითხის გადასაწყვეტად. მაკდონალდი პრემიერად იქნება, სნოუდენი—ფინანსთა მინისტრად. ჯერ გადაუჭრელია გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის დაჭერის საკითხი. რადგან ტომასი სხვა თანამდებობას დაიჭერს, ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ გარეშე საქმეთა მინისტრად იქნება გენდერსონი, მოადგილედ— პონსონბი. მაგრამ ვინაიდან არსებობს სურვილი, რომ გენდერსონი მუშათა პარტიის მდივნად დარჩეს, ამიტომ შესაძლებელია, გარეშე საქმეთა მინისტრად სხვა პირი დაინიშნოს. ჰფიქრობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას შესთავაზებენ კლაინსს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობას — გრინვუდს და მიწადმოქმედებისა — ბეკსტონს.

დღევანდელი დღის სენსაციას წარმოადგენს ლიბერალური პარტიის წევრის ცნობილი იურისტის ჯოუიტის გადაწყვეტილება, რომ გადავიდეს მუშათა პარტიაში. ჰფიქრობენ, რომ მაკდონალდი მას შესთავაზებს გენერალური პროკურორის თანამდებობას. მუშათა პარტიის ზოგიერთ მოღვაწეთა აზრით, ჯოუიტის გადაწყვეტილებას შეუძლია პანიკა შეჰქმნას ლიბერალების რიგებში (ადს).

პრესა ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 5 ივნისი. გაზეთები ეხებიან დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. ზოგი გაზეთი აფრთხილებს მაკდონალდს, სხვები სცდილობენ გამოარკვიონ — რა პოზიციას დაადგებიან ლიბერალები და მოხერხდება თუ არა შეთანხმება ლიბერალებსა და მუშათა პარტიას შორის.

„ტაიმს"-ი სწერს:

„ვერავინ ვერ შეუშლის ლიბერალებს ხელს— ხანმოკლე ან ხანგრძლივი გახადონ მუშათა პარტიის მთავრობის არსებობა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებს მაკდონალდის აზრს — რაც შეიძლება დიდი ხნით გადაიდოს ახალი არჩევნები".

„დეილი ტელეგრაფ"-ი იხსენებს ლოიდ ჯორჯის განცხადებას ლიბერალური პარტიის ყრილობაზე იარმუტში იმის შესახებ, რომ ლიბერალებს არა სურთ 1924 წლის იმ სიტუაციის განმეორება, რომელიც ესოდენ კატასტროფიული გამოდგა".

„ამავე დროს, — სწერს გაზეთი, — იმ სიტუაციის განმეორების შესაძლებლობა უკვე ახლოვდება ლოიდ ჯორჯისათვის. ყველაფერი მოწმობს, რომ სოციალისტები გაიმეორებენ იმას, რაც ჩაიდინეს წინად, მაგრამ ამას გაიმეორებენ უფრო გაბედულად და უფრო აგრესიულად".

დასასრულ გაზეთი ლიბერალებს ეკითხება: დაუჭერენ თუ არა ისინი მხარს მუშათა პარტიის მთავრობას მემაღაროეთათვის სამუშაო დღის შემცირების საკითხში.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ის პოლიტიკური მიმომხილველი სწერს:

„მაკდონალდს უფლება არა აქვს იქონიოს იმედი იმის, რომ ლიბერალები მას მხარს დაუჭერენ, თუ იგი არ უზრუნველჰყოფს საარჩევნო კანონის რეფორმას. იგი სცდება, თუ ფიქრობს, რომ ლიბერალურ ღონისძიებათა გამოყენებით აიძულებს ლიბერალებს მიემხრონ მას".

ფინანსიური პრესის ტონი სავსებით დამშვიდებულია. იგი აღნიშნავს, რომ ბანკებს არ აშინებთ მუშათა პარტიის მთავრობის გამარჯვება. საერთო აზრით, თუ მაკდონალდი მოისურვებს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც საფრთხეს განუმზადებს ინგლისის ფინანსების სიმტკიცეს, — მაგალითად, ზეგადასახადის შემოღებას, — მაშინ ლიბერალები და კონსერვატორები საერთო ძალღონით ხელს შეუშლიან მას (ადს).

„დეილი მეილ"-ი მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 6 VI. მუშათა პარტის ორგანო „დეილი ჰერალდ"-ი, ეხება რა პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის მთავრობის პოლიტიკა შეეცდება განამტკიცოს ერთა ლიგა, დაამყაროს თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან და აღადგინოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

„ამნისტია" ბულგარეთში

არა ამნისტია, არამედ მანევრი

ვენა, 5 ივნისი. ბულგარეთის მუშათა პარტიის ორგანოს „რაბოტნიჩესკო დელო"-ს აზრით, მთავრობის კანონპროექტი ამნისტიის შესახებ არაჩვეულებრივი მატყუარობაა. განზრახული ამნისტია აუქმებს მხოლოდ ფულად ჯარიმას, რომელიც გადაუწყვეტს პოლიტიკურ პატიმრებს და უმნიშვნელოდ აფართოებს უკანასკნელ ამნისტიას. მაგალითად, ხასკოვის (თამბაქოს მრეწველობის ცენტრია) საპატიმროში ჩამწყვდეულ 42 პატიმართა შორის ამნისტია არავის ეხება, სოფიის ცენტრალურ საპატიმროში დატუსაღებულ 142 კაციდან ამნისტია ვრცელდება დაახლოვებით 10 პატიმარზე. გაზეთი მოუწოდებს მშრომელებს — იბრძოლონ პოლიტიკურ პატიმართა საყოველთაო ამნისტიისათვის, სახელმწიფოს დაცვის კანონის გაუქმებისათვის, კომპარტიისა და კომკავშირის ლეგალიზაციისათვის და მუშურ-გლეხური მთავრობისათვის. (ადს).

ამნისტია ყოფ. მეფისა და ბურჟუაზიულ მოღვაწეებისათვის

ვენა, 5 ივნისი. ბულგარეთის ოპოზიციონური პრესა ადასტურებს, რომ ბულგარეთში გამოცხადებულმა ამნისტიამ პირველ რიგში ბულგარეთში დაბრუნების საშუალება უნდა მისცეს ძველი ბურჟუაზიული რეჟიმების მოღვაწეებს, რომელთა სახითაც ლიაპჩევს სურს მოიპოვოს ახალი დასაყრდენი ცანკოვის ჯგუფის წინააღმდეგ. ამ მხრივ ოპოზიციონური პრესა ამნისტიას პოლიტიკურ მანევრად სთვლის.

გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთა იყენებს კამპანიას იმის სასარგებლოდ, რომ ამნისტია გავრცელდეს გლეხთა კავშირის იმ მოღვაწეებზე, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ 1923 წლის აჯანყებაში. მუშათა პარტია მოითხოვს საყოველთაო ამნისტიას.

სოფიიდან მიღებული ცნობებით, ბულგარეთის ყოფილი მეფე ფერდინანდი შუამდგომლობს, რომ მას მიეცეს ბულგარეთში დაბრუნების ნება.

ბულგარეთის მთავრობა დასთანხმდა ამ შუამდგომლობის განხილვაზე (ადს).

მეთამბაქოეთა გაფიცვა ბულგარეთში

ვენა, 5 ივნისი. ბულგარეთის თამბაქოს ფაბრიკების ადმინისტრაციამ უარი განაცხადა გაფიცულებთან მოლაპარაკების დაწყებაზე. უარს ასაბუთებენ იმით, რომ ვითომ გაფიცვა პოლიტიკური ხასიათისაა. გაფიცულნი გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. სოციალ - დემოკრატები ურჩევენ გაფიცულებს —„არ გაჰყვენ ბოლშევიკურ ლოზუნგებს".

გაფიცვის კომიტეტმა ბულგარეთის მშრომელთ მიმართა მოწოდებით— გაუწიონ გაფიცულებს მატერიალური და მორალური დახმარება, შექმნან ამ მიზნით ქალაქებსა და სოფლებში დამხმარე კომიტეტები.

მუშათა პარტიის დეპუტატმა ვალაჯიევმა პარლამენტში პროტესტი განაცხადა გაფიცვაში პოლიციის ჩარევისა და იმ დახმარების წინააღმდეგ, რომელსაც პოლიცია ფაბრიკების ადმინისტრაციას უწევს.

პრემიერმა ლიაპჩევმა საპასუხო სიტყვაში გაილაშქრა მუშათა პარტიის, კომუნისტების და დამოუკიდებელი პროფკავშირების წინააღმდეგ, რომელთაც, მისი სიტყვით, უნდათ გამოიყენონ მუშების უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ. ლიაპჩევმა განაცხადა, რომ მთავრობა ენერგიულად შეებრძოლება ამასო (ადს).

ვენა, 5 ივნისი. გრძელდება საყოველთაო გაფიცვა მთელი ბულგარეთის 25.000 მეთამბაქოვე მუშისა, რომლებიც ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც გაფიცულ მეთამბაქოვეებს უნდა მიეცეთ სახელმწიფო დახმარება 150.000 მანეთის რაოდენობით, მუშათა პარტიამ კანონპროექტის ტექსტი ხელმოსაწერად გადასცა ყველა ოპოზიციონურ პარტიას. ცენტრისა და გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთის დეპუტატებმა კანონპროექტს ხელი მოაწერეს, სოციალ - დემოკრატებმა და გლეხთა კავშირის მემარჯვენე ფრთამ მხარი არ დაუჭირეს მუშათა პარტიის კანონპროექტს (ადს).

საბაბს ეძებენ მეთამბაქოეთა გაფიცვის ჩასაქრობად

ვენა, 5 ივნისი. სოფიიდან იუწყებიან, ვითომ პოლიციამ ბულგარეთში აღმოაჩინა ახალი არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

მუშათა პარტიისა და დამოუკიდებელი პროფკავშირების წრეებში აღნიშნავენ, რომ პოლიცია კომუნისტური ორგანიზაციის „აღმოჩენით" ცდილობს საბაბი გაიჩინოს 25.000 მეთამბაქოვის გაფიცვის ჩასაქრობად. (ადს).

ხელშეკრულება ფორდსა და საკავშირო ს. მ. უ. ს. შორის

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. იმ ხელშეკრულების განმარტებისათვის, რომელიც 31 მაისს დაიდო დირბორნში ერთის მხრით ფორდსა და მეორეს მხრით საკავშირო ს. მ. უ. საბჭოთა და „ამტორგ"-ს შორის, ს. მ. უ. საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ მეჟლაუკმა და „ამტორგ"-ის თავმჯდომარემ ბრონმა გამოაქვეყნეს შემდეგი განცხადება:

„ხელშეკრულების დადება გამომდინარეობს საბჭოთა მთავრობის იმ გადაწყვეტილებიდან, რომ აგებულ იქნას საავტომობილო ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად დაამზადებს 100.000 სამგზავრო და საბარგო ავტომობილს ფორდის მოდელების მიხედვით. ფორდის კომპანია წარმოადგენს გეგმებს და სხვა ტექნიკურ ცნობებს, რომლებიც საჭიროა ქარხნის მოწყობისა და უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის. ყოველგვარი გაუმჯობესება, რომელიც შემოღებული იქნება ფორდის ავტომობილებისათვის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, შემოღებულ უნდა იქნას აგრეთვე საბჭოთა კავშირში დამზადებული ავტომობილებისათვის.

მეორეს მხრით, ის გაუმჯობესება, რომელსაც წარმოების ნახაზებისა და მეთოდების საქმეში მიაღწევენ საბჭოთა ინჟინრები, უნდა გადაეცეს ფორდს ტექნიკური თანამშრომლობის ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრულია 9 წლით. ქარხნის აგება დამთავრდება 4 წლის განმავლობაში. ფორდის ინჟინრები ჩამოვლენ საბჭოთა კავშირში.

ქარხნის აგებამდე საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ავტომობილებით დაკმაყოფილებულ უნდა იქნას იმპორტის საშუალებით. მახლობელი 4 წლის განმავლობაში ფორდის კომპანიისაგან შეძენილი იქნება 30 მილიონი დოლარის ავტომობილები და ავტომობილების ნაწილები. მოლაპარაკების დროს ფორდი ყოველგვარად სცდილობდა ანგარიში გაეწია ჩვენთვის. იგი დიდ ინტერესს იჩენდა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისადმი; განსაკუთრებით აინტერესებდა მას ავტომობილის გამოყენება მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობაში (ადს).

მოსკოვი, 6 ივნისი. ავტოტრესტმა ამერიკელ ინჟინერ ბრანდტთან დასდო ხელშეკრულება ტექნიკური დახმარებისა და მოსკოვის საავტომობილო ქარხნის „ამო"-ს რეორგანიზაციის შესახებ.

მოსამზადებელი მუშაობა ამ ქარხნის რეორგანიზაციისთვის მოხდება დეტროიტში (ამერიკის საავტომობილო მრეწველობის ცენტრი). მუშაობა მოსკოვში „ამო"-ს ქარხანაში მოხდება 12 ამერიკელი ინჟინერის დახმარებით. რეორგანიზაციის შემდეგ „ამო"-ს ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 25.000 საბარგო ავტომობილს (ადს).

საბერძნეთის მტრული ზრახვები თურქეთის მიმართ

სტამბოლი, 5 ივნისი. საბერძნეთის ფლოტის გაძლიერებასთან დაკავშირებით თურქეთში ისევ აღიძრა ეგეის ზღვაზე ჰეგემონიის საკითხი.

თურქეთის პრესა ააშკარავებს საბერძნეთის აგრესიულ ზრახვებს.

„ხონ-ხაატ"-ი სწერს:

„საბერძნეთი მტრულად არის განწყობილი თურქეთის მიმართ და უცდის მოხერხებულ შემთხვევას, რომ თავს დაესხას მას. მას შემდეგ, რაც მოხდა სრუტეების დემილიტარიზაცია, საბერძნეთმა მიიღო სტამბოლში შემოჭრის საშუალება. საბერძნეთის თავდასხმისაგან თავდაცვას თურქეთი შესძლებს მხოლოდ ძლიერი ფლოტით". (ადს).

უმუშევართა რიცხვი ინგლისში

ლონდონი, 6 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„უმუშევართა რიცხვი (რომლებიც აღრიცხულნი არიან და დახმარებას იღებენ) 27 მაისისათვის შეადგენდა 1.132.000 კაცს, რაიც 27.638 კაცით აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც იყო 13 მაისისათვის". (ადს).

პარიზის ფოსტალიონების გაფიცვა

პარიზი, 5 ივნისი. მოხდა პარიზის ფოსტის მოსამსახურეთა მიტინგი, რომელზედაც აღნიშნულ იქნა, რომ ერთი დღის საპროტესტო გაფიცვა წარმატებით ჩატარდა. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია მუშაობის განახლების შესახებ. რეზოლიუციას საჭიროდ მიაჩნია მზადება მთავრობის რეპრესიებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და შემდგომი ბრძოლა სამუშაო ხელფასის მინიმუმის შემოღებისათვის.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა უნიტარულმა ფედერაციამ გამოაქვეყნა მიმართვა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ საპროტესტო გაფიცვის წარმატებით ჩატარება წარმოადგენს სერიოზულ გაფრთხილებას ადმინისტრაციისა და მთავრობის მიმართ.

ფოსტის მოსამსახურეთა რეფორმისტულმა ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც გადაჭრით იმიჯნება გაფიცვის მონაწილეებისაგან და სასტიკად გმობს იმ რეფორმისტებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მოქმედების კომიტეტებში.

კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე" ეხება ფოსტის მოსამსახურეთა მოძრაობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანასკნელმა გაფიცვებმა საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფო მოსამსახურეთა საერთო ბრძოლას ნაციონალიზაციისა და დაბალი სამუშაო ხელფასის წინააღმდეგ.

საპროტესტო გაფიცვასთან დაკავშირებით, დეპუტატებმა კაშენმა, ლაფონმა და მალენგრომმა პარლამენტში შეიტანეს შეკითხვები. ფოსტის მინისტრის ამხანაგის ბარტელის წინადადებით, შეკითხვების განხილვა გადაიდო.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 315 ხმით 183-ის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბარტელმა განაცხადა — პარლამენტში დებატების დაწყებამდე აღარ მიმართოს რეპრესიებს გაფიცვის მონაწილეთა მიმართ.

გაფიცვა შეწყდა

პარიზი, 5 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პარიზის ფოსტალიონებმა დაადგინეს — განაახლონ მუშაობა 5 ივნისს დილით. პარიზის ფოსტალიონების 24 საათის დემონსტრატიული გაფიცვა გამოცხადდა 4 ივნისს დილით. (ადს).

მღელვარება გლეხებს შორის

ვენა, 5 ივნისი. „უნივერსულ"-ის ცნობით, სემიგრადიის მთიანი ოლქის გლეხობის შორის დიდი მღელვარებაა.

პოპეშტის თემში ღარიბმა გლეხებმა ორჯერ დაესხნენ თავს კულაკებს, რომელთა შორის ბევრი დაჭრილია ცულებით.

მღელვარებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ბოლოგის რაიონში. გლეხებმა გარეკეს მიწის ხელახალი განაწილებისათვის ჩამოსული კომისია. კომისიის ზოგიერთი წევრი დაჭრილია. მიწის განაწილების ნიადაგზე მღელვარებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ზოგიერთ სხვა ადგილებში, სადაც მოხდა შეტაკება ჟანდარმებსა და გლეხებს შორის. ხელისუფლებამ ოლქში გაგზავნა ჟანდარმერიის გაძლიერებული რაზმები. (ადს).

გერმანიის მენშევიკების ახალი სისაძაგლე

ბერლინი, 5 ივნისი. 3 ივნისს განახლდა გერმანიის რეიხსტაგის მუშაობა. სხდომის დასაწყისში კომუნისტმა დეპუტატმა მასლოვსკიმ მოითხოვა — დაუყოვნებლივ განხილულ იქნას კომუნისტების წინადადება „როტე ფანე"-ს აკრძალვის გაუქმების შესახებ. კომუნისტების წინადადება დიდის უმრავლესობით უარყოფილ იქნა.

შემდეგ რეიხსტაგი შეუდგა ბავშვთა უფასო კვების ბიუჯეტის მუხლების კითხვას. კომფრაქციამ შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ბიუჯეტში შეტანილ იქნას 5 მილიონი ბავშვთა უფასო კვებისათვის. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს მხოლოდ კომუნისტებმა, აგრეთვე სამმა ნაციონალ - სოციალისტმა. წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცა 262 დეპუტატმა — სოციალ-დემოკრატებიდან დაწყებული ნაციონალისტებამდე. კენჭის ყრის შედეგს კომუნისტები შეხვდნენ ძახილით: „სამარცხვინოა". უნდა გავიხსენოთ, რომ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი პოპულარული ლოზუნგი იყო: „ჯავშნოსნების ნაცვლად — ბავშვთა კვება". (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის პრესა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 6 ივნისი. ფინანსიური წრეების ლიბერალური ორგანო „ფინანშიელ ნიუზ"-ი, სასურველად აღიარებს რა ინგლის-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, აცხადებს, რომ ამას წინ უნდა უსწრებდეს „დამაკმაყოფილებელი შეთანხმება" მეფის ვალების საკითხში. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ი კი პირიქით, სცნობს, რომ მაკდონალდმა დაუყოვნებლივ უნდა განაახლოს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სწერს: „საბჭოთა დიპლომატებს ინგლისში უნდა შევხვდეთ ისეთივე პირობებში, როგორშიაც ყოველი სხვა ქვეყნის დიპლომატებს ვხვდებით. არ არსებობს არავითარი საფუძველი რაიმე პოლიტიკური ვაჭრობისათვის. საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემის საკითხი განხილულ უნდა იქნას არსებითად მხოლოდ და მხოლოდ კომერციული და არა პოლიტიკური თვალსაზრისით. სავსებით ზედმეტია რაიმე ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც საბჭოთა კავშირს დააკისრებს არ ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში". „მანჩესტერ გარდიენ"-ი აცხადებს, რომ ახალმა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გაიწვიოს საოკუპაციო ჯარები რეინის ოლქიდან. „ეს იქნება, — სწერს გაზეთი, — საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის დასაწყისი და წამაქეზებელი სიგნალი მშვიდობიანობის მეგობართათვის „ყველა ქვეყანაში". შემდეგ გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ერთად-ერთი „ანტანტა", რომელიც წარმოსადგენია ინგლისისათვის, არის ინგლის-ამერიკის ანტანტა. (ადს).

ლვოვის ამბების გამო

ვარშავა, 6 ივნისი. გუშინ ლვოვში გაიმართა რამდენიმე დიდი დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვდა იმ სტუდენტთა განთავისუფლებას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ებრაელების დარბევაში. ბუნდის გაზეთ „ფოლკს ცეიტუნგ"-ის ცნობით, დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები წარწერებით, რომლებიც მოუწოდებდნენ არა მარტო ებრაელებისა, არამედ უკრაინელების ცემა - ტყეპისაკენ „პოლონეთის გადარჩენის მიზნით". დემონსტრანტები ორგანიზაციულად ორი საათის განმავლობაში დათარეშობდნენ ქალაქში და გზა-გზა ებრაელებსა სცემდნენ. ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორებმა მიმართეს დამცველთა კავშირს — მიიღოს თავის თავზე დაპატიმრებულ დამრბევთა დაცვა. დამცველთა კავშირმა უარჰყო ეს წინადადება. ებრაელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ლვოვში პატრულები იცავენ. მოსახლეობას ეშინია დარბევის განმეორების. „გაზეტა ვარშავსკა" სავსებით მხარს უჭერს დამრბევთ. პილსუდსკის მომხრეები ცდილობენ გამოიყენონ ლვოვის ამბებს, ისინი აცხადებენ, რომ ეს ამბები გამოიწვიეს მტრებმა, რომელთაც სურთ სახელი გაუტეხონ პოლონეთს საზღვარ გარედ. (ადს).

შეთანხმება ექსპერტთა კომისიაში

პარიზი, 5 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ექსპერტთა კომისიის პლენარულ სხდომაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ყველა არსებითი საკითხის შესახებ. კომისიის საერთო მოხსენების ხელის მოწერა მოხდება ამ კვირის დამლევამდე". (ადს).

ინგლისის პრესა საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 5 ივნისი. „დეილი ტელეგრაფ"-ი ბეჭდავს თავისი კორესპონდენტის დეპეშას ტოკიოდან საბჭოთა საკონსულოზე (ხარბინში) ჩინეთის პოლიციის თავდასხმის შესახებ.

კორესპონდენტი, ემყარება რა იაპონურ გაზეთს „ასახი"-ს, იუწყება: „თავდასხმა უშედეგო აღმოჩნდა. არ აღმოუჩენიათ არავითარი დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდეს ბრალდების წაყენება".

მხარს უჭერენ გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის თეზისებს

ბერლინი, 5 ივნისი. ზღვის ნაპირის ოლქის კომუნისტური ორგანიზაციის საოლქო გამგეობის პლენარულმა სხდომამ რეზოლიუცია გამოიტანა მაისის ამბებისა და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ერთხმად მიღებული რეზოლიუცია მთლიანად უერთდება პარტიის ც. კ.-ის თეზისებს და პარტიის ბერლინის კომიტეტის რეზოლიუციებს მაისის ამბების შესახებ. (ადს).

ვეზუვის ახალი ამოხეთქვა

რომი, 5 ივნისი. ნეაპოლიდან იუწყებიან ვეზუვის ახალი მძლავრი ამოხეთქვის შესახებ. ასეთი მძლავრი ამოხეთქვა უკანასკნელ წლებში არ მომხდარა. (ადს).

გლეხ-მწერლების დაპირება

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო კომპარტიის ცაკმა გლეხ-მწერალთა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობისაგან მიიღო მისალმება, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ საჯაროთ ვდებთ პირობას, რომ გლეხური მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე მტკიცედ დავიცავთ კომპარტიის პოზიციებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში". (ადს).

ალმა-ატა— ყაზახსტანის დედაქალაქი

ალმა-ატა, 6 ივნისი. მოვიდა ყაზახსტანის მთავრობა, რომელსაც მშრომელები ზეიმით შეხვდნენ. ამ მომენტიდან ალმა-ატა ყაზახსტანის დედა-ქალაქად გახდა. (ადს).

შრომის საერთაშორისო ბიუროს სესია

ბერლინი, 5 ივნისი. 3 ივნისს ჟენევაში დაიწყო ერთა ლიგასთან არსებული საერთაშორისო შრომის ბიუროს სესია. განხილულ იქნა საკითხი კოლონიალურ ქვეყნებში იძულებითი მუშაობის მოსპობის შესახებ. ბევრი დელეგატი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე პირობებში განუხორციელებელია იძულებითი მუშაობის სავსებით გაუქმებაო. კამათის დროს ადგილი ჰქონდა ინციდენტს გერმანიის პროფკავშირთა დელეგატ ფურტვენგლერსა და ბიუროს დირექტორის ალბერტ ტომას შორის. როდესაც ფურტვენგლერი თავის სიტყვაში შეეხო იმ უკანონო მეთოდებს, რომლებსაც მიმართავენ კოლონიალური ადმინისტრაცია და მეწარმეები, ტომამ მოსთხოვა სიტყვის შეწყვეტა, რადგან ბიუროს სხდომაზე შეიძლება მხოლოდ იძულებითი მუშაობის შესახებ ოფიციალური მოხსენების განხილვაო.

ბელგიელმა დელეგატმა მერტენსმა მუშათა ჯგუფის სახელით პროტესტი განაცხადა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. ფურტვენგლერმა თავმჯდომარის ზეგავლენით შესწყვიტა თავისი სიტყვა.

შემდგომი დებატების დროს ინგლისისა და ესპანეთის მთავრობების წარმომადგენლებმა განაცხადეს — კოლონიებში იძულებითი მუშაობის გაუქმება შეუძლებელიაო. (ადს).

შეტაკება აჯანყებულებსა და იტალიის ჯარს შორის

ვენა, 5 ივნისი. რომიდან მიღებული ცნობებით, წინააღმდეგ ოფიციალური განცხადებებისა, თითქოს ტრიპოლიტანიაში „სრული სიწყნარეა", იქ მოხდა რამდენიმე სერიოზული შეტაკება ამბოხებულებსა და იტალიის ჯარს შორის. ამბოხებულთ მოუკლეს რამდენიმე ასი კაცი, დაიჭრა კიდევ მეტი. იტალიელებმა ხელში ჩაიგდეს ათასზე მეტი აქლემი და 6.000 ცხვარი. იტალიელების მხრივ მოკლული და დაჭრილია 24 კაცი. (ადს).

ფაშისტური დიქტატურის წინ შვეციაში

სტოკჰოლმი, 5 ივნისი. გაზეთები ეხებიან მთავრობის ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ მთავრობის შემადგენლობა უცვლელად დარჩება. კონსერვატორთა გაზეთების გარდა, ყველა სხვა გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პარლამენტარიზმის პრინციპებს. კომუნისტური ორგანო „ფოლკეტს დაგბლად პოლიტიკენ"-ი ამბობს, რომ მთავრობა ადგება დიქტატურის მეთოდების გზას. გაზეთი აღნიშნავს, რომ კონსერვატორთა პარტიამ ეს ნაბიჯი გადასდგა სოციალ-დემოკრატების ჩუმი თანხმობით; მათ სურდათ კონსერვატორთა მთავრობის კვლავ არსებობა და ამიტომ ორპირ თამაშს ეწეოდნენ. დამახასიათებელია, რომ თუმცა სოციალ-დემოკრატებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც ომს უცხადებს მთავრობას, მაგრამ ოფიციალური სოციალ - დემოკრატიული ორგანოს „სოციალ-დემოკრატენ"-ის მოწინავე წერილში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მათ განზრახული ჰქონდათ — მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი შეეტანათ, თუმცა სესიის დამთავრებამდე კიდევ ხუთი დღე დარჩა. (ადს).

გემო-კვების მუშაკთა დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. 2 ივნისს ნიუ-იორკში გაიმართა დემონსტრაცია გემო-კვების 10.000 მუშაკისა, რომლებიც ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. დააპატიმრეს 44 დემონსტრანტი. რადგან ნიუ-იორკის პოლიციას, გემო-კვების მუშაკთა დემონსტრაციის გამო, უწესოებისა ეშინოდა, ამიტომ მან რამდენიმე ათასი პოლიციელის მობილიზაცია მოახდინა, ქუჩებში ჯავშნოსნები დადიოდნენ, ბევრი სახლის სახურავებზე ტყვია-მფრქვევები იყო დადგმული. (ადს).

აგვისტოს ამბების მონაწილეთა დასჯა

რიგა, 5 ივნისი. ვინდავის სასამართლომ გაარჩია წარსული წლის აგვისტოს ამბების მონაწილეთა საქმე. გამოტანილი განაჩენი არაჩვეულებრივად მკაცრია: ბრალდებულთ მიესაჯათ კატორღა ორი წლიდან შვიდ წლამდე.

შენიშვნა: გასული წლის აგვისტოში, მემარცხენე პროფკავშირების დაშლის გამო, მოხდა გაფიცვები და დემონსტრაციები. დემონსტრაციების დროს დაპატიმრებულნი პასუხისგებაში მისცეს. (ადს).

ჩინეთში

ფინ-იუი-სიანის და ნანკინის ჯარების შეტაკება

შანხაი, 5 ივნისი. როგორც ინგლისური რეაქციონური გაზეთი „შანხაი ნორდ ჩაინა დეილი ნიუს"-ი იუწყება, ფინ-იუი-სიანისა და ნანკინის მთავრობის ჯარებს შორის მოხდა ბრძოლა, რომლის დროსაც ნანკინის ჯარის ზოგიერთი ნაწილები დამარცხდნენ.

მეორე ვერსიით, ფინ-იუი-სიანის ჯარმა ხენანის მთავარ ქალაქში კაიფინში ააფეთქა არსენალი და დასავლეთისკენ დაიხია.

ეს ხმები ჯერჯერობით არავის დაუდასტურებია (ადს).

გუანსიელების დამარცხება

შანხაი, 5 ივნისი. როგორც იაპონიის დეპეშათა სააგენტო ტოხო იუწყება, გუანდუნ-გუანსიის ფრონტზე უკანასკნელ ბრძოლებში გუანსიელებმა იმდენად სერიოზული დამარცხება განიცადეს, რომ მათ აღარ ძალუძთ ბრძოლის განგრძობა.

პეშკე კავშირიდან გამორიცხეს

ბერლინი, 5 ივნისი. გერმანიის მელითონეთა კავშირის მემარცხენე ოპოზიციის პოპულარული ბელადი პეშკე რეფორმისტებმა გამორიცხეს კავშირიდან, რომლის წევრადაც იგი 21 წლის განმავლობაში იყო. გამორიცხვის საბუთად გამოიყენეს პეშკეს დადებითი პასუხი შემდეგ კითხვაზე: იწონებს თუ არა ის კომუნისტების პოზიციას საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არჩევნებისა და ეკონომიური ბრძოლის საკითხებში. (ადს).

ცემის სისტემა რუმინეთის არმიაში

ვენა, 5 ივნისი. სოციალ-დემოკრატების დეპუტატმა როზნოვანმა შეკითხვა შეიტანა პალატაში რუმინეთის არმიის ჯარისკაცთა ცემის შესახებ. როზნოვანმა აღნიშნა, რომ ახლად წვეულთა ცემას ხშირად მოსდევს მათი თვითმკვლელობა.

მსგავსი შეკითხვა შეიტანა სენატში სენატორმა შებეშმა. შებეშის საპასუხოდ სამხედრო მინისტრი იძულებული იყო აღეარებინა, რომ ცემის სისტემა არმიაში ჯერ კიდევ მოსპობილი არ არის, თუმცა, მისი სიტყვით, მან კატეგორიულად აკრძალა ფიზიკური სასჯელი. (ადს).

სხვადასხვა

— **უკმაყოფილება ტარიფების გადიდებით.** მთელ შეერთებულ შტატებში უკმაყოფილონი არიან იმით, რომ წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი საბაჟო ტარიფების გადიდების შესახებ. ჰუვერი ემხრობა საბაჟო ტარიფების „ზომიერად გადასინჯვას", რადგან მას ეშინია კონტრზომების უცხოეთის სახელმწიფოთა მხრივ. (ადს).

— **ხულიგან სტუდენტთა გაფიცვა.** ლვოვის სტუდენტობამ გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცულები მოითხოვენ დარბევის დროს დაპატიმრებული 30 ხულიგან სტუდენტის განთავისუფლებას. (ადს).

— **შოფერების გაფიცვა სტამბოლში დამთავრდა.** ტარიფის შემცირება ძალაში დარჩა. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგლეხო პრესის ამოცანები

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან გამართულმა ცენტრალური საგლეხო გაზეთების რედაქტორთა თათბირმა საგლეხო პრესის ამოცანების შესახებ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„მასიურმა საგლეხო პრესამ, მცირე გამონაკლისის გარდა („ბედნოტა“, „მოსკოვსკაია დერევნია“ და ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთები), ჯერ საკმაოდ მკაფიო და ხელმძღვანელი პოზიცია ვერ დაიჭირა სოციალისტური შეჯიბრების განვითარების საქმეში სოფლად. სოციალისტური შეჯიბრების გაშუქება და მისი სოფლად გატარება უახლოეს პერიოდში უნდა გადაიქცეს საგლეხო გაზეთების მასიური მუშაობის მთავარ ამოცანად.

საგლეხო გაზეთებმა უშუალოდ უნდა მოაწყონ შეჯიბრება და შექმნან საქმის უფრო მიზანშეწონილი ორგანიზაციის ნიმუში. შეჯიბრების უდიდესი ეფექტის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ გაზეთებმა თავიანთ ფურცლებზე ჩაატარონ ერთი სახის ერთეულების საჩვენებელი შეჯიბრება (საბჭოთა მეურნეობისა — საბჭოთა მეურნეობასთან, კოლექტიური მეურნეობისა — კოლექტიურ მეურნეობასთან, სოფლისა — სოფელთან, რაიონისა — რაიონთან).

მიზანშეწონილი იქნება, რომ შეჯიბრებაში ჩაბმული ერთეულების მასშტაბი ვოლოსტით (თემით), ან რაიონით განისაზღვროს, ყოველ შემთხვევაში იგი „ოკრუგს“ არ უნდა აღემატებოდეს, რათა შეჯიბრება არ გადაიქცეს ცარიელ დეკლარაციად. შეჯიბრება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს პარტიის იმ გეზის განხორციელებას, რომლის მიზანია მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების განვითარება სოფლის მეურნეობაში. პრესამ თვალყური უნდა ადევნოს, რომ შეჯიბრების მაჩვენებლები შედგენილ იქნან ღარიბ და საშუალო გლეხთა მასისათვის გასაგები ლოზუნგების საფუძველზე, რომლებიც გამომდინარეობენ დღევანდელი პერიოდის უმნიშვნელოვანეს ამოცანებიდან.

უახლოესი პერიოდისათვის მთავარი მაჩვენებელია ნათესი სივრცის გაფართოვება, მოსავლიანობის გადიდება, კოლექტიურ მეურნეობათა განვითარება, გლეხობის მასიური გაერთიანება კოოპერაციაში და ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა.

მიმდინარე სამეურნეო წლისათვის დაწყებული შეჯიბრება უნდა განვითარდეს მოსავლის აკრეფისა და შემოდგომის თესვის კამპანიის მზადების გარშემო.

საგლეხო პრესა უნდა ეცადოს, რომ შეჯიბრება გადაიქცეს სოციალისტურ მშენებლობაში მასების ჩაბმის მუდმივ მეთოდად და არავითარ შემთხვევაში არ მიიღოს მან მოკლევადიანი „კამპანიის“ ხასიათი.

პრესამ უნდა შეიმუშავოს იმ კოლექტიური მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების წაქეზების სისტემა და ფორმა, რომლებიც საუკეთესონი არიან და რომლებმაც თავი იჩინეს შეჯიბრებაში.

სოციალისტური შეჯიბრების დროს განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრებათ სოფლის კედლის გაზეთებს. ადგილობრივმა სოლქო გაზეთებმა ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყონ კედლის გაზეთებს, რომ მათ სისწორით მოაწესრიგონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და გაშუქება. საგლეხო პრესაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭიროს სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ამავე დროს ხსენებულ პრესაში ადგილი უნდა ჰპოვოს იმ საკითხების გაშუქებამ, რომლებიც შეეხებიან სოციალისტურ შეჯიბრებას ქალაქად, მეტადრე ფაბრიკებისა და სოფლის შეჯიბრებას“ (ადს).

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სამდივნო

მოსკოვი, 6 ივნისი. 5 ივნისს ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით გაიმართა საბჭოთა კავშირის ცაკის ახალი შემადგენლობის მიერ არჩეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო სამდივნო, რომელშიაც შედიან ამხ.-ები: კალინინი, ენუქიძე, კირკიჟი, ტაჯიევი, ჩუცაევი, ტოლოკონცევი და კისელევი (ადს).

იტალიის საჰაერო ესკადრილია ოდესაში

მოსკოვი, 6 ივნისი. იტალიის საჰაერო ესკადრილია, რომელიც 8 ივნისს ოდესაში მივა, შესდგება 35 ჰიდროპლანისაგან. ესკადრილიას მეთაურობს პოლკოვნიკი ალდო პელეგრინი. ეკიპაჟში შედის 68 ოფიცერი, 37 უნტეროფიცერი და 57 მორიგი მფრინავი.

საჰაერო ესკადრილია ორი [illegible] თანხლებით საბერძნეთის შემდეგ ვარნიდან გადმოფრინდება ოდესაში, საიდანაც რუმინეთში გაემგზავრება. (ადს).

მისალმება რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის კონგრესს

მოსკოვი, 6 ივნისი. 6 ივნისს იხსნება საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის კონგრესი. ტრანსპორტის მუშათა პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტი მისასალმებელ დეპეშაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ბრძოლა ტრანსპორტის მუშათა მთლიანი მებრძოლი ინტერნაციონალის შესაქმნელად. კომიტეტი იმედს გამოსთქვამს, რომ რკინისგზელთა უნიტარული ფედერაცია მებრძოლთა პირველ რიგში იქნება.

ტრანსპორტის მუშათა პროპაგანდის და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტს შეუერთდნენ ლათინური ამერიკის მეზღვაურები და ნავთსადგურის მუშები. საერთაშორისო კომიტეტმა, აგრეთვე წყალზე მომუშავეთა და ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირის ცაკამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ლათინური ამერიკის ტრანსპორტის მუშებს (ადს).

გვალვასთან ბრძოლის საკავშირო ფონდი

მოსკოვი, 6 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი ახალი დებულებისა, რომელიც შეეხება გვალვასთან ბრძოლის საკავშირო ფონდს (ცენტრ. სასოფლო-სამეურნეო ბანკთან). ფონდის მიზანია გრძელვადიანი კრედიტების მიწოდება. სესხი მიეცემათ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს, მხოლოდ მეურნეობის რეორგანიზაციისათვის, ხოლო ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებს — განსაკუთრებულ შემთხვევაში, სესხის გაცემა მოხდება 5—10 წლის ვადით (ადს).

სამარის ნავთი

მოსკოვი, 6 ივნისი. სამარის რაიონში (სოფელ ალექსეენკოსა და იარილკინოში) ფისიანი ნავთის აღმოჩენის გამო, საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს გეოლოგიური კომიტეტის უფროსმა გეოლოგმა, პროფესორმა როზანოვმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

„უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს სამარსკიე ლუკის რაიონში აღმოჩენილი ნავთის დეტალურად შესწავლა. ამჟამად საჭიროა იმ რაიონის სისტემატიურად შესწავლა, რომელიც მდებარეობს, ერთის მხრით, მდ. ვოლგასა და ურალის ქედს შუა, ხოლო მეორეს მხრით — მდ. კამასა და კასპიის ზღვას შუა“ (ადს).

გამომგონებლობისათვის ხელის შესაწყობად

მოსკოვი, 6 ივნისი. გამომგონებლობაზე პრესის შეფობის საკავშირო კომიტეტმა გამომგონებელ მუშებს, საფაბრიკო-საქარხნო წრეებს, ხელისშემწყობ კომისიებს, პარტიულ, პროფკავშირთა და სამეურნეო ორგანიზაციებს და მთელ პრესას მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი ფენების მძლავრ მასიურ მოძრაობად. მან შექმნა უდიდესი შესაძლებლობანი მასების შემოქმედებითი ინიციატივისათვის. შეჯიბრება წარმოადგენს ჩვენი მშენებლობის უძლიერეს საშუალებას, რომლის მეოხებითაც მუშათა კლასმა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება უნდა გადაიყვანოს სოციალიზმის ნიადაგზე. გამომგონებლები უნდა ჩადგენ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში და მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას უნდა დაეხმარონ სოციალისტური მშენებლობის ყველა სიძნელის დაძლევაში. საწარმოო თათბირების საკავშირო შემოწმებამ, რომელიც ამას წინად დამთავრდა, ხელი შეუწყო გამომგონებელთა აღმოძრავებას.

მაგრამ გამომგონებლებს ხშირად საკმაო დახმარებას არ უწევენ პარტიული, პროფკავშირთა და სამეურნეო ორგანიზაციები, რის გამოც გამომგონებელთა ცდა თავშივე იღუპება. მასიური მუშაობა გამომგონებლებს შორის მეტ ნაწილად სუსტად სწარმოებს. ნაკლებ დახმარებას უწევენ გამოგონებათა განხორციელებას. პროფკავშირთა ზოგიერთი ორგანიზაცია ყურადღებას არ აქცევს გამომგონებლობის საქმის მდგომარეობას წარმოებში. ამას ბოლო უნდა მოეღოს. პარტიულმა და პროფკავშირთა ორგანიზაციებმა და პრესამ გამომგონებლობის საქმეში დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ბიუროკრატიზმს, დაუდევრობას, მთავრობის დირექტივების დამახინჯებას. ყველა, ვინც შეეცდება ფორმალური, ბიუროკრატიული მიდგომით ჩაახშოს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, უკუგდებულ უნდა ქნას, როგორც ჩვენი დიადი საქმის შემაფერხებელი“ (ადს).

მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტების უფლებანი დაქირავება-დათხოვნის საკითხებში

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო სისწორით განისაზღვროს მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტების უფლება დაქირავება-დათხოვნის საკითხებში.

დამქირავებლებს ევალებათ — კომიტეტებს წინასწარ აცნობონ ახალი მუშებისა და მოსამსახურეების დაქირავების შესახებ. კომიტეტებს უფლება აქვთ, არა უგვიანეს სამი დღისა ცნობის მიღების მომენტიდან, განაცხადონ პროტესტი მუშაკის დაქირავების წინააღმდეგ, თუ ამ დაქირავების დროს დარღვეულ იყო მომქმედი კანონმდებლობა შრომის შესახებ ან კოლხელშეკრულება. თუ დამქირავებელი არ დაეთანხმა კომიტეტის აზრს, მას უფლება, აქვს არა უგვიანეს სამი დღისა, კონფლიქტი განსახილველად გადასცეს შრომის ადგილობრივ განყოფილებას საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის სამი დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მასიური და ჯგუფობრივი შემცირება, გასაუქმებელ თანამდებობათა ნუსხა უნდა ეცნობოს მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტს. (ადს)

პურის ახალი ქარხნის აგება

მოსკოვი, 6 ივნისი. ცენტ. კომუნალ. ბანკმა გადასწყვიტა — პერმის ცენტრ. მუშკოოპს მისცეს 110.000 მანეთი პურის ახალი ქარხნ-ს ასაგებად პერმში. საამშენებლო მასალის დასამზადებლად მუშკოოპს მიეცემა მოკლევადიანი სესხი 20.000 მან. რაოდენობით. (ადს).

საქართველოსა და აზერბეიჯანის მწერლები ერევანში

ერევანი, 5 ივნისი. საქართველოს და აზერბეიჯანის მწერლების შესახვედრად კარაკლისში გაემგზავრნენ სომხეთის მწერალთა ფედერაციის სამდივნოს მთელი შემადგენლობა, პრესისა და პროფკავშირების წარმომადგენლები და სხვა.

კარაკლისიდან სტუმრები ერევანში ჩამოვლენ ავტომობილით დელიჟან-ელენოვკის გზატკეცილით. (ადს)

ზაგრაბეკოვის საქმე

ბაქო, 6 ივნისი. 5 ივნისს აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში დაიწყო ბაქოს პროკურორის ყოფილი თანაშემწის ზაგრაბეკოვის და სხვების საქმის გარჩევა. ზაგრაბეკოვს და სხვებს ბრალდებათ ის, რომ ისინი ფარავდნენ ცნობილ ბაქოელ ხულიგან განჯინსკის, რომელსაც სისხლის სამართლის მილიცია დაეძებდა. განჯინსკიმ თავშესაფარი ჰპოვა ზაგრაბეკოვის ბინაზე. ამ საქმემ დიდი ინტერესი გამოიწვია ბაქოს საზოგადოებრიობაში. საქმის გამოაშკარავებას ხელი შეუწყო გაზეთ „ენი იოლ“-ში მოთავსებულმა შენიშვნებმა. ხულიგანი განჯინსკი, ზაგრაბეკოვის ნათესავი, არაერთხელ უწევდა წინააღმდეგობას ხელისუფლებას და მაინც დაუსჯელი რჩებოდა.

განჯინსკის განსაკუთრებით ენერგიულად დაეძებდა სისხლის სამართლის მილიცია მას შემდეგ, რაც მან ქალის მოკვლა სცადა. მაგრამ განჯინსკი რამდენიმე კვირის განმავლობაში პროკურორის თანაშემწის ბინაზე იმალებოდა და ჭრილობას არჩენდა.

პროკურორის ყოფილ თანაშემწის ზაგრაბეკოვის გვერდით საბრალმდებლო სკამზე ზის განჯინსკის და ზაგრაბეკოვის ნათესავთა ჯგუფი; ამ ჯგუფში, სხვათა შორის შედიან: ალი ბაირამოვის სახელობის კლუბის ყოფილი გამგე აზიზბეკოვა, რომელიც ხელს უწყობდა დამნაშავის დაფარვას, სისხლის სამართლის მილიციის ინსპექტორი ნახვერდოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბოროტმოქმედის ძებნა, და სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილე ლობა, რომელმაც იცოდა, თუ სად იმალებოდა განჯინსკი, მაგრამ ვერ გაბედა დაეპატიმრებია იგი პასუხისმგებელი მფარველის ბინაზე, რადგან „დამოკიდებულების გაფუჭების“ ეშინოდა.

განჯინსკი სცხოვრობდა ზაგრაბეკოვთან, ჩაწერილი არსად არ იყო, ჭრილობის მორჩენის შემდეგ კი თავისუფლად დასეირნობდა ქალაქში, დადიოდა საბილიარდოებსა და რესტორნებში.

სასამართლოს სხდომებს დიდძალი ხალხი ესწრება.

ფიზკულტურის განვითარებისათვის ა.-კ. რესპუბლიკებში

(საქ. კ. პ. (ბ). ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილება)

1. ფიზკულტურის როლი და მნიშვნელობა იზრდება განსაკუთრებით ამჟამად, ჩვენი ქვეყნის კულტურული რევოლუციისა და ინდუსტრიალიზაციის პერიოდში. მშრომელთა მასების საყოველთაო გაჯანსაღების საკითხები, ამ მასების მომზადება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა-საქმიანობისათვის და საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის არ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას ფიზკულტურული მოძრაობის ფართო განვითარებისა და მთელი ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების გარეშე.

ამასთან ერთად საკავშირო კ. პ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურულ მოძრაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ.-კავკასიის სინამდვილეში, იგი მძლავრ იარაღს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის მშრომელთა დაახლოვებისა და მათი ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

2. მაგრამ არასაკმარისი პარტხელმძღვანელობისა და ნაკლები ყურადღების გამო, რომელსაც აქცევენ ფიზკულტურულ მოძრაობას პროფკავშირის, კომკავშირის, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხსენებული მოძრაობა ყველაზე სუსტ დარგს წარმოადგენს ჩვენი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელ სისტემაში.

გამოდის რა ყველა ზემოთქმულიდან, საკავშირო კ. პ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს:

1. პარტიულ ორგანიზაციებს — გადასინჯონ ახლო მომავალში რესპუბლიკანური და ადგილობრივი ფიზკულტურის საბჭოების შემადგენლობა, იმ მხრით, რომ შერჩეულ იქნან უჯრედებათა და ორგანიზაციათა ნამდვილად დაინტერესებული და აქტიური წარმომადგენლები და მიიღონ ზომები, რომ ფიზკულტურის საბჭოები ფიზკულტურული მუშაობის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ცენტრებად გადაიქცეს.

პარტორგანიზაციებს ფიზკულტურის საბჭოებთან ერთად ევალება — გადასინჯონ ფიზკულტურის საინსტრუქტორო კადრები ამ კადრების სოციალური და პოლიტიკური შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასა და ამ.-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ევალებათ — დაამუშაონ ინსტრუქტორების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნის აწევის საკითხი.

2. ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი დაუშვებლად მიაჩნია ფიზკულტურისათვის ბიუჯეტით დანიშნული სახსრების შემცირება, იგი საჭიროდ სთვლის, რომ 1929—30 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს მიღებულ იქნას ზომები ფიზკულტურის საბჭოების ხარჯთაღრიცხვის გასადიდებლად იმ დონემდე, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი ნორმალური მუშაობა.

მიწადმოქმედებისა და განათლების სახალხო კომისარიატებმა, სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველოებმა, საკურორტო სამმართველოებმა და სხვა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები ფიზკულტურისათვის დანიშნული ხარჯების სავალდებულო გადიდებისათვის.

კოოპერატიულ ორგანიზაციებს (სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეოს, საბინაო კავშირებს და სხვ.) ევალებათ, ფიზკულტურის საბჭოებთან ერთად, დააწესონ განსაზღვრული პროცენტი იმ თანხისა, რომელიც კულტფონდიდან უნდა გადაიდოს ფიზკულტურისათვის.

პროფორგანიზაციებს ევალებათ — თვალყური ადევნონ, რომ განხორციელებულ იქნას გადაწყვეტილება პროფკავშირების საერთო ფონდიდან ფიზკულტურისათვის დაწესებული პროცენტის გადიდების შესახებ.

ორგანიზაციებსა და საწარმოებს ევალებათ — აუცილებლად გადასდონ მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან ფიზკულტურის საბჭოს ფონდში ნახევარ პროცენტზე არა ნაკლები გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაშლელად.

3. ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმა არ შეიცავს სასპორტო ნაგებობათა მშენებლობას და ფიზკულტურის სხვა საკითხებს, ამიტომ წინადადებას აძლევს სახელმწ. საგეგმო კომისიებს, რომ ფიზკულტურის საბჭოებთან და დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად ახლო მომავალში დაამუშაონ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობისა და ფიზკულტურის ინსტრუქტორთა კადრების მომზადების საერთო ხუთწლიანი გეგმა.

4. განათლების სახ. კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს ფიზკულტურის მასწავლებელთა კადრების მზადების სისტემა იმ ვარაუდით, რომ ფიზკულტურის წრეების (საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა) მასწავლებლებს ამზადებდენ ფიზკულტ. ტექნიკუმები სწავლების სამი წლის კურსით, ოთხწლიანი სკოლების მასწავლებლებს — პედაგოგიური ინსტიტუტთან და ტექნიკუმებთან არსებული ფიზკულტურის განყოფილებანი, ხოლო მასწავლებლებს კურორტებისა და დასასვენებელი სახლებისათვის — სამედიცინო ტექნიკუმებთან არსებული ფიზკულტურის განყოფილებანი.

5. ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტი ხელახლა აღნიშნავს ფიზკულტურის ა.-კავკასიის ტექნიკუმის ორგანიზაციის საჭიროებას და ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატს წინადადებას აძლევს — გაითვალისწინოს საამისოდ საჭირო თანხების გადადება 1929—30 საბიუჯეტო წლისათვის. ამავე დროს განათლების სახ. კომისარიატებმა მასწავლებელთა და სამკითხველოების გამგეთა გადასამზადებელი კურსების პროგრამებში უნდა შეიტანონ ფიზკულტურის საკითხები, აგრეთვე შექმნან ფიზკულტურის სპეციალური კათედრები სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

6. რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ ფიზკულტურაში უზრუნველყოფილ იქნას მეცნიერული კონტროლი და გაძლიერდეს სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულებათა მონაწილეობა ფიზკულტურის საბჭოს მეცნიერულ-საგამოკვლევო მუშაობაში, რისთვისაც ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოებთან ერთად მათ უნდა დაამუშაონ კონკრეტული გეგმა.

7. ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს სუსტ ფიზკულტურულ მუშაობას სოფლად და წინადადებას აძლევს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოებს, მიწატყის მუშაკთა კავშირებს და ქალაქისა და სოფლის კავშირის ხელშემწყობ საზოგადოებას, რომ თავიანთი მუშაობის გეგმებში გაითვალისწინონ გლეხობის გაძლიერებული ინტერესი ფიზკულტურისადმი, ზომები მიიღონ ფიზკულტურის ახალი წრეების შესაქმნელად სამკითხველოებთან, კოლექტიურ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვ. და მოაწყონ მათ ყველა საჭირო სახსარი და ინვენტარი.

რესპუბლიკების ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭოებმა უნდა შეიმუშაონ გეგმები იმ მიზნისათვის, რომ ფიზკულტურის მუშაკები ხანგრძლივად იქნან გადაყვანილნი მაზრებში ფიზკულტურის საბჭოების მუშაობის გასაძლიერებლად სოფლად.

8. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, აღნიშნავს რა კომკავშირის ორგანიზაციების არასაკმარის მონაწილეობას ფიზკულტურაში და არასაკმარის ხელმძღვანელობას, საჭიროდ სცნობს, რომ კომკავშირის ორგანიზაციებმა გააძლიერონ მუშაობა კომკავშირელთა ფართო მასების ჩასაბმელად ფიზკულტურული ორგანიზაციების ქვედა საფეხურების აქტიურ მუშაობაში.

კომკავშირს, როგორც ფიზკულტურის მთავარ ორგანიზატორს სოფლად, ევალება ფართოდ განავითაროს პრაქტიკული მუშაობა ახალი წრეების მოსაწყობად, ამასთან ეცადოს გააუმჯობესოს მთელი ფიზკულტურული მუშაობა და განავითაროს ფიზკულტურის ყველა სახე.

9. პროფორგანიზაციებს ევალებათ — გააუმჯობესონ მასიური ფიზკულტურული მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შორის, მიიღონ ყოველივე ღონისძიება იმისათვის, რომ ფიზკულტურაში ჩაებან მოზრდილი მუშები და მუშა-ქალები.

ამასთან ერთად საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ისეთ ავადმყოფურ მოვლენებთან ფიზკულტურის მონაწილეთა შორის, როგორიც არის: ლოთობა, ჩხუბი, რეკორდსმენობა და სხვ.

10. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოებს და ყველა იმ ორგანიზაციასა და უჯრედს, რომელიც ფიზკულტურის დარგში მუშაობს, ევალებათ — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურული ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას და იმას, რომ ამ ორგანიზაციებში უფრო მეტად იქნან ჩაბმული ქალები, განსაკუთრებით ნაციონალური უმცირესობათაგან (თურქები, აფხაზები, ოსები და სხვ.).

11. საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას ევალება, ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, დაამუშაოს საკითხი ფიზკულტურული ლიტერატურის შექმნის შესახებ.

12. ამ.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას ევალება ამ.-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან და შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად — მისცეს ადგილებს სათანადო მითითებანი ფიზკულტურის საბჭოს ქსელისა და ხელმძღვანელობის რეორგანიზაციისათვის, ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მომავალ დარაიონებასთან დაკავშირებით.

13. ამ.-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს ევალება — ახლო მომავალში შეუდგეს ფიზკულტურის მუშაკთა შრომის ხელფასის ნორმების გამომუშავებას.

14. პარტორგანიზაციებს ევალებათ — გააძლიერონ ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელობა ფიზკულტურის საკითხების გამო სპეციალური პარტთათბირის მოწვევის გზით, ფიზკულტურის მუშაობის საკითხების სისტემატიური გამოკვლევებით, უჯრედებსა პარტკომებში ფიზკულტურული ორგანიზაციების მოხსენებათა რეგულიარულად მოსმენით, ფიზკულტურის საბჭოების შემადგენლობაში პარტკომების მუდმივი წარმომადგენლების მოწვევით და სხვ. (ადს).

საქართველოს და აზერბეიჯანის მწერლები სომხეთში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ერევანი, 6 ივნისი. დღეს, დილის 6 საათზე კარაკლისში ჩავიდნენ აზერბეიჯანის და საქართველოს მწერალთა დელეგაციები. სტუმრებს შეხვდნენ სომხეთის მთავრობის, მწერლების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სომხეთის მთავრობის სახელით დელეგაციებს მიესალმა ამხ. **ეგიაზაროვი** და სომხეთის მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ერზინკიანი.** სომხეთის მწერალთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა — **ალაზანმა.**

საპასუხო მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს მწერალთა დელეგაციის სახელით — **გრ. რობაქიძემ** და აზერბეიჯანის მწერლებისაგან **ახვერდოვმა.** 8 საათზე სტუმრები ავტომობილებით გაემგზავრნენ ერევნისაკენ. დელეგაციები შეჩერდნენ დელიჟანში სევანის ტბასთან, სადაც სტუმრებს შეხვედრამ მიიღო დღესასწაულის ხასიათი.

დელიჟანში და გასავლელი გზის მახლობელ სოფლებში ეწყობოდა მიტინგები, რომლებზედაც თავმოყრილი ადგილობრივი გლეხობა და მოსწავლე ახალგაზრდობა ესალმებოდა დელეგაციებს. სტუმრები მოხიბლა სევანის ტბის სანახაობამ. ტბაზე სტუმრებისათვის მოაწყვეს გასეირნება მახლობელ კუნძულამდე, სადაც დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ძველი ისტორიული ნაშთები. ნაპირზე დაბრუნებისას გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. **ერზინკიანმა** და მწერალმა **დემირჩიანმა.** სიტყვები სთქვეს აგრეთვე **ტ. ტაბიძემ** და **გ. ქუჩიშვილმა.** ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ ამიერ-კავკასიის ხალხთა მწერლების დაახლოების უდიდეს პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობას.

საღამოს 8 საათზე დელეგაციები ჩავიდნენ ერევანში. ქალაქი სადღესასწაულოთაა მორთული. მთავარ ქუჩებში გამოფენილია პლაკატები მისასალმებელი ლოზუნგებით.

ადგილობრივმა გაზეთებმა დელეგაციების ჩამოსვლას მოწინავე წერილები უძღვნეს.

ვ. წულუკიძე.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის

(თათბირი ამ.-კავ. პროფსაბჭოში)

გუშინ ამ.-კავ. პროფსაბჭოში გაიხსნა თათბირი ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამ.-კავკასიის პროფსაბჭოს წარმომადგენლის ამხ. ხარაბაძის მოხსენება ახალგაზრდათა შორის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფკავშირების მუშაობა ახალგაზრდათა შორის ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. პროფკავშირები, ზოგიერთი კავშირის გამოკლებით, არ აწარმოებენ კავშირის წევრ ახალგაზრდების აღრიცხვას, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. პროფკავშირებში აქტიურად მომუშავე ახალგაზრდათა რიცხვი 6.358 კაცს უდრის.

ახალგაზრდობა სუსტად არის ჩაბმული აგრეთვე საწარმოო თათბირებშიაც. მაგალითად, აზნაფთში 1927—28 წელს საწარმოო თათბირებზე, მონაწილეობას ღებულობდა ახალგაზრდობის 8—9 პროცენტი. სუსტად არის დაყენებული ახალგაზრდათა კადრების დაწინაურების საქმე. ზოგან ახალგაზრდობა სრულიად არ არის ჩაბმული პრაქტიკულ პროფმუშაობაში. ყველა ჩატარებულ კამპანიებში ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. კოლხელშეკრულების დადების კამპანიაში ახალგაზრდები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ ახალგაზრდობის სწავლების საქმის გაუმჯობესებას. ახალგაზრდობის ხელფასი ომის წინადროინდელთან შედარებით 1928 წელში გადიდებული იყო 250—500 პროცენტით და შეადგენდა მოზრდილ მუშების ხელფასის 28,3—38,8 პროცენტს.

მტკივნეულ საკითხად უნდა ჩაითვალოს წარმოებაში ჩაბმულ ახალგაზრდობის ხანგრძლივად დატოვება ერთსადა იმავე თანრიგში. შრომის დაცვის მხრივ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან კერძო წარმოებებში და შინამრეწველობაში ჩაბმული ახალგაზრდა მუშები. ახალგაზრდა მუშების დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში გაგზავნის საქმე ყველაზე უკეთ არის დაყენებული აზერბეიჯანში, სადაც 1928 წელს დასასვენებლად გაგზავნილ იქნა მოზარდ მუშათა 80—85 პროცენტი. 1928 წლის 1 ოქტომბრისთვის მთელ ამიერ-კავკასიაში ირიცხებოდა 2.109 უმუშევარი პროფკავშირის წევრი ახალგაზრდა მუშა.

ახალგაზრდობის საწარმოო აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აზერბეიჯანში. საჭიროა მიღებული იქნეს ზომები საქარხნო-საფაბრიკო სკოლების უკეთ მოსაწყობად. წელს თითოეულ მოსწავლე ახალგაზრდა მუშაზე თვიურად იხარჯება — 61 მან. 19 კაპ. ამჟამად საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში უმთავრესად ამზადებენ ზეინკლებს, მჭედლებს და დურგლებს, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ გადადიან წარმოებაში.

დღეს გაიხსნება კამათი ამხ. ხარაბაძის მოხსენების გარშემო.

პარტიაში

მემარჯვენე ლიკვიდატორთა ცილისწამების მიუხედავად პარტია მტკიცედ განაგრძობს თავის ლენინურ ხაზს

შევასრულებთ პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს

(გარე-კახეთის პარტორგანიზაციებში)

ამ დღეებში, გარე-კახეთში მარტყოფის, სართიჭალის და საგარეჯოს თემებში ჩატარდა სათემო პარტიული კონფერენციები, რომელზედაც მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ე. გორდელაძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აპრილის პლენუმისა და მეთექვსმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ეხებოდნენ სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და შინაპარტიულ მდგომარეობის საკითხებს. ამხანაგები მოითხოვდნენ, რომ პარტიამ განაგრძოს შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კოლმეურნეობათა განვითარებას და ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას. ამხანაგები საჭიროდ სთვლიდნენ, რომ მტკიცედ დაცული იქნეს პარტიის მთლიანობა და სწარმოებდეს დაუზოგავი ბრძოლა როგორც მემარჯვენე, ისე კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციები დიდის აქტივობით ჩატარდა.

მიღებულ რეზოლიუციებში სათემო პარტიული კონფერენციები სავსებით და მთლიანად იწონებენ ც. კ. პლენუმისა და პარტკონფერენციის დადგენილებებს.

ბოლშევიკური თვითკრიტიკის გზით

(სტალინის სახ. ქარხნის ელექტრო სამქროს უჯრედი)

3 მაისს შესდგა მთავარ სახელოსნოს ელექტრო-ცეხის საანგარიშო კრება, რომელსაც დაესწრო 20 კაცი. ე. ი. 57 პროც. უჯრედის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩიხრაძემ. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ უჯრედის წევრები არ იჩენენ, სათანადო აქტივობას პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში; კოლექტივის ბიუროს და რაიკომის მხრივ არ იყო სისტემატიური ხელმძღვანელობა; მათი წარმომადგენელი იშვიათად შემოდიოდა უჯრედში. მუშაობის გეგმა არ არის შესრულებული; სამქროში მუშაობს 95—97 მუშა და მოსამსახურე; ამათში პარტიულია 37 ამხანაგი. საწევრო გადასახადის აკრეფა მოუგვარებელია, არიან ამხანაგები, რომელნიც გადასახადს რამოდენიმე თვეობით არ იხდიან. საწარმოო პროგრამა შესრულებულია მხოლოდ 60 პროც.-მდე. საწარმოო თათბირი სუსტად მუშაობს, ვინაიდან მისი წინადადებებს ადმინისტრაცია ცხოვრებაში არ ატარებს; მიზეზი უმთავრესად კრედიტის უქონლობაა.

სამქროს გამგე გვარიანად არის დაავადებული ბიუროკრატიზმით. იყო შემთხვევა, როდესაც ას ძალიანი მოტორი შეჩერდა, იგი დაუყოვნებლივ შეკეთებას მოითხოვდა, რისთვისაც საჭირო იყო ზედმეტი მუშაობა სულ 30 საათით. გამგემ კატეგორიული უარი განაცხადა ზედმეტი მუშაობის დაშვებაზე. საკითხის ბიუროკრატიულად გადაჭრამ გამოიწვია სარემონტო ქარხნის ერთ-ერთი სამქროს სამი დღით შეჩერება, რამაც დიდი ზარალი მიაყენა წარმოებას. გამგეს არც შესაფერი ცოდნა აქვს.

უჯრედს აქვს მიღწევები პარტიულ განათლების სფეროში, წითელ ჯართან დამყარებულია ცოცხალი და მჭიდრო კავშირი, გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების დროს სოფლად გაიგზავნა მუშათა ბრიგადა. სამქრო აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრების ჩატარებაში. მემარჯვენე გადახრას ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ იყო ასეთი შემთხვევა: ორმა-სამმა პარტიულმა გამოსთქვა უკმაყოფილება პურის კრიზისის და პირველი მოთხოვნილებების საქონლის ნაკლებობის გამო, უჯრედის წევრებმა ამ სულმოკლე კომუნისტებს სათანადო პასუხი გასცეს.

კამათში მონაწილეობა მიიღო 7 ამხანაგმა.

ამხ. გლახაიანი ეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის სისუსტეს.

ამხ. ცარიუკი — სამქროს გამგე არ შეეფერება თავის თანამდებობას, მას არ აქვს ავტორიტეტი მუშებში. კედლის გაზეთი მუდამ სავსეა მასზე დაწერილი შენიშვნებით. ეს საკითხი მალე უნდა გადაიჭრას.

ამხ. მოგელაძე — ადმინისტრაცია ბიუროკრატობის გარდა ბრმა ჯიუტობასაც იჩენს. პარტდისციპლინა სათანადოთ არ იყო დაცული; ამის შედეგი არის საწევრო გადასახადის დიდი დავალიანება.

ამხ. ტიურინი — საწარმოო თათბირის დადგენილებები არ ტარდება ცხოვრებაში. სამქროში ადგილი აქვს თვითკრიტიკის დამახინჯებას და პროტექციას. მაგალითად ჩვენთან მუშაობს სტაჟიორად ვინმე ესკაია. ამ კაცს არ აქვს ცოდნა და სიზარმაცე კი დიდი სჭირს. ის დაითხოვეს, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაგვიბრუნეს უკან, გზათა მმართველობის განკარგულებით. ამ საქმეს აშკარა „ნათლიმამობის“ სუნი უდის.

ამხ. ჯელია — ჩვენ კარგათ ვიცით ჩვენი მუშაობის შინაარსი, მაგრამ საუბედუროთ აქტივობას არ ვიჩენთ საქმეში. თუ ბიურო მოისუსტებს, ეს მთელი უჯრედის სისუსტეა.

ამხ. აბაჯევი — მოითხოვს ელექტროსადგურის უჯრედის გამოყოფას ელექტროსამქროს უჯრედიდან, ვინაიდან მისი აზრით, ამ უჯრედების გაერთიანება არ გამოდგა მიზანშეწონილი.

უჯრედის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და მისცა ბიუროს პრაქტიკული მითითებანი.

რ. ლ—ძე.

კომკავშირი პარტიის ერთგული დასაყრდენია

(ქუთაისის სამაზრკომის პლენუმზე)

5 ივნისს დამთავრდა ა. ლ. კ. კ. მაზრკომის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა ამხ. კეკელიას მოხსენება მე-16 პარტკონფერენციის შედეგებზე, სავსებით მოიწონა კონფერენციის დადგენილებანი და დაავალა მაზრის ორგანიზაციის ყველა უჯრედებს დეტალურად დაამუშაონ ისინი. პლენუმმა გადაისროლა ლოზუნგი ორგანიზაციის მიერ ხუთწლიანი გეგმის საკითხების შესწავლის შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ზერიძის მოხსენება კომკავშირის სამაზრო ორგანიზაციის მდგომარეობის და მისი ამოცანების შესახებ. მომხსენებელი შეჩერდა მთელ რიგ მიღწევებზე, რომელთაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელ პერიოდში ქუთაისის ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციამ საუკეთესოდ ჩააბარა პარტიას გამოცდა საბჭოთა არჩევნებისა, თესვის კამპანიისა, სოციალისტურ შეჯიბრების ჩატარების საქმეში. საბჭოთა არჩევნების დროს კომკავშირის წევრთა პროცენტი საბჭოში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაზრაში ექვსი თემაღმასკომის თავმჯდომარე კომკავშირელია, თესვის კამპანიაში, ქუთაისის მაზრის სინამდვილეში კომკავშირი მთავარ ძალად ითვლება, ჩამოყალიბებულია 15 სას.-სამ. კოლექტივი, რამოდენიმე კოლექტივის თავმჯდომარე კომკავშირელია.

მაზრაში გაყვანილ იქნა 12 კილომეტრი სიგრძის არხი, მოეწყო სასოფ.-სამეურნეო იარაღების შემკეთებელი ბრიგადები, რომლებმაც უკვე შეაკეთეს კოლექტივების და ღარიბ გლეხობის იარაღები ათას მანეთზე მეტი ღირებულებისა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა ორგანიზაციამ გამოიწვია თბილისის ორგანიზაცია, ჩატარდა მთელი რიგი მუშაობა კულტურულ ფრონტზე. ქუთაისმა შესძლო მუშა-ახალგაზრდობის თეატრის შექმნა. ამ თეატრის გახსნა მოხდა ამავე პლენუმზე.

ს. მესხი.

გახრწნილთა წრე

ჩვენს პარტიას წვრილ ბურჟუაზიულ გარემოცვაში უხდება ბრძოლა და მუშაობა. ამიტომაც გასაკვირი არ არის ის გარემოება, რომ ხშირად პარტიის ჯანსაღ სხეულზე აქა-იქ ჩირქიანი მუწუკი იჩენს თავს. ასეთი მუწუკები იყო, მაგალითად, სმოლენსკის, სოჭის, არტემოვსკის საქმეები, ასეთივე საკმაოდ დიდი იარაა აგრეთვე ასტრახანის ამბები, რომელიც უკანასკნელ ხანებში გამოჟღავნდა. ყველა ამ საქმეებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისათვის და მათ სათანადო ყურადღებაც მიექცა.

უნდა ითქვას, რომ ამ საკმაოდ დიდი მასშტაბის ამბებთან ერთად ჩვენი პარტიის ძირითად ორგანიზაციებში — უჯრედებში ზოგჯერ ადგილი აქვს გახრწნილ-გადაგვარების სხვა ნაგულისხმო ფაქტებსაც. ეს ფაქტები ბევრჯერ საგრძნობი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი რჩება და დაგუბებული ჩირქი მანამდე ღრღნის უჯრედის ორგანიზმს, სანამ თვითვე არ გაიკვლევს გზას და არ გამომჟღავნდება. დაავადების ამგვარი მიყრუება ყველაზე ცუდი, ყველაზე საშიში მოვლენაა და, რომ ეს ასეა, ამის ნათელ სურათს იძლევა საქ. პოლიგრაფმრეწველობის ტრესტის მე-5 სტამბის უჯრედის წევრთა საქმე.

რა მოხდა ამ უჯრედში?

ა. წლის აპრილში თავი მოიკლა მე-5 სტამბის ქარხკომის მდივანმა **მეგრელაძემ.** ეს ამბავი უჯრედისათვის სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი იყო. მეგრელაძე ყველას წარმოდგენილი ჰყავდა პატიოსან დაწინაურებულ მუშად, მისი საქმიანობა და პირადი ცხოვრება თითქოს არავითარ ეჭვს არ იწვევდა.

ქალაქის რაიკომმა და ადგილობრივ უჯრედმაც სასწრაფოდ გამოჰყო კომისია თვითმკვლელობის მიზეზთა გამოსარკვევათ. კომისიის მუშაობამ ფარდა ახადა გახრწნისა და გადაგვარების აღმაშფოთებელ პროცესს, რომელიც რამდენიმე თვე შეუჩნევლად გრძელდებოდა და რომელიც პარტიის წევრის თვითმკვლელობით დასრულდა.

დავიწყოთ თავიდან. გასული წლის ოქტომბერში სტამბის ქარხკომის მდივნად არჩეულ იქნა ვ. მეგრელაძე. სწორედ ამ თვიდანვე მეგრელაძის გარშემო „ჩამოყალიბდა“ პარტიის რამდენიმე წევრისაგან და უპარტიოებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელმაც თავის „დროშას“ წააწერა ცნობილი ლოთი-ფოთური ლოზუნგი: „სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად — ღვინო, დუდუკი ქალები“.

ჯგუფში ვ. მეგრელაძის გარდა შედიოდნენ: ალ. (შურა) ანდღულაძე, გაზ. „მუშა“-ს ყოფ. მდივანი (ამ თანამდებობიდან ის რედაქციამ გააძევა სხვადასხვა ბნელი კომბინაციებისათვის) პარტიის წევრი 1927 წლიდან, ი. ნადარეიშვილი, მუშა, პარტიის წევრი 1928 წლიდან, ოქროპირიძე ივ., მუშა, პარტიის წევრი 1928 წლიდან, გორგიაშვილი მიხ. მუშა, პარტიის წევრი 1924 წლიდან, ქარქაშაძე ვარლამ, მუშა, პარტიის კანდიდატი 1928 წლიდან, ჯაფარიძე ივ., მუშა, პარტიის წევრი 1925 წლიდან, ნიკოლაევი გიორგი, მუშა, პარტიის წევრი 1925 წლიდან, მახარაძე შალვა, მუშა, პარტიის წევრი 1925 წლიდან და სხვა.

ეს ჯგუფი გარყვნილებისა, ლოთობისა და ხულიგნობის წუმპეში გადაეშვა, მას ოქტომბრიდან მოყოლებული აპრილამდე ერთხელაც არ უღალატნია თავისი ლოზუნგისათვის. ჯგუფის მონაწილეთა დაკითხვის ოქმი აჭრელებულია ისეთი სიტყვებით, როგორიცაა: „ელდორადო“, „თხილაძის დუქანი“, „ვერის პარკი“, „რესტორანი ზაჰესი“*), „ლურჯი ფრინველი“ და ლოთობა-გარყვნილების სხვა ბუდობათა სახელწოდებები.

სისტემატიური ქეიფი ქალაქში და ქალაქგარეთ, პროსტიტუტკები, ავტოების დაქირავება — ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ფულს მოითხოვდა და ჯგუფის წევრებიც „კრედიტისათვის“ შორს არ მიდიოდნენ: მეგრელაძის ხელში საგრძნობი თანხები ტრიალებდა, საწევრო გადასახადს გარდა ქარხკომი აგროვებდა ინდუსტრიალიზაციის სესხის ფულსაც. სწორედ ეს უკანასკნელი ამოიღო მიზანში „შეხმატკბილებულმა კამპანიამ“ და მას თბილისის რესტორან-სამიკიტნოებში აუგო წესი. ასე შეუწყვეს ხელი ამ, უკაცრავად პასუხია, კომუნისტებმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს!

თავაშვებულ ქეიფს და ფლანგვას მოჰყვა ლოღიკური შედეგი: ქარხკომის მდივანი, დაწინაურებული მუშა-კომუნისტი, შეცდენილი და მოტყუებული ამხანაგების მიერ, გაექცა პასუხისმგებლობას — მან თავი მოიკლა. მისმა „კომპანიონებმა“ კი მიიღეს შესაფერი სასჯელი, საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებით, **შ. ანდღულაძე, ი. ნადარეიშვილი, ი. ოქროპირიძე, მ. გორგიაშვილი, ვ. ქარქაშაძე. ი. ჯაფარიძე, გ. ნიკოლაევი, გ. დალაქიანი** და **შ. მახარაძე** გარიცხულ იქნენ პარტიიდან, როგორც გახრწნილი ელემენტები. უჯრედის ყოფილ მდივანს ამხ. შ. წივწივაძეს გამოეცხადა საყვედური იმისათვის, რომ მან თავის დროზე ვერ მიიღო სათანადო ზომები ავადმყოფურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად.

ასე დასრულდა ეს ამბავი. ყველაზე სამწუხარო ამ საქმეში ის არის, რომ აქ გახრწნის ბაცილა შეიჭრა მუშა-კომუნისტების წრეში, საწარმოო უჯრედში. მე-5 სტამბის ისტორია კიდევ ერთხელ ამტკიცებს პარტიის გადაწყვეტილების სისწორეს იმის შესახებ, რომ წმენდა საწარმოო უჯრედებშიაც უნდა ჩატარდეს.

რასაკვირველია, საკონტროლო კომისიის დადგენილება სავსებით სწორი და აუცილებელია, მაგრამ მარტო ამ ზომით არ შეიძლება უჯრედის საბოლოოდ გაჯანსაღება. საჭიროა გაძლიერებულ იქნას აღმზრდელობითი მუშაობა უჯრედის წევრთა შორის. საჭიროა „ელდორადოსა“ და „თეთრი დუქნის“ გმირები დანაწილებულ იქნან სხვა სტამბებში. რაიკომმა უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა აღნიშნულ უჯრედზე. პარტიის სხვა უჯრედებმა კი ამ საქმიდან უნდა გამოიტანონ ერთი დასკვნა: აუცილებელია დაავადების მოვლენათა დაუყოვნებლივ გამომჟღავნება, თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ სნეულების განვითარება და ის მძიმე შედეგები, რომელიც მას ასეთ შემთხვევაში მოჰყვება.

ს. მეგრელიშვილი.

---

*) სხვათა შორის ღირს ამ რესტორანის სახელწოდებასაც მიექცეს ყურადღება. მიკიტნებსა და სპეკულიანტებს ჩვენ უფლებას არ უნდა ვაძლევდეთ ასე გაამასხარაონ ახალი საზოგადოებრიობისათვის საამაყო სახელები. ს. მ.

„წულუკიძის მოადგილე“

(ნახახულევის თემი, ქუთ. მაზრა)

მენშევიკების დროს ბიქტორ ტყეშელაშვილს მთელს თემში საპატიო ადგილი ეჭირა როგორც გვარდიის რწმუნებულს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს ვაჟბატონი აფარებს თავს ჭიათურას და მუშის სახელით შედის კომპარტიის რიგებში. ის მანდატით უბრუნდება თემს და განაგრძობს ძველებურად პარპაშს.

ტყეშელაშვილი მოექცა საადგილ-მამულო სექციაში და აქედან მას შეუდგა გლეხების ყვლეფა, სახაზინო ტყეებიდან საუკეთესო ხე-ტყის მითვისება და სხვ. გლეხ საღარეიშვილს ჰყავს ცხენი. ბიქტორი „დიდი კაცია“ და მას ცხენს აბა ვინ დაუშლის. ბიქტორი სარგებლობს ამ მდგომარეობით და მუდამ საღარეიშვილის ცხენზეა წამოსკუპებული, ამრიგად ცხენი სარჩენათ გლეხს, სახედრათ კი ტყეშელაშვილს.

თემს მოუვიდა დახმარება — სიმინდი. ბიქტორი იქვე გაჩნდა და აბა რის კომუნისტი იყო თუ თავის თავს და თავის ძმა ბიჭს 3—4 ფუთ სიმინდს არ არგებდა. ღარიბების და ქვრივ-ობლების ნორმა კი 10 გირვანქას არ აღემატებოდა. მაგალითად: გაჭირვებულ ობოლს ჰელიძეს მიეცა 10 გირვანქა, ჭაჭიას ქვრივს — 10 გირვანქა, ბაბუნაშვილის ქვრივს — 10 გირვანქა; ბიქტორმა კი 4 ფუთი სიმინდი გაიცოცა. ასეთივე სურათია შაბიამანზედაც.

ერთი სიტყვით ბიქტორს ამ თემში ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნათ. ერთხელ, როცა ბიქტორი საღარეიშვილის ცხენზე იყო გამოჭიმული, მას წინ შეხვდა გლეხი სილიბისტრო კიკაბიძე, ბიქტორმა გადააწნა გლეხს მათრახი და გააქანა ცხენი.

— რას შვრები, რას ჩადიხარ, რას ერჩი უდანაშაულო კაცსა? — ეკითხებიან გაკვირვებული გლეხები. ის კი უპასუხებს: „მე ამ თემში წულუკიძის ალაგზე ვარ, ყველას ტყავს გავაძრობთო“.

დაიწერა კედლის გაზეთში ტყეშელაშვილის გმირობა, მაგრამ ვინაა პასუხის მომთხოვი?

სხვათა შორის ტყეშელაშვილს ვაჭრობაც არ ეთაკილება, სესხულობს გლეხებისაგან ფულს, მიდის რაჭა-ლეჩხუმში, ყიდულობს ლობიოს 10 კაპ. გირვანქას და ჰყიდის 20—25 კაპეიკად. წარმოიდგინეთ, ხშირად მისი ლობიო კოოპერატიულ დუქანშიაც იყიდება. ხონის ბაზარზედაც ნახავთ ბიქტორის ლობიოს ტომრებით.

სამწუხაროც სწორედ ესაა, და ეს კი საკონტროლო კომისიას ველარ გაეპარება.

კომუნარი.

გაზაფხულის თესვა

თბილისის საშეფო საზოგადოების მონაწილეობა თესვაში

თბილისის საშეფო საზოგადოება მზადებას საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის შეუდგა მარტის პირველ რიცხვებიდან. გამომუშავებული იქნა კონკრეტული გეგმა საშეფო ორგანიზაციების ჩასაბმელად საგაზაფხულო თესვაში. 31 მარტიდან 7 აპრილამდე საშეფო საზოგადოების კვირეულთან დაკავშირებით მოეწყო მოტო-გადარბენა: თბილისი-საგარეჯო-თბილისი და, თბილისი-აღბულაღი-თბილისი. გადარბენის მთავარ მიზანს შეადგენდა თესვის კამპანიის მიზნებისა და ამოცანების პოპულიარიზაცია გლეხობაში. გადარბენა მოწყობილი იყო 20-ე სოფელში.

საგაზაფხულო თესვის საკითხები განხილული და დამუშავებული იქნა საშეფო ორგანიზაციების გაფართოებულ რაიონულ თათბირებზე, წარმოებებში, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და სხვ. სულ ჩატარებული იქნა მუშათა კრებები 45 წარმოებაში. ამ კრებებზე გამოყოფილი იქნა 82 კვალიფიციური მუშა სოფლებში გასაგზავნად. მუშებისათვის მოეწყო მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები; რომელზედაც დამუშავებული იქნა შემდეგი საკითხები: ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა, მუშათა ბრიგადების ამოცანები სოფლად და სხვ. ყველა ბრიგადის წევრები სათანადოთ იყვნენ მომარაგებულნი საჭირო მასალითა და ხელსაწყობებით. სულ შედგენილი იქნა 18 მუშათა სარემონტო ბრიგადა, რომლებიც გაიგზავნენ შემდეგ ადგილებში: საგარეჯოში, რუისში, გორში, კავთისხევში, გორში; წნორის-წყალზე, ქვემო-ჩალიანში, ქორელში, ლენინის სოფელში, ასურეთში, სართიჭალაში, თელავში, ყარაიაში, ბაზალეთში, ნატახტარში და მჭადიჯვარში. ბრიგადებმა დახმარება გაუწიეს აღნიშნულ თემების 90-ე სოფლის გლეხობას. სულ ყველა თემებში გაიგზავნა 160 მუშა; აქედან 68 ზეინკალი, 29 მჭედელი, 34 კალატოზი, 11 ჩაქუჩის დამრტყმელი, 13 აგრონომი, 5 ექიმი; პარტიული შემადგენლობის მიხედვით 35 იყო კ. პ. (ბ) წევრი, 98 კომკავშირელი და 27 უპარტიო. ბრიგადის წევრებმა სულ დაჰყვეს სოფლად 474 სამუშაო დღე. საგაზაფხულო თესვის საკითხებზე ბრიგადის წევრებმა ჩაატარეს სოფლებში 303 მოხსენება და საუბარი. ბრიგადების მიერ შეკეთებული იქნა: 15 ტრაქტორი; 9 ტრიერი, 20 სათესი მანქანა, 32 სიმინდის საცეხვი მანქანა, 5 სანიავებელი მანქანა, 717 რკინის გუთანი, 53 ფარცხი, 1422 თოხი, 74 ფოცხი, 2 კულტივატორი და სხვა. სულ მუშათა სარემონტო ბრიგადების მიერ შეკეთებულ იქნა 4132 სასოფლო-სამეურნეო მანქანა და 117 შინა-საოჯახო ნივთი. შეკეთების ღირებულება უდრის 19.946 მანეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა ბრიგადებს ადგილებზე მრავალი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ, კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები ბრიგადების შესახებ ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს ბრიგადის წევრები შეკეთების მაგიერ დააზიანებენ გლეხობის ინვენტარს, თითო გუთანზე შეკეთების ხელფასს აიღებენ 100 მანეთს და სხვ.

კულაკების პროვოკაციის გამო სართიჭალის თემში დაპატიმრებულ იქნა სარემონტო ბრიგადის ორი წევრი. უკანასკნელთ ბრალს სდებდნენ ქურდობაში, მაგრამ თბილისის საშეფო საზოგადოების მიერ მიღებული ღონისძიებებით გამოაშკარავდა კულაკების პროვოკაცია და დაპატიმრებული მუშები მაშინვე განთავისუფლებული იქნენ.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მუშათა ბრიგადებმა მაინც პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობა, რითაც უფრო განამტკიცეს კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის.

ალ. ბედ—ლი.

თესვის ნაწილობრივი შედეგები

(წერილი სენაკიდან)

ამას წინედ, მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებამ მოიწვია მაზრის და რაიონების აგრონომების თათბირი. თათბირს დაესწრო როგორც მაზრის, ისე რაიონის და სამეურნეო სკოლების აგრონომები.

რაიონული აგრონომების მოხსენებიდან გამოირკვა, მაზრაში საგაზაფხულო თესვის ზოგიერთი შედეგები. განსაკუთრებით აღნიშნულ იქნა ის ნაკლი და დამაბრკოლებელი მიზეზები, რაც წინ ეღობებოდა თესვის ჩატარებას. ეს იყო შემდეგი:

ა) ნოქალაქევის და მარტვილის რაიონში სას.-სამ. იარაღები შეზიდულ იქნა არა შესაფერისი ადგილობრივი პირობებისათვის.

ბ) დიდი ჭყონის რაიონში არსებული მანქანა-იარაღებიც ვერ გამოდგნენ შესაფერისი რაიონის პირობებისათვის.

გ) ტრაქტორები დამაკმაყოფილებლად იქნა გამოყენებული, მაგრამ ზოგიერთ მათგანს სიძველის გამო სჭირდებოდათ ხშირი შეკეთება.

დ) ამხ.-ბა „მეჯოგე“-ს მიერ დამზადებული მუშა-საქონელი ზოგან არ გამოდგა.

ე) სელექციური სათესლე სიმინდის საკონტრაქტაციო თანხა „სოფლის კავშირ“-ს ჯერ კიდევ არ გადმოუგზავნია მაზრისათვის გლეხობაზე გასაცემად.

ვ) სელექციური სიმინდი, რომელიც ჩამოტანილ იქნა მაზრაში, ვერ ამართლებს სავსებით თავის დანიშნულებას გარეგნული ფორმის მიხედვით.

ზ) თესვა დაწყებულ იქნა დროზე ადრე, მაგრამ აპრილის ბოლო რიცხვებში დაწყებულმა გვალვამ, რაც მაისშიც გაგრძელდა, შეაჩერა თესვა და /განსაკუთრებით მასიურად დაუთესელია ყანები საშუალო და დაბალ რაიონებში.

აგროუცოდინარობის წინააღმდეგ

აგროუცოდინარობის წინააღმდეგ ზომების მიღება სწარმოებს განსაკუთრებული ყურადღებით. ამ მხრივ საჭიროდ იქნა ცნობილი ერთ და სამკვირიანი კურსების მოწყობა გლეხობაში აგროუცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. გლეხების მოზიდვა ამ კურსებზე მოგვცემს მეტად დადებით შედეგებს.

აგრეთვე აგრონომებმა გამოსთქვეს სურვილი და საჭიროება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიწსახკომის მიერ სხვადასხვა მაზრებში და ცენტრალურ კურსებზე სისტემატიურად მივლინების შესახებ.

რასაკვირველია, ეს ზომები, აწევენ მათი შრომის ნაყოფიერებას და მეტად სასარგებლო იქნება ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის.

გასაქირავებელი პუნქტები

თვითეულ აგროპუნქტთან უნდა მოეწყოს სას.-სამ. იარაღების და მანქანების გასაქირავებელი პუნქტები. პუნქტებში უნდა იყოს ყველა ის სას.-სამ. იარაღი და მანქანა, რაც მისაღებია ადგ. პირობებისათვის და მასზე არის მოთხოვნილება გლეხობისაგან.

აგრორწმუნებულები

აგრორწმუნებულების ინსტიტუტი ჩამოყალიბებული იქნება მიმდინარე წელს. თემსაბჭოები აირჩევენ ყოველ ას კომლზე თითო აგრორწმუნებულს. ესენი იქნებიან დასაყრდენი ძალები აგრო-ორგანიზატორისა სოფლად. მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საადგ.-მამ. განყ. მიიღებს ზომებს.

მოსავლის დღე

მოსავლის დღე ჩატარებული იქნება გლეხობის ფართოდ ჩაბმით. მაზრაში მოეწყობა სას.-სამ. გამოფენა; სახ. მამულებში, აგროპუნქტებში და სხვა. საჭირო ექსპონატების დასამზადებლად დავალება მიეცა აგრონომებს.

ბ. უჩანეიშვილი.

კომკავშირის მონაწილეობა თესვაში

(წერილი ზესტაფონიდან)

შორაპნის მაზრის კომკავშირის ორგანიზაცია მთელ მუშაობას საგაზაფხულო თესვის სფეროში ატარებს ცენტრალურ კომიტეტის დირექტივების საფუძველზე. სამაზრო კომიტეტთან შექმნილია კამპანიის ჩამტარებელი სამაზრო კომისია, რომელმაც აგრონომებისა და დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანდასწრებით თავის დროზე დაამუშავა თესვის ჩატარების პრაქტიკული ღონისძიებანი და დაუგზავნა ადგილებს.

სათემო და სარაიონო ცენტრებში ჩამოყალიბდა მოკლევადიანი სემინარები, რომლებშიაც გადამზადებულ იქნა 300-მდე ახალგაზრდა და დანაწილებულ იქნა სოფლებზე აგროპროპაგანდის საწარმოებლად და თესვის პრაქტიკულ ხელმძღვანელობისათვის.

შიათურის რაიონში ჩამოყალიბდა მუშა-ახალგაზრდობისაგან შემდგარი მანქანა-იარაღების შემკეთებელი ბრიგადები, რომლებიც აწარმოებენ შესაფერ მუშაობას.

„მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფები, რომლებიც დღემდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდენ თესვის ჩატარებაში, ამ ბოლო დროს ამოძრავდნენ და გააცხოველეს მუშაობა. ისინი კონტროლს უწევენ საკ. ამხანაგობებს, თუ როგორ აწვდიან მანქანა-იარაღებს გლეხობას, როგორ ანაწილებენ სესხს და სხვა. მაგ. ზოგიერთ თემებში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც საკ. ამხანაგობებმა კონტრაქტაციის ხელშეკრულება დასდევს კულაკურ ელემენტებთან, რაც მს. კავალერიის მიერ აღმოჩენილ და გამოსწორებულ იქნა.

თესვის კამპანიაში ფართოდაა ჩაბმული გლეხური ახალგაზრდობის სკოლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომკ. შაბათობები, რომელმაც მთელს მაზრაში მასიური ხასიათი მიიღო. კომკ.-ჯგუფჯგუფად ეხმარებიან უღარიბეს გლეხობას, წითელარმიელთა ოჯახებს, ქვრივებს და ინვალიდებს. როგორც სამ. კომიტეტში შემოსულ უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, მაზრაში თითქმის აღარ არის დარჩენილი არც ერთი უღარიბეს გლეხის, ქვრივის, წითელარმიელის და ინვალიდების მიწები, რომლებიც კომკავშირელებს არ დაემუშავებინოს. ამით რა თქმა უნდა კომკავშირის ავტორიტეტი სოფლის მოსახლეობაში ერთიორად გაიზარდა.

ვ.

გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის შედეგები

კონტრაქტაციის გეგმის თანახმად, წელს ამიერ-კავკასიაში კონტრაქტაცია ჩატარებული უნდა ყოფილიყო 40.000 ჰექტარზე, აქედან საქართველოში — 20.000 ჰექტარზე, სომხეთში — 5.000 და აზერბეიჯანში — 15.000 ჰექტარზე, ავანსების სახით კი გაცემული უნდა ყოფილიყო 1.429.000 მანეთი.

კონტრაქტაციის ჩატარება დავალებული ჰქონდა „სოიუზხლებს“, რომელსაც ეს საქმე უნდა განეხორციელებია სას.-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით. წინასწარი ცნობებით, აზერბეიჯანში კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულია მთლიანად. კონტრაქტები დადებულია 15.000 ჰექტარ ბრინჯზე. სომხეთში ხორბალის კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულია 21 პროც. გადამეტებით, ქერის კონტრაქტაციის გეგმა კი შესრულებულია 80 პროც.; სულ კონტრაქტები დადებულია 5.240 ჰექტარზე. კონტრაქტაციაქმნილი მოსავალი უნდა გამოიხატოს 556 ტონა ხორბალსა და 295 ტონა ქერში.

საქართველოში კონტრაქტები დადებულია სულ 21.350 ჰექტარზე (გეგმით გათვალისწინებული იყო 1.359 ჰექტარით ნაკლები), აქედან ხორბალი — 473 ჰექტარი, ქერი — 1.533 ჰექტარი და სიმინდი — 19.253 ჰექტარი. კონტრაქტაციაქმნილ სივრცეზე მოსავალი აკრეფილი იქნება სულ 4.095 ტონის რაოდენობით.

მთელ ამიერ-კავკასიაში კონტრაქტაციაქმნილი მოსავალი უნდა გამოიხატოს 18.143 ტონაში, აქედან ბრინჯი — 13.153 ტონა, სიმინდი — 3.767 ტონა, ხორბალი — 638 ტონა და ქერი — 589 ტონა.

ა.-კ. მეურ. მებამბეობის კოოპერაციის მუშაობა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს — დაავალონ მიწსახკომებს, რათა მათ სოფლის მეურნეობის ცენტრებთან და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებთან შეთანხმებით არა უგვიანეს ა. წ. 1 ივლისისა წარმოადგინონ მებამბეობის კოოპერაციის კოოპერატიული სატრაქტორო მეურნეობის ორგანიზაციის გეგმები და გაითვალისწინონ ერთი ჰექტარის დახნის ღირებულება, აგრეთვე 1929 წლის შემოდგომაზე და 1930 წლის გაზაფხულზე ნავარაუდევი ბამბის ნათესის სივრცე. (ადს).

გავაუმჯობესოთ საკლუბო მუშაობა

უყაირათობა და დაუდევრობა მუშათა კლუბებში

ზუგდიდის მუშათა კლუბის შტატი ხელოვნურად არის გაბერილი

საკლუბო მუშაობა გაუმჯობესდა

(ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში)

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში უკანასკნელ ხანებში მასიური კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. კლუბთან არსებულ წრეებში ჩაბმულნი არიან კლუბის აქტიური წევრები, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ წრეების მუშაობაში და ხელს უწყობენ საკლუბო მუშაობის უფრო გაუმჯობესება - გაჯანსაღებას. კლუბთან გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიაც შუქდება საკლუბო მუშაობის ნაკლი და მიღწევები.

აღსანიშნავია, რომ კლუბში სწარმოებს არა მარტო კულტურული მუშაობა: საღამო-წარმოდგენების გამართვა, კონცერტების მოწყობა და სხვა, არამედ კლუბი ეხმაურება ჩვენი ყოველდღიური ყოფა - ცხოვრების საკითხებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამოყენებულ ლოზუნგების განხორციელებაში. ამ მხრივ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ორჯონიკიძის სახელობის კლუბს პირველი ადგილი უკავია თბილისის მუშათა კლუბებში. იგი არამც თუ მარტო კულტურული კერაა, რკინის გზელ მუშებისათვის, არამედ ამავე დროს არის მუშათა კვალიფიკაციის გამაუმჯობესებელი დაწესებულებაც. კლუბში ხშირად იმართება მხატვრული საწარმოო სახის საღამოები, რომლებსაც აუარებელი ძველი კვალიფიციური მუშები ესწრებიან.

ზამთრის სეზონის განმავლობაში კლუბის გამგეობამ მოაწყო ორი საწარმოო მხატვრული საღამო. პირველი საღამო იყო საწარმოო თათბირების შემოწმება. კლუბმა ამ შემოწმებაში გამოიჩინა თაოსნობა და მთელი მუშათა მასა ჩააბა საწარმოო თათბირების მუშაობის გაჯანსაღების საქმეში. მეორე საწარმოო საღამო იყო მუშა გამომგონებელთა საღამო, რომელსაც აგრეთვე აუარებელი ხალხი დაესწრო.

ამ საღამოებმა ერთის მხრივ გააუმჯობესეს საკლუბო მუშაობა და მეორეს მხრივ ძველი მუშები დაუკავშირეს კლუბს. ასეთი საღამოების მოწყობა დიდ სარგებლობას მოუტანს საკლუბო მუშაობას, ამისათვის მომავალშიაც უნდა განაგრძოს კლუბის გამგეობამ საწარმოო მხატვრული საღამოების მოწყობა. ასეთივე მუშაობა უნდა აწარმოონ სხვა მუშათა კლუბებმაც. დროა უმნიშვნელო, წვრილმან მუშაობიდან მუშათა კლუბები გადავიდნენ უფრო დიდმნიშვნელოვან მუშაობაზე, ძველი, უკვე დრომოჭმულ წარმოდგენებით მუშათა მასას ვერ ჩავაბამთ საკლუბო მუშაობაში. ამისათვის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია საწარმოო საღამოების მოწყობა, რომელიც უფრო საინტერესო და საყურადღებოა მუშებისათვის, ვიდრე რომელიმე პიესის დადგმა, ან ბალეტის გამართვა, რომელსაც ზარალის მეტი არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ამით, რასაკვირველია ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ მუშათა კლუბებში სრულებით არ უნდა იდგმებოდეს პიესები და არ ეწყობოდეს ბალეტები, პირიქით, ეს საჭიროა, მაგრამ ჯერ ერთი, რომ მუშათა კლუბებში გამართული ყოველი საღამო მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული წარმოებასთან და მუშათა ყოფა-ცხოვრებასთან და მეორეც დღეს, როდესაც ფაბრიკა - ქარხნებს შორის გაცხოველებული შეჯიბრება მიმდინარეობს, წარმოების გასაჯანსაღებლად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, საწარმოო დისციპლინის განსამტკიცებლად და სხვა, საკლუბო მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს საწარმოო საღამოების მოწყობას. ამით მუშათა კლუბები ხელს შეუწყობენ წარმოების განმტკიცებას.

ორჯონიკიძის სახელობის კლუბმა ამ მხრივ უკვე გადასდგა პირველი ნაბიჯი. საჭიროა ამ მაგალითს მიმართონ სხვა მუშათა კლუბებმაც.

კლუბის წევრი.

უყაირათო მშენებლობა

(ხაშური)

ხაშურში 8 წელია, რაც დაიწყეს კლუბის შენება, რომლის ხარჯთ - აღრიცხვაც გათვალისწინებული იყო 500.000 მანეთით. სინამდვილეში ჯერ-ჯერობით კლუბის მშენებლობაზე უკვე დახარჯულია 1.000.000 მანეთამდე და კლუბი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ეს იმით აიხსნება, რომ კლუბს თავიდანვე არ ჰყავდა შესაფერი მზრუნველი და სამუშაოს ხელმძღვანელი. საძირკველი ჩაუყარა ვიღაც მოიჯარადრემ, რომელსაც უნდა დაემთავრებია მთელი მშენებლობა, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო.

1927 წელს კლუბის მშენებლობა გადაეცა „სამშენს", რომელმაც სამუშაოს ხელმძღვანელად გამოგზავნა იოსელიანი. ეს კაცი ყოვლად ჯიუტი და შეუფერებელია ასეთი საქმიანობისათვის. ის არავითარ ანგარიშს არ უწევს არც პროფორგანოს, არც სხვა უშუალო ხელმძღვანელ აპარატს და სხვა. არ აძლევს მუშა ხელოსნებს თავის დროზედ კუთვნილ ხელფასს, 3-4 თვის განმავლობაში არ იხდის დამზღვევ სალაროს პროცენტულ ანარიცხებს და სხვა. რაც დიდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზედ. ხაშურის საამშენებლო კავშირმა თავის დროზედ მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება, იხმარა ყოველგვარი ღონისძიებანი კლუბის მშენებლობის საქმის გასაუმჯობესებლად, მაგრამ სათანადო ორგანოების უყურადღებობის გამო მოხდა საგულისხმო თანხის გადახარჯვა და კლუბი ჯერაც არ არის დამთავრებული. — ასეთი მუშაობით შორს ვერ წავა ჩვენი მშენებლობა, დროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ნაპერწკალი.

ასე ესმით მომჭირნეობა

(ზუგდიდის კლუბი)

ზუგდიდში საკლუბო მუშაობა სათანადო დონეზე იყო დაყენებული. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ზუგდიდი არ ჩამორჩებოდა სხვა კუთხეებს; მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მთელი მშრომელი ინტელიგენცია, მაგრამ უკანასკნელ ხანებში პეტრე მეუნარგიას წყალობით მთელი კულტურული ძალა დაიქსაქსა. კლუბს აღარავინ ეკარება ახლოს. 6—7 თვე იქნება, რაც ზუგდიდის პროფკავშირების თავ-რეს ამხ. პ. მეუნარგიას არ მოუწვევია სხდომა და არ განუხილავს, როგორც სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები, ისე საკლუბო მუშაობის საკითხებიც. ამან საკლუბო მუშაობას თავისი დაღი დაასვა და აურ-დაურია მთელი მუშაობა.

კლუბს წელიწადში ეძლევა 4.000 მანეთამდე დოტაცია. გარდა ამისა მაზრაში არსებული ყველა კავშირები იხდიან თვეში 40-50 მანეთს კლუბის სასარგებლოდ. ეს თანხა უნდა მოხმარდეს საკავშირო მუშაობას და მასების კულტურული დონის აწევას, მაგრამ მეუნარგია ამ თანხას როგორც უნდა ისე ხარჯავს. კლუბს ჰყავს გამგე, რომელსაც ეძლევა თვეში 100 მანეთი. რეჟისორს ეძლევა 200 მანეთი, მის თანაშემწე თაქთაქიძეს 60 მანეთი. საქმით კი არც ერთი და არც მეორე არაფერს აკეთებენ. ცეკვის მასწავლებელი იაშვილი კლუბიდან ღებულობს 60 მანეთს თვეში. მაგრამ იგი მარტო მეუნარგიას და მის მეგობარ თ. ჩხეტიას ბავშვებს ასწავლის ცეკვას. კლუბისათვის ის სრულებით არ იცლის. იაშვილის მეუღლეს, როგორც კლუბის მოლარეს, 80 მანეთი ეძლევა თვეში, მუშაობით კი კვირაში მხოლოდ ორ დღეს მუშაობს. მუსიკის ხელმძღვანელს ეძლევა 100 მანეთი თვეში. მიუხედავად ამისა მუსიკის ინსტრუმენტი უპატრონობის გამო დაზიანდა და თბილისში გაიგზავნა შესაკეთებლად. ამ საქმეზე მივლინებული უნდა ყოფილიყო თვით მუსიკის ხელმძღვანელი, როგორც მცოდნე ამ საქმისა. მეუნარგიამ მიავლინა იაშვილი, რომელსაც არაფერი გაეგება ამ საქმის. ამას მოჰყვა ინსტრუმენტის სამჯერ შეკეთება და ათას მანეთამდე უნაყოფოდ დახარჯვა.

კლუბის მუსიკის თანამშრომლებისათვის შეიძინეს ტანისამოსი. აქედან მეუნარგიას დასაც ხვდა ერთი წყვილი კლუბის ხარჯზე. ეს აშკარა ბოროტმოქმედებაა და სათანადო ორგანომ უნდა მიაქციოს მას ყურადღება.

კლუბს გასავალი აქვს თვეში 640 მანეთი. აქედან 840 მან. სრულიად უნაყოფოდ იხარჯება. კლუბში მომუშავე და სცენის მოყვარე მშრომელი ინტელიგენცია, წინად სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდა და საკლუბო მუშაობაც წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მეუნარგიამ ასეთი უთაო მუშაობის გამო მთელი აქტივი ჩამოაშორა კლუბს.

კლუბის წევრი.

სპარსეთის ბაზარი და საქართველოს მრეწველობის პროდუქცია

საბჭოთა საქართველო ახლოა სპარსეთის საზღვართან და ამიტომ, აქედან სპარსეთში ექსპორტის სატრანსპორტო ხარჯები შედარებით მცირეა. ეს გარემოება ხელს უწყობს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტს სპარსეთში.

საჭიროა გავეცნოთ სპარსეთის, აზერბეიჯანის და გილიანის პროვინციის ბაზრის საერთო კონიუნქტურას იმ საქონლისათვის, რომელსაც საქართველოს მრეწველობა ამზადებს. ამ საქონლის კონიუნქტურა დღეს ასეთია:

ბოსტნეული. ჩრდილო სპარსეთში ბევრია ბოსტნეული (კარტოფილი, კიტრი, პამიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო, სტაფილო, ბოლოკი), რაიც სავსებით აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. შემოტანილი ბოსტნეული შეიძლება გასაღებულ იქნას მხოლოდ კონსერვების სახით, ჯერჯერობით უმნიშვნელო რაოდენობით.

1926 — 27 წელს სპარსეთის აზერბეიჯანში შეტანილ იქნა 326 ბათმანი (ბათმანი 2,97 კილოგრ.) ბოსტნეულის კონსერვი.

1927 — 28 წელს ეს ექსპორტი გაიზარდა დაახლოებით ერთი სამად. მომავალში ბოსტნეულის კონსერვების ექსპორტი კიდევ უფრო გაიზრდება. საორიენტაციო ცნობებით, ყოველწლიურად გატანილ იქნება 175 — 200 ყუთი (თითო ყუთში 1.000 კოლოფი) ბოსტნეულის კონსერვი.

ხილის კონსერვები. ხილის კონსერვებს სპარსეთის აზერბეიჯანში და გილიანის პროვინციაში ვერ გავიტანთ, რადგან ეს რაიონები მდიდარია ხილით და მათ თვითონ გააქვთ აუარებელი ხილი საგარეო ბაზარზე. ამასთან ბოლო დროს სპარსეთში ცდილობენ საკონსერვო ქარხნების მოწყობას.

1926 — 27 წელს სპარსეთის აზერბეიჯანში შეტანილ იქნა 166 ბათმანი ხილის კონსერვები.

ღვინო - კონიაკის ნაწარმოებნი. ღვინის ექსპორტი მეტად განსაზღვრული რაოდენობით არის შესაძლო. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ წლებში სპარსეთში დაიწყეს ადგილობრივი ღვინის დამზადება, რომელიც ჯდება 1—1 კრანი 60 სანტ., ხოლო შეტანილი ღვინო, რომელიც დიდი ბაჟით იბეგრება, ბაზარზე ფასობს 8-დან 12 კრანამდე. რაც შეეხება არაყ - კონიაკის ნაწარმოებს, სპარსეთის აზერბეიჯანში არის სპირტის ქარხანა, მაგრამ ამ ქარხანაში დამზადებული სპირტი და არაყი ცუდი ხარისხისაა. მაგარ სასმელებზე დიდი ბაჟი არსებობს, რაც აბრკოლებს ამ საქონლის შეტანას.

მინერალური წყლები. 1928 წლის ზაფხულამდე მინერალური წყლების მოთხოვნილება მეტად მცირე იყო. 1928 წლის ზაფხულში ეს მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა, განსაკუთრებით ბორჯომის წყალზე (400 ყუთი თავრიზში). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს ხანში მხოლოდ თავრიზში გასაღდება 1.000 ყუთი (თითო ყუთში 40 ბოთლია) ბორჯომის წყალი ყოველწლიურად.

თამბაქოს ნაწარმოები. სპარსეთის აზერბეიჯანის მოსახლეობა ხმარობს სპარსეთის ქურთისტანიდან და ურმიიდან შეტანილ თამბაქოს. მოსახლეობის ფართო ფენები სწევენ ჩიბუხს.

პაპიროსს ნაწილობრივ ამზადებენ ადგილობრივ (თავრიზში არის თამბაქოს ორი ფაბრიკა) და ნაწილობრივ იგი შემოაქვთ საზღვარგარეთიდან, უმთავრესად საბჭოთა კავშირიდან.

ადგილობრივი ფაბრიკები მკაცრს კონკურენციას აწარმოებენ შემოტანილი პაპიროსის წინააღმდეგ: ეწევიან აგიტაციას მოსახლეობას შორის, ვაჭრებთან სდებენ შეთანხმებას ადგილობრივი პაპიროსის გასაღების შესახებ და სხვ. შემოტანილი პაპიროსის გასაღებას ხელს უშლის აგრეთვე დიდი ბაჟები პაპიროსზე, რაიც აღწევს ღირებულების 80 პროც.-ს. ადგილობრივ დამზადებული პაპიროსი ბევრად ჩამოუვარდება საბჭოთა კავშირიდან შემოტანილ პაპიროსს, მაგრამ სამაგიეროდ ადგილობრივი პაპიროსი საგრძნობლად იაფია.

1926 — 27 წელს საბჭოთა კავშირიდან სპარსეთის აზერბეიჯანში შეტანილ იქნა 1924 ბათმანი პაპიროსი, ანუ 172.200 კრანის ღირებულებისა, ხოლო სხვა ქვეყნებიდან 73 ბათმანი, ანუ 5.460 კრანის ღირებულებისა.

ხე-ტყის მასალა, შპალები. როგორც ვიცით, სპარსეთის აზერბეიჯანში საამშენებლო მასალა თითქმის სრულებით არ არის. ევროპიული ტიპის შენობების აგების გამო, მოთხოვნილება საამშენებლო მასალებზე ყოველ წლობით იზრდება. ხე-ტყის მასალა (ფიცრები, მორები) საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიძლება იქნას შეტანილი.

სარეცხი საპონი. 1928 წლამდე შემოტანილი საპონი სპარსეთის აზერბეიჯანში ძალიან მცირე რაოდენობით საღდებოდა, რადგან მუსულმანები რელიგიური ჩვეულების გამო არ ხმარობდნენ შემოტანილ საპონს. ისინი ხმარობდნენ შინამრეწველთა მიერ ადგილობრივი ცხიმისაგან დამზადებულ საპონს. 1928 წელს საქონლის დახოცვის გამო ადგილობრივი ცხიმის დიდი ნაკლებობა იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია შემოტანილი სარეცხი საპონის მოთხოვნილების საგრძნობლად გადიდება. სპარსეთის აზერბეიჯანის ბაზარზე ყოველწლიურად შეიძლება გასაღებულ იქნას 8 — 100 ტონა საპონი.

საწოლები. მოთხოვნილება საწოლებზე ყოველწლობით იზრდება. უკანასკნელ დრომდე საწოლები შემოჰქონდათ გერმანიიდან. უკანასკნელ წელს საწოლები შეაქვთ საბჭოთა კავშირიდან, კერძოდ საქართველოდან.

ავეჯი. მოთხოვნილება შემოტანილ ავეჯზე ძალიან მცირეა, რადგან მუსულმანები მას თითქმის არ ხმარობენ. წარსული სამი წლის განმავლობაში ჩრდილო და ცენტრალურ სპარსეთში ავეჯი შემოჰქონდათ გერმანიიდან. სპარსეთის ბაზარზე დიდი რაოდენობით შეიძლება იქნას გასაღებული საქართველოს ავეჯის ფაბრიკაში დამზადებული სკამები.

ამგვარად, საქართველოდან სპარსეთის ბაზარზე შეიძლება გატანილ იქნას ბოსტნეულის კონსერვები, ღვინო - კონიაკის ნაწარმოები, ბორჯომის წყალი, თამბაქოს ნაწარმოები, ხე-ტყის მასალა, სარეცხი საპონი, საწოლები და გრეხილი - ავეჯი.

რამდენად რენტაბელური შეიძლება იყოს საქართველოს საქონლის გასაღება სპარსეთის ბაზარზე?

სარეცხი საპონი. სარეცხი საპონის გასაცემი ფასი თბილისში, საქ. სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ცნობებით, შეადგენს 450 მან. ტონაზე, ხოლო საქარხნო თვითღირებულება— 353 მან. 11 კაპ.-ს. ჩერვონეცის საშუალო კურსი სპარსეთის აზერბეიჯანში და გილიანში უდრის 28—30 კრანს. მაშასადამე, სარეცხი საპონის გასაცემი ფასი თბილისში სპარსული ვალიუტით უდრის 1350 კრანს ტონაზე. საქონლის ხარჯები თბილისიდან თავრიზამდე (სატრანსპორტო, საბაჟო და სხ.) ტონაზე უდრის 417 კრ. 80 სანტ., მაშასადამე, თავრიზში შეტანილი სარეცხი საპონის თვითღირებულება შეადგენს 1767 კრ. 80 სანტიმს. ტონაზე. თავრიზის ბაზარზე კი 1 ტონა საპონი ახლა ღირს 2.100 კრანი.

ბორჯომის წყალი. ბორჯომის წყალის გასაცემი ფასები, საქ. კურორტთა სამმართველოს ცნობებით, უდრის 135 მან. 60 კაპ. ტონაზე, ანუ 406 კრ. 80 სანტიმს (1 მან.— 3 კრანი). ხარჯები ბორჯომიდან თავრიზამდე შეადგენს 268 კრ. 12 სანტიმს. თვითღირებულება ფრანკო - თავრიზი — 674 კრ. 92 სანტ. ტონაზე; ხოლო სპარსეთის ბაზარზე 1 ტონა ბორჯომის წყალი ფასობს 1.440 კრანი. ამგვარად ბორჯომის წყალის ექსპორტი სპარსეთში ძალიან სასარგებლოა და ფასების შემცირება ამ საქონელზე სავსებით მიზანშეწონილია.

ვენური სკამები. მარელის ფაბრიკაში დამზადებული სკამის გასაცემი ფასი უდრის 6 მანეთს, ხოლო 12 ცალის ფასი 72 მანეთს, ანუ 216 კრანს. თუ ამ რაოდენობას მიუმატებთ საექსპორტო და სხ. ხარჯებს, 12 სკამის თვითღირებულება შეადგენს თავრიზში — 253 კრანს, პეხლევეში — 244 კრანს, ყაზვინში — 251 კრანს, თეირანში— 253 კრანს. ხოლო გერმანული სკამების (12 ცალი) საბაზრო ფასები თავრიზში უდრის 360 — 380 კრანს. განსხვავება თვითღირებულებისა და საბაზრო ფას შორის საუცხოვოდ შეიძლება იქნას გამოყენებული აღმოსავლეთის ასორტიმენტის დასამზადებლად, რაზედაც მოთხოვნილებაა სპარსეთის ბაზარზე.

ლითონის საწოლები. საქართველოს ლითონტრესტის მიერ დამზადებული საწოლის გასაცემი ფასი უდრის 75 — 82 მანეთს, (საქ. ს. მ. უ. საბჭოს ცნობებით). თუ ამას მიუმატებთ საექსპორტო და სხ. ხარჯებს, 1 საწოლის თვითღირებულება თავრიზში შეადგენს 254 კრანს, პეხლევეში — 248 კრანს, ყაზვინში — 256 კრანს და თეირანში—260 კრანს. სპარსეთის ბაზარზე საწოლი ფასობს 180 — 200 კრანი. მაშასადამე, საჭიროა გასაცემი ფასების შემცირება.

თამბაქოს ნაწარმოები. პაპიროსის გასაცემი ფასები (უაქციზოდ), საქ. ს. მ. უ. საბჭოს ცნობებით, შეადგენს „რეკორდისათვის" — 5 მან. 50 კაპ. 1000 ცალზე, ანუ 16 კრ. 50 სანტიმს, ხოლო დანარჩენი პაპიროსებისათვის („საბჭოთა", „მოდერნი" და სხვ.)— 3 მან. 80 კაპ. ანუ 11 კრ. 40 სანტიმს. საბაზრო ფასები თავრიზში უდრის: „რეკორდის" — 34 კრ. 30 სანტ., „საბჭოთა" — 29 კრანს. დიდი ბაჟი (ფასის 80 პროც.) საგრძნობლად აძვირებს პაპიროსის ფასს, რის გამოც იგი მისაწვდომი ხდება მხოლოდ უფრო შეძლებული ფენებისათვის. თამბაქოს ნაწარმოების შეტანა თავრიზში რენტაბელურია, ხოლო ექსპორტის გადიდება დამოკიდებულია ფასების დაკლებაზე.

ზემოდ მოყვანილ გამოანგარიშებათა დროს ჩვენ მხედველობაში არ მიგვიღია საბაჟო ფასები, რამდენადაც ვიღებდით ტრესტების გასაცემ ფასებს. რაც შეეხება სპარსელი ვაჭრების მოგებას მეორე ხარისხოვან საქონელზე, ეს შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში, რადგან სპარსელი ვაჭრები, რომლებიც ასეთ საქონელს დატვირთვის სახით ღებულობენ, სპარსეთის ბაზარზე გაუსაღებელ საქონლის სიჭარბის პირობებში, ცდილობენ თანხები ხანგრძლივად არ დააბანდონ და ამიტომ ისინი მეორე ხარისხოვან საქონელს თვითღირებულების ფასებშიაც კი ჰყიდიან ხოლმე.

დ. ზავრიევი.

რა ხდება ადგილებზე

ბათუმის პროფაქტივის კრება

ბათუმი, 6 ივნისი. შესდგა პროფაქტივის საერთო - საქალაქო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. კახიანი. მოხსენება შეეხებოდა პროფკავშირთა მორიგ ამოცანებს მე-16 პარტკონფერენციისა და საბჭოების მე-5 ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. მოხსენების გამო პროფაქტივმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პროფაქტივი აღნიშნავს პარტკონფერენციისა და ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობას. პროფკავშირებმა გადაჭრით უნდა დასძლიონ როგორც ამქრული კარჩაკეტილობა, ისე მასების მიმართ ბიუროკრატიული უყურადღებობა, აგრეთვე მუშათა კლასის ყოველდღიურ საჭიროებათა და ინტერესთა დაცვის ამოცანების აბუჩად აგდება.

„პროფკავშირების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ამოცანას, — ნათქვამია რეზოლიუციაში, — წარმოადგენს მუშათა ახალი კადრების აღზრდა კლასობრივად, ბრძოლა მუშათა კლასზე წვრილ - ბურჟუაზიული და კულაკური ზეგავლენის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ რყევის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს მუშათა კლასის ერთს ნაწილში". (ადს).

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კამპანია

ახალციხე, 6 ივნისი. ამჟამად მიმდინარეობს სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის კამპანია. მაისის პირველ რიცხვებში ჩატარებულ იქნა ახსნა - განმარტებითი კამპანია, შემდეგ კამპანია აღმრიცხველი აპარატის მუშაკთა მოკლევადიანი კურსების მოსაწყობად. აღრიცხვა ყველგან დაიწყო 25 მაისს. მიღებული ცნობების მიხედვით, გაიზარდა ნათესის სივრცე.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კამპანიის წარმატებით და თავის დროზე დასამთავრებლად ახალციხის მაზრის აღმასკომი სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქს. (ადს).

მასებთან დაახლოვებისათვის

ამიერ - კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებს — მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ სისწორით იქნას შესრულებული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის დირექტივა მთხოვნელთა მიღების საქმის მოწესრიგების შესახებ. რესპუბლიკანურმა მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ინსპექციის ორგანოები მთხოვნელთა მიღების მხრივ სანიმუშო ორგანოებად გადაიქცნენ.

რათა მუშებს შეეძლოთ სამუშაო დროის დაუკარგავად პირადად მიმართონ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელ მუშაკებს, მუშ. და გლ. ინსპექციის ორგანოებში ყოველ დღე (უქმე დღეებშიაც) უნდა დაწესდეს საღამოს მორიგეობა ყოველგვარი წინადადების, განცხადების და საჩივრების მისაღებად საბჭოთა დაწესებულებებსა და საწარმოებში შემჩნეული დეფექტების შესახებ.

ამასთან ერთად მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ ცენტრ. საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის დადგენილება მთხოვნელთა მიღების შესახებ სავსებით განახორციელონ იმ სახელმწიფო დაწესებულებებმა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მასებთან (ადს).

ქართული წიგნის 300 წ. აღსანიშნავად

მიმდინარე წელს სრულდება 300 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა პირველი წიგნი ქართული ტექსტით. ეს წიგნი იყო „ქართულ - იტალიური ლექსიკონი", რომელიც გამოვიდა რომში 1629 წელს (Dittionario georgianoe Ataliano Jn Roma, CIDDC XXIX). მიუხედავად იმისა, რომ მწერლობა ჩვენში უძველეს დროიდან არსებობდა, ქართული წიგნის ბეჭდვამ საგრძნობლად დაიგვიანა. პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა 175 წლით გვიან პირველი ლათინური წიგნის გამოსვლის შემდეგ.

რასაკვირველია, ზედმეტია აქ იმის აღნიშვნა თუ რა კულტურული მნიშვნელობა აქვს ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლის იუბილეს სათანადოდ ჩატარებას, რადგან ეს არავისათვის საეჭვო არ არის.

მიუხედავათ ამისა, ძალიან მცირე რამ გაკეთდა აქამდის ამ დიდი კულტურული დღესასწაულის ჩატარების მოსამზადებლად. ეს საკითხი დაისვა უკვე 1926 — 27 წ. არსებობდა კიდეც სპეციალური კომისია, რომელმაც მიიღო მთელი რიგი ორგანიზაციული ზომები, შეიმუშავა კონკრეტული გეგმა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ დღესასწაულის აღსანიშნავად; მაგრამ, შემდეგ სამზადისი მიყუჩდა და აი, უკვე კარგა ხანია კომისიაც აღარ არსებობს.

ამასთანავე, თვითეულ ორგანიზაციაში ცოტაოდენი მუშაობა მაინც ჩატარდა. სახელგამმა გამოსცა დავით კარიჭაშვილის გამოკვლევა „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია" და ერთი მოზრდილი წიგნი ამავე თემაზე კვლავ იბეჭდება. უნივერსიტეტი ამზადებს რამდენიმე გამოკვლევას. ცოტაოდენი მუშაობა აგრეთვე ჩაუტარებია სხვა ორგანიზაციებს და კერძო პირთ.

ამას უნდა დაუმატოთ არსებული წყაროები, 1629 წლიდან დაბეჭდილი წიგნების ქრონოლოგიური სიები, გამოცემული ყოფილ კავკასიის საცენზურო კომიტეტის და შემდეგ წიგნის პალატის მიერ. აგრეთვე ცალკე წერილები და ზოგადი გამოკვლევანი, რომელნიც ასე თუ ისე ეხებიან წიგნის ბეჭდვის ისტორიას. არსებობს მთელი რიგი ისტორიული ძეგლები, დოკუმენტები, რომელნიც შუქსა ჰფენენ 17 და 18 საუკუნის პოლიგრაფიას და სტამბის მუშების შრომის პირობებს და ყოფა-ცხოვრებას.

ამრიგად, უნდა შეგროვილიყო ყოველივე ეს მასალა და გადასცემოდა საგანგებო კომიტეტს შესასწავლად, გამოკვლევის დასამთავრებლად და კვლავ ორგანიზაციულ ზომების მისაღებად, რათა ქართული წიგნის დიდი დღესასწაულის შესაფერი პოპულიარიზაცია მომხდარიყო და თვით იუბილეს ჩატარების გეგმა განხორციელებულიყო. მაგრამ ამისათვის ჯერ არაფერი გაკეთებულა. დრო კი ძალიან ცოტა დარჩა, რადგან დღესასწაული მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს.

საქართველოს პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა პროფკავშირმა, თავის ინიციატივით,—მოიწვია 5 ივნისს საგანგებო კრება, რომლის მიზანიც იყო გაეთვალისწინებია მდგომარეობა და კვლავ დაესვა საიუბილეო დღესასწაულის ორგანიზაციის საკითხი. კრებამ დაადგინა სასწრაფოდ დაისვას საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა დაუყოვნებლივ იქნეს შედგენილი მთავრობის საიუბილეო კომიტეტი დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან, რომელსაც დაეკისრება დღესასწაულის მოწყობა და ჩატარება.

საიუბილეო კომიტეტი ეხლავე უნდა შეუდგეს ყველა არსებულ მასალების და დოკუმენტების შეკრებას. უნდა მოიწვიოს მკვლევარნი და მეცნიერნი, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესასწავლად. კომიტეტმა უნდა გამოიმუშაოს საბოლოო კონკრეტული გეგმა იუბილეს აღსანიშნავად, გამოსცეს მთელი რიგი წიგნები, გამოკვლევანი, პოპულიარული ბროშურები და გააშუქოს საკითხი პრესაში. კერძოდ, გარდა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის კვლევა - ძიების და 1629 წლიდან დაბეჭდილ წიგნების პოლიგრაფიულ სიების შესწავლისა, — საჭიროა მეცნიერ - ისტორიკოსთ დაევალოს გამოკვლევა იმ დროინდელ პოლიგრაფიულ პრიმიტიულ ტეხნიკის, მისი ევოლიუციის და აგრეთვე სტამბის მუშათა შრომის პირობების და ყოფა - ცხოვრების შესწავლა. ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფკავშირი ფრიად დაინტერესებულია ამის მეცნიერულ დასაბუთებაში.

ჩვენ არ შევეხებით მრავალ ზომებს, რომელნიც მიღებული იქნებიან საიუბილეო კომიტეტის მიერ. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საჭიროა შეგროვება ყველა წყაროების, რომელნიც ასე თუ ისე ეხება, პირველ ქართულ სტამბას. კარგი იქნება, რომ საიუბილეო გამოფენაზე მოწყობილაშენებული იქნეს, ძველებურ აღწერის მიხედვით, მე-17—18 საუკუნის პრიმიტიული ქართული სტამბა. ეს იდეა სხვათა შორის, შესანიშნავად იყო განხორციელებული შარშან ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენაზე კიოლნში. გამოფენის ტერიტორიაზე აგებული იყო ტიპიური პირველი გუტენბერგის სტამბა, რომლის თითქმის ყოველი დეტალი გადმოღებული იყო ორიგინალიდან, მაშინდელ საწარმოო საშუალებებით — ხის დაზგებით, პრიმიტიულ ხის პრესით და ტექსტების ჩამოსხმით. სტამბის მუშები შესაფერ ტანისამოსში იყვნენ ჩაცმულნი და დამსწრეთ აჩვენებდნენ გუტენბერგის სტამბის წარმოების მთელ პროცესს— აქვე გვერდით აშენებული იყო პირველი პრიმიტიული ქაღალდის ქარხანა ფილაქნის იატაკით, ჩაბნელებული, ჩვენებური მიყრუებულ წისქვილის მაგვარი. ქაღალდს, დამზადების შემდეგ, სტამბას აწვდიდნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალმა კომიტეტმა ჩვენშიაც უნდა განახორციელოს ეს იდეა დღესასწაულის ჩატარების დროს.

დრო ძალიან ცოტა დარჩა. საჭიროა აჩქარება. დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს მთავრობის მიერ გამოყოფილი ავტორიტეტული საიუბილეო კომიტეტი, რომელმაც ამ მოკლე ხანში უნდა შეიმუშაოს კონკრეტული გეგმა და ეხლავე შეუდგეს ამ გეგმის განხორციელებას.

ლევ. აღნიაშვილი.

წითელ ჯარში

შვებულ წითელ - არმიელთა მომზადება

მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელი ჯარის რიგებიდან გრძელვადიან შვებულებაში გაშვებული იქნება მრავალი ათასი წითელი არმიელი.

იმის შესახებ, თუ როგორ იწარმოებს შვებულთა მომზადება სოფლად მუშაობისათვის, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს კავკ. წითელდროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოში შემდეგი აცნობეს.

შვებულ არმიელებთან მეცადინეობის დროს ყურადღება მიექცევა ძლიერი კადრის მომზადებას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, მასიური კოლექტივიზაციის და გლეხობის საწარმოო კოოპერაციაში ჩაბმის საქმისათვის. მთელი ეს მუშაობა ამავე დროს დაკავშირებული იქნება შვებულთა მომზადებასთან სოფლის გასამხედროების დარგში სამუშაოდ.

ზაფხულის განმავლობაში შვებულ წითელ არმიელებმა საუკეთესოდ უნდა შეითვისონ პარტიის გენერალური ხაზი სოციალისტურ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნაში და სხვ.

ზაფხულის პერიოდში კურსების საშუალებით მომზადებული იქნებიან სამხედრო საქმის ხელმძღვანელნი, თავდაცვა - ავიაქიმის აქტივი, კინო-რადიო-მექანიკოსები, ტრაქტორისტები და შოფერები, ფიზკულტურის ორგანიზატორები, მასწავლებლები და სხვ.

მანევრების დამთავრების შემდეგ ნაწილებში მოეწყობა კურსები, რომლებიც მოამზადებენ სოფლის კოოპერატორებს, კოლმეურნეობების მუშაკებს, მილიციონერებს, პოლიტ-განათლების დარგში მომუშავეთ და სხვა.

ზემოდ ჩამოთვლილი კურსები უნდა გაიაროს მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების 50 პროც.

იმ მიზნით, რომ წარმატებით ჩატარდეს შვებულთა მომზადება სოფლად მუშაობისათვის, საჭიროა ადგილობრივი პარტიულ, პროფესიონალური, პოლიტსაგანმანათლებლო და საბჭოთა ორგანიზაციების ფართო დახმარება.

კურსები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მასწავლებლებით და სახელმძღვანელოებით.

წინასწარ უნდა იქნეს მიღებული ზომები სოფლად დაბრუნებულ შვებულ არმიელების გამოსაყენებლად შესაფერ სამუშაოზე.

ბანაკად უკვე მოეწყო ცნობათა ბიუროები, რომლებიც მიაწვდიან შვებულებს ყველა საჭირო ცნობებს, რომლებიც ეხება მათ მომავალ მუშაობას.

მიღებულია ზომები, რომ ყველა შვებულმა წითელ - არმიელებმა სახლში წასვლამდე საუკეთესოდ შეითვისონ წერა-კითხვა.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ინსპექტორთა თათბირი

თათბირის მეორე სხდომაზე, 6 ივნისს, მოსმენილი იქნა ამხ. დგებუაძის მოხსენება ვადაგადასულ სესხების აკრეფის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში თანდათან იზრდებოდა ვადაგადასულ სესხების ჯამი, ხოლო გასული წლის ოქტომბრიდან ვადაგადასულ სესხების ზრდამ საკრედიტო ამხანაგობებში საშიში ხასიათი მიიღო. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის 92 ამხანაგობაზე ირიცხებოდა სესხი 4.233.312 მანეთის რაოდენობით, აქედან ვადაგადასული სესხები შეადგენდა 943.664 მანეთს, ანუ 22,3 პროცენტს. ვადაგადასულ სესხების აკრეფის კამპანია დაიწყო თებერვლის დამლევს და გაგრძელდა 1 მაისამდე. ამ კამპანიაში ჩაბმული იყვნენ არა მარტო სას.-სამ. საკრედიტო სისტემის მუშაკები, არამედ ადგილობრივი ორგანოების და საზ. ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. კამპანიამ არა მარტო შეაჩერა ვადა გადასულ სესხების ზრდა, არამედ საგრძნობლად შეამცირა ამ სესხების ნაშთები, რომლებსაც გასულ წელს მიღებული ქონდა სტაბილური ხასიათი. გეგმის თანახმად, კამპანიის დასასრულისთვის მთელს საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად აკრეფილი უნდა ყოფილიყო 2.400.000 მანეთი; აქედან 1.000.000 მან. ვადიანი სესხი, 1.000.000 მანეთი ვადაგადასული, 150.000 მანეთი ვადამდე (იმ პირთაგან, რომლებსაც კანონით არ ეგებოდა სესხი— კულაკები, მოსამსახურეები და სხ. — ან რომლებმაც სესხი გამოიყენეს არა დანიშნულ მიზნებისათვის), ხოლო 250.000 მანეთი საპაიო.

1 მაისისათვის საქართველოში (აფხაზეთისა და აჭარისტანის გამოკლებით) აკრეფილ იქნა 1.689.621 მანეთი (ვადიანი — 574.974 მან., ვადაგადასული — 983.833 მან., ვადამდე— 10.456 მანეთი და საპაიო — 120.358 მანეთი). ამრიგად, ვადაგადასულ სესხების ხვედრითი წონა 22,3 პროცენტიდან დაყვანილ იქნა 11,9 პროცენტამდე.

თვითეულ ამხანაგობაზე ა.-წ. 1 იანვრისათვის ირიცხებოდა საშუალოთ 10.500 მანეთი. ვადაგადასული სესხი, ხოლო პირველ მაისისათვის ეს თანხა შემცირებული იქნა 6.800 მანეთამდე.

აფხაზეთის სას.-სამ. ბანკის თავმჯდომარის ამხ. ჩუკმარის თანამოხსენებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთში გლეხების ვადაგადასული სესხების ჯამი 1 იანვრისათვის უდრიდა 321 ათას მანეთს, აქედან კამპანიის დროს აკრეფილი იქნა 128.000 მანეთი, 1 მაისისათვის ასაკრეფი დარჩა 193.000 მანეთი.

ეკონომიურ საბჭოში

საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტები

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ეკონომსაბჭოსთან არსებულ საამშენებლო - სატეხნიკო კომიტეტს საქც. საზ-ბა „სამშენი"-ს, ახალშენებათა კომიტეტის, თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებისა და საბინაო კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეთანხმებული ლიმიტის დაწესების მიზნით გადასინჯოს საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტები და სათანადო მოხსენება წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს.

ამასთანავე წინადადება მიეცა საამშენებლო - სატეხნიკო კომიტეტს შეისწავლოს საცხოვრებელ სახლების ტიპების საკითხი.

ქ. სიღნაღის კეთილმოწყობა

ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა კახეთის სამაზრო აღმასკომს მიიღოს საქართველოს კომუნალურ ბანკიდან მოკლევადიანი სესხი 21.563 მან. რაოდენობით ქ. სიღნაღის კეთილმოწყობისათვის.

წინადადება მიეცა კომუნალურ ბანკს აღნიშნული თანხა შეიტანოს თავის 1929— 30 წ. საკრედიტო გეგმაში.

საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისი უბნის გადაცემა თბილისის აღმასკომისათვის

წინადადება მიეცა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისი უბანი, რომელიც ქ. თბილისის ფარგლებში იმყოფება, მიმდინარე წლის ოქტომბრის 1-დან გადასცეს თბილისის აღმასკომს.

სამოქალაქო ავიაციის გამოყენება სოფლის მეურნეობაში

წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ავიაქიმთან ერთად დეტალურად შეისწავლოს 1928 — 29 და 1929 — 30 წ. წ. განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობაში და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის სამოქალაქო ავიაციის გამოყენების საკითხი, შეადგინოს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინოს იგი სახკომსაბჭოს.

სატრანსპორტო ორგანიზაციის შექმნა საამშენებლო მასალათა გადასაზიდათ

ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის სისტემაში საამშენებლო მასალების გადამზიდავი (როგორც სამრეწველო აღმშენებლობისა, ისე მსხვილ დამზადებათა) არტელების მოწყობა.

ორშაბათს, ივნისის 10-ს, საღამოს სრულ 5 საათზე

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში (რუსთაველის პროს. № 21, რუსთაველის თეატრის გვერდით) მოწვეულია

კომუნალურ მეურნეობის და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა

გაერთიანებული რესპუბლიკანური

თათბირი

2—2 საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს მწერლები ბაქოში

I

მახსოვს ამ ორი წლის წინათ ამიერ-კავკ. საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე მთავრობის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა საქართველოს მწერლების დელეგატი—პაოლო იაშვილი, რომელიც შეეხო ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კულტურულ ურთიერთობის საკითხებს.

ჩვენ,—განაცხადა მან,—თურქები, სომხები და ქართველები არ ვიცნობთ ერთმანეთის კულტურას... ვამბობ გულახდილად, რომ დღემდე მე არ ვიცი აზერბეიჯანის არც ერთი თანამედროვე თურქ-მწერლის სახელი. არავინ ზრუნავს, რომ ჩვენი მეზობლების მიღწევები (ხელოვნების და კულტურის დარგში) ჩვენთვის მისაწვდომი გახდეს. საჭიროა, რომ აზერბეიჯანის გლეხებმა, მუშებმა და თვით ინტელიგენტებმაც იცოდნენ რამე თანამედროვე საქართველოს მიღწევებზე: ამიტომ საჭიროა ჩვენი რესპუბლიკების სახელგამებმა გამოსცენ მწერლები, რომელნიც თავის შემოქმედებით შეჭრილნი არიან თანამედროვე სოციალისტურ მშენებლობაში... საქართველოს მწერლებს საშუალება უნდა მიეცეს, გაემგზავრონ სომხეთსა და აზერბეიჯანში, გაეცნონ მათ მწერლობას, მხატვრობას, მუსიკას, ხელოვნების და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. და პირიქით, მეზობელი რესპუბლიკების მწერლები უნდა გაეცნონ საქართველოს მიღწევებს კულტურულ ფრონტზე.

პაოლო იაშვილის მიერ აღძრულ საკითხზე შეჩერდა ამიერ-კავკ. მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარე ამხ. მამია ორახელაშვილი.

— დიდი ნაბიჯია წინ, როცა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კულტურულ კავშირზე ლაპარაკობს პოეტი იაშვილი, მწერალთა იმ ჯგუფის წარმომადგენელი, რომელსაც წინად მუშების და გლეხების დიქტატურაზე უფრო მისაღებად მიაჩნდა დემოკრატიის გზა. მაშინ ისინი სცდებოდნენ და ეხლა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი აღიარებენ ამ შეცდომას, დროა, რომ შურისა და მტრობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კულტურისა და ხელოვნების მუშაკნი ერთმანეთს ძმურად გადაეხვიონ... რაც შეეხება მწერალთა მოგზაურობას, ეს არის პირველ ყოვლისა, საქმე იმ ორგანიზაციების, რომლებმაც გადასწყვიტეს განათლების და ხელოვნების მუშაკთა ურთიერთ დაახლოება. რადგან, თუ მეცნიერების და ხელოვნების მუშაკნი არ გამოიჩენენ ურთიერთ დაახლოების სურვილს, მაშინ საკითხი უნდა დაისვას ინტელიგენციის ისტორიული მისიის გაკოტრების შესახებ.

ამ დღიდან ეს საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრა. იგი აქტუალური გახდა. მას უძღვნეს საგანგებო წერილები თბილისის და სომხეთის გაზეთებმა. ყველა ერთხმად მოითხოვდა, რომ გადადგმულიყო პრაქტიკული ნაბიჯი ამ დაახლოვებისათვის.

ორი წლის განმავლობაში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. გახშირდა მისვლა-მოსვლა მწერალთა და მეცნიერთა შორის, გამოიცა სპეციალური ჟურნალი, რომელიც თავის ფურცლებზე ათავსებს ამიერ-კავკ. რესპუბლიკების მწერალთა შემოქმედების ნიმუშებს, ითარგმნა ურთიერთ ენებზე მეზობელ ეროვნებათა მწერლების ნაწარმოები. საქართველოს მწერლობის ერთმა ნაწილმა — პროლეტარულმა მწერლობამ შექმნა მთლიანი ორგანიზაცია, პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელშიაც შედიან საქართველოში მცხოვრები—ყველა ეროვნების პროლეტარული მწერლები, ამჟამად ეს ასოციაცია წარმოადგენს კულტურული დაახლოების ავანგარდს, მან თავისი ორი წლის მუშაობით უკვე მოამზადა ნიადაგი ამიერ-კავკასიის ხელოვნების მუშაკთა მჭიდრო კავშირისათვის.

უკვე მომწიფდა პირობები იმისათვის, რომ მწერლები პირის პირ შეხვედროდნენ ერთმანეთს კულტურული დაკავშირების პრაქტიკული საკითხების მოსაწესრიგებლად.

დაყოვნება—უკვე დანაშაულს ნიშნავდა. კულტურული დაახლოების შესახებ საკითხის დასმა საბჭოთა კავშირში ყველას მოვასწარით, მაგრამ იგი ჩვენზე უფრო ადრე განახორციელეს უკრაინამ და ბელორუსიამ, რომელთა მწერლების მოგზაურობამ მოსკოვსა და ლენინგრადში კულტურული დღესასწაულის ხასიათი მიიღო.

და აი, საქართველოს მწერალთა ფედერაციამ მოაწყო თავისი წარმომადგენლების პირველი მოგზაურობა. მან გამოჰყო დელეგაცია, რომელშიაც შედიოდა მწერალთა ყოველი ჯგუფის რამოდენიმე წარმომადგენელი, სულ 22 კაცი.

დელეგაციას უნდა გაეკეთებია ერთი საქმე, მის წევრებს ჰქონდათ დაკისრებული ერთი მისია: მეზობელ რესპუბლიკის მწერლობასთან დაახლოება და მათ ორ ძმურ ხალხთა კულტურული კავშირის განმტკიცება.

ამ გადაწყვეტილებით შესდგეს ფეხი ბაქოში გაგზავნილმა დელეგატებმა თბილისის რკინის გზის სადგურის სასადილო დარბაზში. გაჩაღდა საუბარი ბაქოში მგზავრობაზე, დელეგაციის მიზნებზე, აზერბეიჯანის მწერალთა მოსალოდნელ შეხვედრაზე. და, საერთოდ, ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე.

მოაწია გამგზავრების დრომაც. დაჰკრეს მეორე ზარი. დელეგაციას დაუთმეს საგანგებო ვაგონი. მწერლები მოთავსდნენ ცალკე კუპეებში.

⁂

კარგი ხნის გათენებული იყო განჯის რკინის გზის სადგურს რომ მივუახლოვდით. თითქმის ყველას ეძინა. ფხიზლათ იყო მხოლოდ ვაგონის გამცილებელი. მე უკვე აღარ მეძინებოდა. გამოველ კუპედან და მუსაიფი გაუმართე ჩვენს გამცილებელს.

—განჯაში თუ ყოფილხართ?

— როგორ არა, ხშირად მიხდება აქ შეჩერება, სადგურიდან ქალაქში გავივლი ხოლმე

კონდუქტორმა დაახლოებით გამაცნო, თუ როგორ გამოიცვალა ამ 5 წლის განმავლობაში განჯა. ბაქოში ყოფნისას, მე დაწვრილებით გამოვიკითხე განჯის დღევანდელი მდგომარეობა. ალბათ მთელ საბჭოთა კავშირში იშვიათია ქალაქი, რომელსაც განეცადოს იმდენი ცვლილება, როგორც განჯას. საუკუნეებით მთვლემარე აზიურ განჯას (მეფის იმპერიალიზმის მიერ საგუბერნიო ქალაქ ელისავეტპოლად მონათლულს), არავითარი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია. განჯის წინანდელ მეურნეობას შეადგენდა წვრილი ხელოსნობა და ერთი თამბაქოს მცირე ფაბრიკა. ეხლა კი განჯა თითქოს მიწის გულიდან უეცრად ამოვარდნილი სამრეწველო მატრიკია, რომელსაც დღეს შეუძლია იამაყოს მაუდის—სამკერვალო ფაბრიკით, საპონისა და ზეთის სახდელ ქარხნით, უზარმაზარ სართავ საქსოვი ფაბრიკით, მექანიკური ქარხნით, ზღაპრული სისწრაფით დამთავრებული ზურნაბადის ჰიდროელსადგურით, ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ ელექტრიული სადგურით.

განჯის მაუდის ფაბრიკამ უკვე განიმტკიცა თავისი მდგომარეობა. მისი ნაწარმოები ეხლა აღწევს კავშირის ისეთ შორეულ კუთხეებსაც კი, როგორიც არის არხანგელსკისა და ვოლოგდის გუბერნიები. ფაბრიკა ამუშავებს მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს. წლიურად ამზადებს — 2.400.000 ათას მეტრ მაუდს. ეხლა იქ იდგმება ახალი დაზგები, მალე მისი პროდუქცია მიაღწევს 4.400.000 ათას კიდევ უფრო მეტად შეუძლია იამაყოს განჯამ ზეთის სახდელი ქარხნით, რომელმაც თავის არსებობის პირველი წელი 700.000 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრა.

ახლად აგებულმა სართავ-საქსოვ ქარხანამ ეხლახან დაამთავრა პირველი ცდები. პირველ მაისიდან მან ამიერ-კავკასიის ბაზარს მიაწოდა თავისი ნაწარმოები—ნართი.

განჯის ყველა ამ საწარმოებში მუშათა რიცხვის 65 პროცენტს შეადგენენ აზერბეიჯანელი თურქები. ეხლა განჯაში შენდება ყარასახკალის დიდი ელსადგური. ამჟამად მომქმედი ზურნაბადი, რომლის ენერგიითაც მუშაობენ ყველა საწარმოები, ახალი სადგურის აგების შემდეგ დააკმაყოფილებს ქალაქის საჭიროებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განჯის კეთილმოწყობას. შენდება პურის საცხობი დიდი ქარხანა 60.000 ათასი მცხოვრებისათვის. უკვე წამოიჭრა საკითხი ტრამვაის და ახალი წყალსადენის შესახებ. მუშები მოითხოვენ სესხის გამოშვებას კომუნალურ მშენებლობის გასაძლიერებლად. ამ მოკლე ხანში განჯა ბაქოს შემდეგ იქნება პირველი სამრეწველო ცენტრი მთელს აზერბეიჯანში.

— ვისაც სურს, წარმოდგენა იქონიოს სოციალისტური მშენებლობის ტემპზე, მან უნდა ნახოს განჯა.—მითხრა ბაქოში ერთმა ინჟინერმა.

სამწუხაროთ ჩვენ საშუალება არ გვქონდა გვენახა ეს ახლად წარმოშობილი სამრეწველო ცენტრი.

ბევრჯერ გაგვიგონია ნათქვამი და დაწერილი ამიერ-კავკ. რკინის გზის ხაზზე მდებარე მრავალ სადგურების შესახებ, რომელნიც მრავალ ჩვენგანს ენახა ამ რამოდენიმე წლის წინად დანგრეული და განადგურებული და ეხლა დაგვხვდა სრულიად გაახალებული.

მატარებელი მიჰქრის აზერბეიჯანის ველებზე. გვენანება, რომ ჩვენი მიწის სიმწირის პირობებში ამდენი თავისუფალი მიწა მოურწყავობის გამო, ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გამოყენებული. ჯერ შუა მაისია, გაზაფხულის არც ისე მცხუნვარე მზეს უკვე გადაუწვია მცენარეულობა.

ალბად ჩვენ მალე მოვესწრებით ამ ველებს უკვე მაღალი კულტურის მცენარეულობით დაფარულს, [illegible] თავდება ის დიდი მუშაობა, რომელიც სწარმოებს არხების გასაყვანად.

ასე ვფიქრობ, როცა გავყურებ ამ დაუსრულებელ ველებს, რომლებსაც ჩრდილოეთით საზღვრავს კავკასიონის მთის მწვანე კალთები. ვინ იცის, რამდენ ქარავანს, რამდენ მოგზაურს გაუვლია პაპანაქებაში ამ ველებზე და უნატრია იმ შორეული მთების სიგრილე; მათი წიაღიდან გამონადენი ცივი წყალი.

ეს ველები მოგვაგონებენ ისტორიულ სავაჭრო გზებს, მათზე გაზმწრულ ქარავნებს, საშუალო საუკუნეების გამუდმებულ ლაშქრობებს და ტომებს შორის დაუცხრომელ ომებს. ყოველივე ეს ჩაბარდა ისტორიას. „ეხლა სხვა გვარი ჰქრიან ქარები" და ქარავნების ნაცვლად ამ ველებს ზევით ცის ლაჟვარდში გრიალით დაჰფრინენ გიგანტი ფრინველები,—უზარმაზარი ავიო-მანქანები.

ჩვენი მატარებელიც ჩამორჩა ავიო-მანქანების საუკუნეს; უკვე 15 საათი მივდივართ და ბაქომდე ვერ მივაღწევთ, სამი საათი კიდევ დაგვრჩა სასიარულო.

მოსაწყენია ერთფეროვანი ბუნება. ჩვენ შევდივართ კუპეში და ვკეტავთ ფანჯრებს, რომ თავი დავაღწიოთ კოღოებსა და მწერებს.

მზე გადაიხარა. ჩვენ ისევ ფანჯრებთან ავიტუზეთ.

გამოჩნდა ნავთის სარეწაოები თავიანთი კოშკებით, რომელიც შავათ შერუჯულ ნაძვნარისა და ფიჭვნარის ტყესა ჰგავს.

⁂

დრო არის მოვემზადოთ. აჯიკაბულში უკვე შევიტყვეთ, რომ ბაქო ჩვენს შესახვედრათ ემზადებოდა. გადმოგვცეს, რომ დელეგაციას სადგურზე ელოდებოდნენ არა მარტო მწერლები, არამედ პროფესიონალურ, პარტიულ და კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

როცა მატარებელი ბაქოს სადგურზე შეჩერდა, ჩვენ შემოგვესმა მუსიკის ხმები. დავინახეთ მრავალი ხალხი. ამ მოულოდნელმა დახვედრამ აგვაღელვა. ჩამოვედით ვაგონებიდან და აჩქარებული ნაბიჯით გავყევით პირველ დამხვდურთაგანს, რომელმაც საპარადო დარბაზში შეგვიყვანა. აქ თავი მოეყარათ ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ისინი დელეგაციის წევრებს ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ.

აქვე დელეგაციის შემდეგი მისასალმებელი სიტყვით მიმართა აზერბეიჯანის კომპარტიის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგემ.

— საქართველოს საბჭოთა მწერლების ბაქოში ჩამოსვლა დიდი მნიშვნელობის ფაქტია, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამიერ-კავკასიის ხალხების ინტერნაციონალურ სოლიდარობას და მტკიცე საფუძველს ჰქმნის ამიერ-კავკასიის მწერალთა კულტურული დაძმობილებისათვის. საკუთარ გამოცდილების და მიღწევების ურთიერთ შორის გაზიარება, უეჭველია, წინ წასწევს პროლეტარულ ლიტერატურას. აქ თქვენ გაეცნობით ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენს მიღწევებს. თქვენ უშუალო მონაწილეობას მიიღებთ ადგილობრივ თურქულ და სომეხ-მწერალთა შეკავშირებაში. ბაქოს პროლეტარიატის გაცნობა, სარეწაოების, ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერება მოგცემთ მდიდარ მასალას შემოქმედებისათვის, გატაცება და ენტუზიაზმი ბაქოს მუშებისა, რომლებიც ჰქმნიან ახალ ქვეყანას, ახალ ურთიერთობას. თქვენ აქ დაინახავთ, თუ როგორი ერთსულოვნებით ხელიხელ ჩაკიდებულნი აკეთებენ ერთ დიად საქმეს თურქი, რუსი, სომეხი, ქართველი და მრავალი სხვა ეროვნების პროლეტარები— ერთი შემოქმედებით, ერთი წყურვილით გატაცებულნი. ნახავთ, თუ როგორ აგებენ ისინი თავისი ყოველდღიური შრომით ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშვენიერსა და ძლიერ შენობას.

ამიერ-კავკასიის მწერლობა კიდევ უფრო აყვავდება, თუ კი თქვენ ერთმანეთს ხშირად შეხვდებით და გაუზიარებთ საკუთარ მიღწევებს.

ჩვენი მეგობრული გულითადი სალამი საქართველოს საბჭოთა მწერლებს!

სიტყვა დაჰფარა ერთსულოვანმა ტაშმა.

⁂

გავემგზავრეთ მანქანებით. ჩვენს წინ გაიქროლა დიდმა ქალაქმა თავისი ფართო ქუჩებით, დიდი ლამაზი შენობებით, ხარაჩოებით გარშემორტყმული ახალი სახლებით, ახლად გაშენებულ ბაღებით, ტრამვაის ლამაზი ვაგონებით და უზღვავი ხალხით, ჩვენ წინ გაიქროლა ქალაქმა თავის მშფოთარე ცხოვრებით ნავთის კოშკების ტყეებით, უდიდეს ფაბრიკა-ქარხნებით გარშემორტყმულმა ქალაქმა.

ეს არ ჰგავს თბილისს, ივი სხვანაირია, უფრო გრანდიოზული და ძლიერი.

დავბინავდით სასტუმრო „ახალ ევროპაში". აქ ორი „ევროპაა". ერთი ახალი, მეორე ძველი. რომელიღაც მათგანში ოკუპაციის დროს მოთავსებული ჰქონდა თავისი შტაბი სისხლიან გენერალ დენსტერვილს. ჩვენი სასტუმრო ერთი უმაღლეს შენობათაგანია მთელს ბაქოში. მისი სახურავიდან ხელის გულივით სჩანს მთელი ქალაქი. ამ სასტუმროდან ხუთი წუთის სავალზე იწყება აზიური ქალაქი. აქვე მახლობლად არის ზღვა ნავთსადგურით.

სასტუმროში ჩვენ გვეწვევენ პროლეტარული მწერლები, რომლებიც ბაქოში ჩვენზე ადრე ჩამოვიდნენ ამიერ-კავკ. პროლეტ.-მწერალთა ასოციაციის პლენუმზე დასასწრებლად.

დღე, როდესაც ჩვენ ჩავედით ბაქოში იყო პარასკევი, ე. ი. აზერბეიჯანის დასასვენებელი დღე. საწარმოები და დაწესებულებები არ მუშაობდენ. მაშასადამე, პარასკევს მათი დათვალიერება არ შეიძლებოდა. საქმეს უნდა შევუდგომოდით მეორე დღეს,—შაბათს.

პარასკევ საღამოს დელეგაციის ნაწილი მიპატიჟებული იქნა თურქულ სახელმწიფო ოპერაში, ხოლო მეორე ნაწილი ბაქოს ქართულ თეატრში, რომელიც იმ საღამოს ამთავრებდა სეზონს.

ბაქო ევროპიული, უკეთ რომ ვსთქვათ, ნახევრად ამერიკული ტიპის ქალაქია: ოცმეტრიანი სიგანის ქუჩები, უზარმაზარი 4—5—6 სართულიანი სახლები, გრძელი კვარტალები, ბრწყინვალე მაღაზიები, საუცხოვოდ მორთული ვიტრინები, ელექტრონის უხვი სინათლე, ტრამვაის ვაგონების და ავტო-მანქანების ხშირი და სწრაფი მოძრაობა,—ასეთია ბაქო ერთი თვალის გადავლებით.

ბაქო დღე და დღე შენდება, ლამაზდება, უკეთესდება. თითქმის ყოველ მოსახვევზე შენდება უზარმაზარი 5—6 სართულიანი სახლი. ქალაქის ცენტრში არ არის ქუჩა, სადაც ერთგან მაინც არ იყოს აწყობილი ხარაჩოების ტყე, რაც იმას ნიშნავს, რომ სწარმოებს ან ახალი სახლის შენება, ან ძველი შენობების კაპიტალური შეკეთება. მიმდინარე წლის ბიუჯეტით მხოლოდ საბინაო მშენებლობაზე იხარჯება 16 მილიონი მანეთი, ამაში არ შედის თანხები იმ უზარმაზარი შენობებისათვის, რომლებსაც აგებენ სამეურნეო სავაჭრო დაწესებულებები (მაგალითად, „კასპარი"). სახლები შენდება უმთავრესად განაპირა უბნებში და სარეწაო რაიონების მახლობლად. აშენებს „აზნევთი", აშენებს ბაქოს საბჭო, აშენებს საბინაო კოოპერაცია, ს.ტ.უ.ს.-ი, სახელმწიფო და კომუნალური ბანკები. ყოველწლიურად ბაქოს ემატება 160 ათასი კვადრატული მეტრი, მაგრამ ბინის კრიზისი მაინც საგრძნობია რადგან მცხოვრებთა რაოდენობა საზღაპროთ იზრდება. 1926 წლის აღწერით საგრძნობია, რადგან მცხოვრებთა რაოდენობა ბაქოში იყო 444.534 მცხოვრები, დღეს კი იგი უდრის 505.000.

მეორე, რაც თვალში ეცემა ბაქოს ქუჩებზე პირველად გამოსულს, არის ახლად გაშენებული ბაღები და ხეივნები. წინად არა თუ განაპირა რაიონებში, ცენტრშიაც არ ყოფილა ხეირიანი ბაღი. ეხლა ყოველ უბანში შეხვდებით შემოფარგლულ მოედანს, სადაც გეგმაზე დარგულია წიწვიანი და ფოთლოვანი ხეები. ჯერ ისინი ნორჩი არიან, მაგრამ 5—10 წლის შემდეგ მუდამ რუხი, ნაცრისფერი ბაქო მწვანე ქალაქად გადაიქცევა. შესანიშნავია ზღვის პირის ბაღი, რომელიც ასაკით ყველაზე ხნიერია. ის მოედანი, რომელიც ამ ბაღს უჭირავს, ქალაქს ზღვისათვის წაურთმევია. ზღვასთან ბრძოლა ბაღის გასაფართოებლად ეხლაც გრძელდება. დღითი-დღე სდევნიან ზღვას, ავიწროვებენ მის ტალღებს და წყლისაგან განთავისუფლებულ ადგილზე რგავენ მცენარეულობას. მცოდნე პირები ამბობენ, რომ როცა ამ ბაღის გაგანიერება დამთავრდება, მთელ მსოფლიოში სილამაზით მას აჯობებს მხოლოდ ნეაპოლის ზღვის პირი, რომელიც უფრო სწორხაზოვანი, უფრო ვრცელი, განიერი და უხვია მცენარეულობით.

ბაღიდან სამხრეთით შენდება ახალი ნავთსადგური. მალე ხის მისადგომს შესცვლის ქვის პირსები და დიდი ტალღის საკვეთები, რომელთაგან პირველის სიგრძე იქნება 3 კილომეტრი და მეორის—1 კილომეტრი.

ეხლანდელი პორტი უფრო რეიდია, ვიდრე ნავთსადგური.

ბაქო ვერ მოიშორებს, ალბად, ერთ სიმახინჯეს, როგორც იგი ვერ მოიშორებს თავის საუკეთესო სამკაულს—ნავთის საბადოებს. ზღვას აქ არა აქვს თავისი ფერი. იგი არ არის ლურჯი, იგი მოშავო, ყანგის ფერია, მაზუთიანი და ნავთიანი. ერთ კილომეტრზე უნდა მაინც შესცურდე ნავით ზღვაში, რომ ნახო ზღვა სუფთა, გაუჭუჭყიანებელი და ლურჯი ფერის.

თითქმის ყოველ საღამოს დავდიოდი ზღვის პირას ამ მშვენიერ ბაღში, რადგან იგი ჩვენ სასტუმროსთან ძალიან ახლო იყო. პირველ დღეს კი მე ეს არ ვიცოდი. ზღვის პირად სულ სხვა დაშორებულ რაიონში მეგონა თავი. პირველ დღეს, როცა ბაღიდან წამოსვლა დავაპირე, ჩავჯექი იმ მარშრუტის ვაგონში, რომლითაც აქ მოვედი. ვაგონმა მთელ ქალაქს შემოუარა და მომიყვანა იმ ადგილას, საიდანაც წამოვედი. თურმე ჩვენი სასტუმრო კი იქვე ყოფილა.

კიდევ კარგი, რომ ტრამვაის მოძრაობა სწრაფია და გახშირებული. იმ დღეს მე პირველად ვიჯექი ბაქოს ტრამვაის ვაგონში. იგი დაახლოებით იმდენ მგზავრს იტევს, რამდენსაც თბილისის ტრამვაის ახალი ვაგონები. ვაგონების დატვირთვა იმ დღეს, უქმეს გამო, ზომაზე მეტი იყო. 1925 წლამდე ასეთ დიდ ქალაქს ტრამვაი არ ჰქონია. მძიმე ფინანსიური და ეკონომიური კრიზისის დროს დაუწყია მისი აგება ბაქოს საბჭოს. ბევრს არ სჯეროდა, რომ ქალაქი შესძლებდა ახალ ტრამვაის აგებას (ყოველ ქალაქს ჰყავს სკეპტიკოსები და მომავალზე იმედგაცრუებული ხალხი). ამ დიდი საქმის დაწყება ზოგიერთებს თავის მოტყუებათ, სარეკლამო მუშაობათ მიაჩნდათ, მაგრამ ერთი წლის მუშაობის შემდეგ ცხენზე მობმული სასაცილო ვაგონები შესცვალეს ელექტრონის ვაგონებმა. პირველ წელსვე ტრამვაის გადაუყვანია 20 მილიონი მგზავრი, ეხლა ყოველდღიურად ვადაჰყავს 100 ათასი მგზავრი და აქვს 10 ათასი მანეთი დღიური შემოსავალი. ლიანდაგის საერთო სიგრძე უდრის 40 კილომეტრს.

ტრამვაის ხაზი წვდება დაშორებულ რაიონებს, ეხლა კიდევ გაჰყავთ ახალი ხაზები ზოგიერთი ხაზების განსატვირთავად. ბაქოს ტრამვაის უჭირავს პირველი ადგილი თავისი შემოსავლით, ივი უკვე ფარავს სესხს, რომელიც ბაქოს გამოტანილი ჰქონდა ტრამვაის ასაგებად.

წინანდელი ცხენის ვაგონები, როგორც წარსული დროების ნაშთი, როგორც სასაცილო მოგონება, ეხლა ყრია სადღაც საბუნჩის რკინის გზის ხაზზე.

ქალაქის შემოვლით დავამთავრე ჩემი პირველი დღე ბაქოში, რომელიც ჩემ წინ აღიმართა, როგორც ჯერ კიდევ უცნობი, ჩემგან ჯერ კიდევ არნახულ მრავალ უცხო სანახაობათა დამტევი უცნაური ქალაქი.

⁂

გათენდა შაბათი—18 მაისი. ეს დღე ბაქოსათვის ორშაბათია—ყოველდღიური მუშაობის, საქმიანი კვირის დასაწყისი.

ჩვენი სასტუმრო დილიდანვე აივსო სტუმრებით. გვინახულეს—გაზეთების კორესპონდენტებმა. ისინი მწერლებს სთხოვენ წერილებს, საუბარს დელეგაციის მიზნებზე და ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კულტურული დაახლოების საკითხებზე. ხვალ ბაქოს გაზეთების საშუალებით საქართველოს მწერლობა პირველად გამოესაუბრება თურქული გაზ. „კომუნისტის" და „ბაკინსკი რაბოჩის" მრავალ ათას მკითხველს—მუშასა და გლეხს.

ხვალვე გაზეთებში მოთავსებული იქნება დელეგაციის სურათი, რომელიც გადაიღო სპეციალურად მოწვეულმა ფოტოგრაფმა. ამას შემდეგ ჩვენ ნომრებიდან ლიფტით ვეშვებით დაბლა—ქუჩაზე, სადაც გვიცდიან ავტო-მანქანები. აქ გვხვდებიან თურქი მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები,—დაახლოებით 15 კაცი. მათ შორის, არის მოხუცებული მწერალი, დრამატურგი ახვერდოვი.— არის პროფესორი თურქული ლიტერატურისა — აზერბეიჯანის უნივერსიტეტში. ჩვენთან არის კიდევ ჰუსეინ ჯავიდი—ნიჭიერი დიდი კულტურის პოეტი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს ლიტერატურულ წრეებში. იგი თბილისში ნამყოფია და ესმის ქართული. მუდამ განუყრელად ახლავს დელეგაციას ახალგაზრდა პროლეტარული პოეტი სულეიმან რუსტემი, რომელსაც აზ-პროლეტარულ მწერლებში პირველობა აქვს მოპოვებული. იგი მეტად სიმპატიური ახალგაზრდაა.

ამ ახლად გაცნობილ თანამოკალმეებთან ერთად დელეგაცია გაეშურა 26 კომუნარის საფლავზე.

საფლავს უჭირავს ბაღის შუა გული თავისუფლების მოედანზე. ბაღში დადგმულია რამდენიმე ბიუსტი (სტ. შაუმიანის და ა. ჯაფარიძის და სხვ.) შავი ქვისაგან გამოკვეთილი. დიდი რგვალი ბორცვი—ეს არის სამარე 26 კომუნართა. ყვავილნარით დაფარული და ყვავილოვანი ხეებით გარშემორტყმული. ბორცვს ქვევით მღვიმეა, შიგ ასვენია 26 კომუნარის ნეშტი.

ეს სამარე ძვირფასია მთელი კავშირისათვის, უძვირფასესი ბაქოსათვის. იგი ბაქოს სახელი და დიდებაა. ოცდაექვსის ქალაქი—ასე უწოდებენ ეხლა ბაქოს და ბაქო ამაყობს ამ სახელით. ეს საფლავი რევოლიუციის პანთეონია. 26 საფლავმა გახადა ბაქო რევოლიუციონური რომანტიკის ქალაქად. 26 კომუნარი პოეტური შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა. მათი გმირობა აღაფრთოვანებს პოეტებს, მხატვრებსა და მუსიკოსებს. ისინი აღაფრთოვანებენ მუშებს ბრძოლისა და შრომისათვის.

და ჩვენ მოკრძალებით მივედით ამ დიდ სამარესთან, დავხარეთ თავი. ყველა ჩვენგანს ალბათ აგონდებოდა ბაქოს კომუნა, 26-ის ტრაღედია და კასპიის იქითა მხარის სისხლით მორწყული უდაბნო. ვიდექით მდუმარეთ. ჩვენი ჯგუფიდან უხმოდ გამოვიდა გრ. რობაქიძე და მოწიწებით შეამკო სამარე ყვავილების გვირგვინით.

დუმილი დაარღვია მოხუცმა ახვერდოვმა: ჩვენი შეხვედრა აქ, 26-ის საფლავთან დაიწყო მან ოდნავ აღელვებით—უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. 26 კომუნარი დაიღუპა რევოლიუციისათვის, ყველა ხალხების ინტერნაციონალური ერთობისათვის, კერძოთ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ძმური კავშირისათვის. საქართველოსა და აზერბეიჯანის მწერლების აქ შეხვედრა—26 კომუნარის იდეის გამარჯვებაა, ეს შეხვედრა მაჩვენებელია იმ ინტერნაციონალური კავშირის, რომლისათვის იბრძოდნენ და დაიღუპნენ სახელოვანი კომუნარები.

საქართველოს დელეგაციის სახელით გამოვიდა პაოლო იაშვილი, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:—26-ის საფლავზე დავდებთ ფიცს, რომ აზერბეიჯანის და საქართველოს მწერლები კულტურის ფრონტზე გააგრძელებენ 26 კომუნარის დიად საქმეს, დაამყარებენ მჭიდრო კულტურულ თანამშრომლობას, განამტკიცებენ ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობას.

სიტყვების შემდეგ მუდმივი ძმობისა და მეგობრობის ნიშნად მოხუცმა ახვერდოვმა და პაოლო იაშვილმა მაგრათ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

ეს წუთები მეტად ძლიერი იყო თავის შთაბეჭდილებით, მეტად ამაღელვებელი.

ვ. წულუკიძე.

ქრონიკა

პოლიტგანათლების საქმის გასაძლიერებლად

პოლიტგანათლების მთ. მმართველობამ სახალხო კომისართა საბჭოსაგან საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის გასაძლიერებლად მიიღო 80.000 მან. პოლიტგანათლების მთ. მმართველობამ აღნიშნული თანხა მაზრებს შორის შემდეგი სახით გაანაწილა: კახეთის მაზრას მიეცა — 7.000 მანეთი, თბილისის მაზრას — 3.500 მ., გორს — 3.000 მ., რაჭა-ლეჩხუმს — 5.000 მან., ქუთაისის მაზრას — 3.500 მ., სვანეთს — 2.000 მ., სენაკის მაზრას — 4.000 მ., ზუგდიდს — 3.500 მ., ბორჩალოს — 5.000 მ., ოზურგეთის — 3.000 მ., ახალქალაქს და ახალციხეს — 6.000—6.000 მანეთი, აჭარისტანს — 8.000 მ., აფხაზეთს — 9.000 მ., სამხრეთ-ოსეთს — 8.000 მ.,

საფეიქრო კურსები

1-ლ ივლისს თბილისში გაიხსნება საფეიქრო კურსები, რომელიც მოამზადებს 250 კვალიფიციურ მუშას აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკისათვის. აღნიშნული რაოდენობიდან 60 კაცი კურსებზე გაგზავნილი იქნება არსებულ აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებიდან, დანარჩენი რაოდენობა განაწილებულია კავშირებს შორის.

მოტო.-გადარბენა

ავტოკლუბის მოტო-სექცია შაბათს აწყობს მოტო-გადარბენას მარშრუტით: თბილისი პრიუტი. გადარბენაში მონაწილეობას მიიღებს 18 მანქანა. გადარბენაში მონაწილენი შეგროვდებიან შაბათს საღამოს 8 ს. თავისუფლების მოედანზე, საიდანაც გაემართებიან პრიუტისაკენ.

თბილისის აღმასკომში

შრომის დაცვის განყოფილება. აღმასკომთან არსდება შრომის დაცვის განყოფილება.

სხვადასხვა

შაბათს, 8 ივნისს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის საკითხი.

პარასკევს, 7 ივნისს, დღის 12 საათზე მოწვეულია სახ. უნივ. ადმაპპარატთან არსებულ პროფკომების მუშაობის გამომკვლევ კომისიების სხდომა.

ამხ. ზ. ჭიჭინაძის სახელობის შინა-მრეწველობის ქალთა საინსტრუქტორო სკოლა, ივნისის 8-ს მართავს საზეიმო საღამოს მსმენელთა მიერ კურსის დამთავრების აღსანიშნავად. საღამო გაიმართება მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში (რუსთაველის პრ. № 23).

დღეს, პარასკევს ივნისის 7-ს საქართველოს მუზ. აუდიტორიუმში (კალოუბნის ქუჩა № 1) საისტ. საეთნ. საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე მოხსენებას წაიკითხავენ: 1) ივანე ცინცაძე—„პირველი ცნობები მოსკოვის სამთავროსა და კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან, 2) ს. მაკალათია—„ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი“.

ჩაუბარებელი დეპეშები, ტირასპოლიდან — ალექსანდროვსკის, თეთრ წყაროდან— სტეპანიანს, ყაზბეგიდან — გეთახაზოვს, თეირანიდან — ფენდრუსკის, ქუთაისიდან — ვასილიევს.

ხელოვნების ქრონიკა

— **სიმფონიური კონცერტები.** 15 ივნისიდან მუშათა კლუბებში გაიმართება სიმფონიური კონცერტები.

— **გუნდების ოლიმპიადაში** მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ გუნდებს, რომლებიც დღემდე არსებობდნენ და გატარებულნი არიან აღრიცხვაზე ხელოვნების მუშაკთა კავშირთან არსებულ საშუამავლო ბიუროში.

— **ოპერის თეატრში** დღეს მუსიკალურ კომედიის ანსაბლის მიერ წარმოდგენილი იქნება „სილვა“.

— **უახარევას მონაწილეობით** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ანა ტიგლერი“.

თბილისის მაუდის ფაბრიკა

ნაწილობრივ მუშაობას დაიწყებს აგვისტოდან

ს. მ. უ. ს. საწარმოო - საგეგმო განყოფილების ცნობით, თბილისის მაუდის ფაბრიკა ნაწილობრივ მუშაობას დაიწყებს აგვისტოს 1-ლ რიცხვებიდან. პირველ რიგში ამუშავებული იქნება მატყლის სარეცხი და დამახარისხებელი ცეხი, შემდეგ სართავ-საქსოვი ცეხი და ბოლოს — საპრეტურო-ხაღებავი ცეხი.

ამჟამად დაჩქარებით სწარმოებს ფაბრიკის ცეხების მოწყობა და მანქანების დადგმა. მანქანების დადგმას ხელმძღვანელობენ უცხოეთის იმ ფირმების სპეციალისტები, რომელთაც შეკვეთილი ჰქონდათ მოწყობილობა.

ფაბრიკისათვის საჭირო ნედლი მასალა ნაწილობრივ უკვე დამზადებულია, დანარჩენის დამზადება იწარმოებს მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ფაბრიკისათვის საჭირო მუშა - ხელის ნაწილი მომზადებულია. 1-ლი აგვისტოსათვის ფაბრიკას ეყოლება 350 საკმაოთ კვალიფიციური და მომზადებული მუშა. ამჟამად საფეიქრო მრეწველობის სხვადასხვა ცენტრებში იგზავნება 230 მუშა. მათ შორის 80 კაცი იმუშავებს ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში, ხოლო დანარჩენები გაგზავნილნი იქნებიან რუსეთში.

ფაბრიკის ყველა ცეხები მუშაობას დაიწყებენ ნოემბერიდან. გადაწყვეტილია დეკემბერში ბაზარზე გამოშვებულ იქნეს ფაბრიკის პროდუქციის პირველი პარტია.

მუშფაკის კურსდამთავრებულთა გამოშვება

5 ივნისს, საღამოს ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკში შესდგა მუშფაკის კურსდამთავრებულთა მეშვიდე საზეიმო გამოშვება

გამოშვების მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა მუშფაკის დეკანმა ამხ. დ. მთვარელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წელს მუშფაკი დაამთავრა 148 მსმენელმა, რომლებიც პირდაპირ ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლის მსმენელებად.

სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. კვინიკაძემ საზეიმო სხდომას გააცნო კურსდამთავრებულთა სოციალური შემადგენლობა: კურს დამთავრებულთა შორის 129 მამაკაცია და 19 ქალი. აქედან ფიზიკური მომუშავეა 92, გლეხი 42 და გონებრივი მომუშავე 10.

პარტიული შემადგენლობა ასეთია: კომპარტიის წევრი და კანდიდატია 75, კომკავშირის — 59 და უპარტიო 14.

შემდეგ დაიწყო მისალმებები. მუშფაკის კომპარტიის ბიურო-კოლექტივის სახელით კურსდამთავრებულთ მიესალმა ამხ. ანთიძე, პედაგოგიურ პერსონალის სახელით — ტ. ხუნდაძე, მუშფაკის აღმასბიუროს სახელით— ამხ. გაშიანი, მასწავლებელი ამხ. შ. სანიკიძე, მუშფაკის კომკავშირის ბიურო-კოლექტივის სახელით ამხ. ფოფხაძე და ა-კ. მეთაურთა საბჭოს სახელით — ამხ. გადახაბაძე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მთელ რიგ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართა საღამო-კონცერტი კონსერვატორიის სტუდენტებისა და ქართულ დრამის მსახიობთა მონაწილეობით.

ხილისა და ბოსტნეულის ხელოვნური დამწიფება

ამ.-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის თანამშრომელი ა. ასიამოლოვი ამჟამად აწარმოებს ხილისა და ბოსტნეულის ხელოვნურად დამწიფების ცდას ეტილენის გაზის საშუალებით.

ეტილენის გაზი ამ მიზნისთვის პირველად გამოიყენა ამერიკელმა პროფესორმა ჰარვეიმ 1924 წელს და მიიღო იმდენად კარგი შედეგი, რომ ხილის ხელოვნური დამწიფება მეორე წელს ფართოდ იქნა შემოღებული ამერიკაში.

1927 წელს პროფესორი ჰარვეი ჩამოვიდა რუსეთში და აქაც განიმეორა თავისი ცდა. მას შემდეგ ამ ცდებს აწარმოებს დეტსკოე სელოს საცდელი სადგური.

ხილის ხელოვნურად დამწიფებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში, ვინაიდან ჩვენში მოიპოვება უამრავი ნაადრევი ხილი, რომელსაც ძალიან დიდი ფასი აქვს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქების ბაზარზე, მაგრამ მათი გადაზიდვა შორ მანძილზე დამწიფების შემდეგ აღარ არის ხელსაყრელი, რადგან ადგილზე მიტანამდე ფუჭდება ამ საქონლის დიდი ნაწილი, ხოლო მწვანე ხილის გაგზავნა ვეღარ იძლევა სათანადო ეფექტს, რადგან მწვანე ხილი მართალია ნაწილობრივ მწიფდება, მაგრამ ვეღარ ღებულობს ვერც სათანადო ფერს და გემოთაც მჟავე რჩება.

ეტილენის გაზის საშუალებით დამწიფებული ხილი კი სრულიად არ განსხვავდება ბუნებრივად დამწიფებულისაგან. ხელოვნურად დამწიფების პროცესი გრძელდება ოთხი-ხუთი დღე, ამასთანავე ერთი ვაგონი ხილის ხელოვნურად დამწიფების ხარჯები ჩვენს პირობებში არ აღემატება 4—5 მანეთს, ხოლო ამერიკაში კი 75 კაპეიკს (ასეთი განსხვავება აიხსნება იმით, რომ ამერიკაში ეტილენის გაზის წარმოება გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვენში).

ამხ. ასიამოლოვმა ცდა ჩაატარა ხენდროზე, ამჟამად აწარმოებს ცდას პამიდორზე. ამასთანავე იგი ცდებს აწარმოებს სხვადასხვა ტემპერატურასთან, შუქთან და სინესტესთან შეფარდებით. პირველმა ცდებმა დადებითი შედეგი გამოიღეს.

თბილისის რადიოფიკაცია

ამ დღეებში შესდგა საქ. პროფსაბჭოს რადიო - ბიუროს სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. წვერავას მოხსენება თბილისის რადიოფიკაციის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წელს განზრახულია თბილისში დადგმული იქნეს 5.000 რეპროდუქტორი; მაგისტრალური ხაზი უკვე იმართება. თვითეული რეპროდუქტორის დადგმა აბონენტს დაუჯდება 40 მანეთი. ამ ფასის გადახდა შეიძლება 4 თვის განმავლობაში.

ბიურომ დაადგინა პირველ რიგში ჩატარებული იქნეს ლენინის რაიონის რადიოფიკაცია. მაგისტრალის გამართვა უნდა მოხდეს იმ ვარაუდით, რომ პირველ რაიონში მოთავსებული კლუბები, წარმოებები და მუშათა სახლები ამ თავითვე ჩართულ იქნან ქსელში. ბიურო დაეთანხმა რეპროდუქტორზე დაწესებულ ფასს, მაგრამ მაინც აღნიშნა, ამ ფასის გადასინჯვის აუცილებლობა. ბიურომ საკმარისად არ მიიჩნია 4 თვის ვადა რეპროდუქტორის ღირებულების გადასახდელად. საჭიროა რეპროდუქტორი უფრო მისაწვდომი გახდეს მუშათა ფართო წრეებისათვის, ამიტომ ფასის გადახდის ვადა გაგრძელებული უნდა იქნას 6 თვემდე. საბინაო კავშირს დაევალა ორი კვირის განმავლობაში შეადგინოს მუშათა სახლების და საბინაო ამხანაგობათა რადიოფიკაციის გეგმა. რადიოფიკაციის პოპულიარიზაციის მიზნით რადიო - ცენტრმა უნდა ჩაატაროს მოხსენებები წარმოებებში და საბინაო ამხანაგობებში.

განათლების მუშაკთა ექსკურსიები

განათლების მუშაკთა კავშირმა განათლების მუშაკთა სახლთან ერთად შეიმუშავა ექსკურსიების გეგმა.

შორეული ექსკურსიები

გეგმის მიხედვით შორეული ექსკურსიები მოეწყობა შემდეგ ადგილებში: 2 ივლისს— თბილისი — მოსკოვი — ლენინგრადი 30 კაცისათვის, ექსკურსია გაგრძელდება 20 დღეს, ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს 112 მანეთი და 30 კაპ. (სამგზავრო, კვების და ბინის ქირა).

8 ივლისს—თბილისი — მოსკოვი—თბილისი. ექსკურსია გაგრძელდება 14 დღეს, თვითეულმა ექსკურსანტმა უნდა გადაიხადოს — 79 მანეთი და 75 კაპ.

5 ივლისს: თბილისი — მოსკოვი—ნიჟნინოვგოროდი — სტალინგრადი. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ 25 კაცი, მგზავრობა გაგრძელდება 22 დღეს, ხარჯი—125 მანეთი და 50.

ექსკურსიები რესპუბლიკის ფარგლებში

20 ივნისს ექსკურსია მოეწყობა: თბილისი —ზაჰესი. წინასწარ მოხდება სტალინის სახ. სახელოსნოს და ტყატრესტის ქარხნის დათვალიერება. ექსკურსია გაგრძელდება 2 დღეს. თვითეულმა ექსკურსანტმა უნდა გადაიხადოს 1 მან. და 50 კაპ. (კვების ხარჯებს გარდა).

25 ივნისს მოეწყობა ექსკურსია: თბილისი —ყაზბეგი — კავკავი. ექსკურსია გაგრძელდება 7 დღეს. მგზავრობა (კვების ხარჯებით) —46 მანეთი და 60 კაპ. სულზე.

ამავე დღეს მოეწყობა ექსკურსია თბილისი —მცხეთის ჯვარი (ერთი დღით), სამგზავრო ხარჯი—1 მან. და 30 კაპ.

28 ივნისს: თბილისი — კოჯორი — ქოროღლი. (მგზავრობა ავტომობილით) საგზაო ხარჯი—2 მან. და 80 კაპ.

7 ივლისს: მცხეთა — არმაზი სამგზავრო ხარჯი—1 მანეთი და 30 კაპ.

14 ივლისს: სამთავისის კომუნაში, 1 დღით, სამგზავრო ხარჯი—2 მან. 50 კ.

18 ივლისს: ექსკურსია მოეწყობა: თბილისი —ბორჯომი—ბაკურიანი — ცხრაწყარო (3 დღით) სამგზავრო ხარჯი—7 მ.

4 აგვისტოს—უფლის ციხეში, საგზაო ხარჯი—2 მან. 30 კაპ.

თხილის დამზადება

თხილს საქართველოს გლეხობის მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. შემოსავალი თხილიდან ყოველწლიურად უდრის საშუალოდ ორ მილიონ მანეთს.

თხილის დამზადებას უკანასკნელ დრომდე არ ჰქონდა გეგმიანი ხასიათი. გასულ საოპერაციო წელში თხილის დამზადება დაევალა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. დადებული იქნა გენერალური ხელშეკრულება „ზაკკოოპ“-თან, რომლისთვისაც „სოფლის კავშირს“ უნდა ჩაებარებინა 80.000 ფუთი თხილი, ხოლო აფხაზეთს—30.000 ფუთი.

წელს საქართველოში შეგროვილი იქნა დაახლოვებით 230.000 ფუთი თხილი (აქედან—80.000 ფუთი აფხაზეთში); ამ რაოდენობიდან 198.000 ფუთი დაამზადა კოოპერაციამ, დანარჩენი შეძენილი იქნა სხვა ორგანიზაციების და კერძო ვაჭრების მიერ.

მიმდინარე საოპერაციო წელში თხილის დამზადებას აწარმოებს ისევ „სოფლის კავშირი“. გათვალისწინებულია გასული წლის ყველა დეფექტები და შეცდომები და მიღებულია ზომები თხილის ბაზრის მთლიანად დასაპყრობად. საჭიროთაა ცნობილი თხილის საწყობების მოწყობა ზუგდიდში, დარჩელში, კოკში, ანაკლიაში, ოზურგეთში, შემოქმედში, ჩოხატაურში, კახათში, ცაისში, ახალ ხიბულაში, ვანში, ზეინდარში, ამაღლებაში, ტობანიერში და სხვა პუნქტებში.

დავეხმაროთ პროლეტარულ სტუდენტობას

შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ: თემი, გივი და ზურაბ ბარამიძეს, ციალა და გურამ გელოვანებს, დიმა ადამიძეს, ლეილა ჭყონიას, იური გვილესიანს გულნაზი რობიტაშვილს, და ლუარსაბ როსტაშვილს.

დალი ბარამიძე.

შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ ლ. ჯავახიას, ნ. გრიგოლიას, ი. მატახერიას, ვ. მატახერიას, ც. ხოფერიას დ. ჯინორიძეს, ს. ჯანჯღავას, ბ. კოლუას, გვასალიას, ა. ქაჩიბაიას, ე. ჩიქობავას.

ნინო ძიძიგური.

ამხ. პ. ცერცვაძის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: მ. ბარამიას, ბ. მ-რაჯხულავას, მამია ბოკერიას, ენ. გვილავას, ს. ჯანჯღავას, სერგო ჩომახიძეს, კაკო ბერიკაშვილს, ვლადიმერ ჩხეტიას და შალ. ჩიქოვანს.

შ. ჩხეტია.

ამხ. ქეთო ჩიჩუას გამოწვევით შემომაქვს სამი (3) მანეთი და ვიწვევ: მიხეილ ჩიჩუას, სონია გოგეშვილს, ნიკო ლომჯარიას, ივანე სურგულაძეს, დიმიტრი რამიშვილს, მილორსი დოლიძეს და მონასე მენაბდეს.

ალექსი დონაძე.

ამხ. იუზა კალანდაძის გამოწვევით შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ: ქეთო თხელიძეს, ოლღა იმედაშვილს, ანიკო მგალობლიშვილს, ვალიკო დოლიძეს, შოთა ლაგ. და შოთა იოსებიძე მამალაძეებს, როზა თაბუკაშვილს, მაყვალა მამალაძეს.

რუსუდან მამალაძე.

შემომაქვს 1 მანეთი ბობა მენაბდის გამოწვევით და ვიწვევ: ვ. ნიჟარაძეს, მ. ჩხენკელს, ვ. ქავჭანიძეს, ადოლფ ხარაძაძეს, მ. ბაქრაძეს, გ. გველესიანს, ნ. ექსანიშვილს.

გივი ფირცხალავა.

პროფ. ა. ნათიშვილის გამოწვევით პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემომაქვს ორი თუმანი.

პროფ. ა. შანიძე.

შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ შემდეგ პაწია ამხანაგებს: ზურაბ წიოლასანს, გიზო დოლიძეს, კლარა ჩხარტიშვილს, ლილი ელენტს, თენგიზ და თემურაზ შერგელაშვილებს, მიშიკო სიმულიდს, რეზიკო რონიშვილს და ლეილა ღლონტს.

ოთარი და ლამარა ბარამიძეები.

ამხ. ქეთო ელენტის გამოწვევით შემომაქვს 3 მან. და ვიწვევ: შუშანა მენაბდეს, ელისო გორდელაძეს, თამრა შერგელაშვილს, ტასო გურგენიძეს, შურა შავგირაძეს, ლიუბა რონიშვილს, ელისო ღლონტს, პატკუ ჩხატარაშვილს და გიგო ჩხვლეშვილს.

მარუსია ბარამიძე.

პოლიკარპე დოლიძის გამოწვევით პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემომაქვს ათი მანეთი.

ა. ხარაზიშვილი.

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ: ვ. სკოროვს, ა. კოზიაშვილს, გ. კვანტალიანს, დ. დათუაშვილს, ა. ლაზარევს, ვ. ელენტს, ვ. ბენდელიშვილს, ა. ქიქინაძეს, ა. ჭანტურიძეს, კ. ბერიას,

ვაჟი ჭკუასელი.

პროლეტ. სტუდენტების დასახმარებლად შემომაქვს სამი მანეთი.

ნიკო გიორგობიანი.

პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოდ ინჟ. ბესარიონ ქიქინაძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი.

სტეფანე ყირქესალიშვილი.

შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ ექიმ ზაქრო მაისურაძეს.

ალ. ბარდახოვაძე.

სულ დღემდე პროლეტარულ სტუდენტთა დასახმარებლად „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 1.169 მან. 47 კაპ.

სასამართლო

პურით სპეკულიაციისათვის

მუშკოოპის № 202 პურის საცხობის გამგე მინა თედორესძე ნეფარიძე გუშინ გაასამართლა თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლომ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით.

როგორც ვსწერდით, პურის წიგნაკების შემოღების შემდეგ № 202 პურის საცხობიდან პური გაცემული უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მშრომელ ელემენტებზე, წიგნაკებით. თუ შემთხვევით პური გაუყიდავი დარჩებოდა, დარჩენილი პური მუშკოოპის გამგეობის სათანადო ნებართვით სხვა ფურნეებს შორის უნდა განაწილებულიყო.

მაგრამ გამგე ნეფარიძემ განიზრახა პურით ხელის მოთბობა. მან გაიჩინა კერძო მუშტრები მიკიტნების სახით და მათ სისტემატიურად აწვდიდა პურს აწეულ ფასებში — გირვანქას 16 კაპეიკად. ზედმეტად აღებულ ფულს ნეფარიძე ჯიბეში იდებდა.

ნეფარიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

—:—

ყალთაბანდ ვაჭრების საჯარო გასამართლება

16 ივნისს ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში (თათრის ბაზარი) თბილისის საგადასახადო საქმეთა სასამართლო ამხ. კეჟაიძის თავმჯდომარეობით მართავს საჩვენებელ პროცესს. გასამართლებულ იქნებიან მსხვილი ვაჭრები იუსუფ ხოჯა გუსეინოღლი და ისმაილ ნაბიბეგოვი.

იუსუფ ხოჯა გუსეინ - ოღლი მთელი წლის განმავლობაში ვაჭრობდა უნებართვოდ (უპატენტოდ). მას შეთანხმება ჰქონდა ტყავეულობით მოვაჭრე ისმაილ ნაბიბეგოვთან, რომლის მაღაზიაშიც ელაგა იუსუფის საქონელი და იყიდებოდა დაუბეგრავად. ნაბიბეგოვი სათანადო გასამრჯელოს იღებდა და ჰყიდდა საქონელს კონტრაბანდად. ამრიგად, იუსუფ ხოჯა გუსეინ-ოღლი ერთ კაპეიკს არ იხდიდა სახელმწიფოს სასარგებლოდ და თვითონ კი ივსებდა ჯიბეს ჩერვონცებით.

ერთ მშვენიერ დღეს ფინინსპექტორი იუსუფ ხოჯა - გუსეინ - ოღლის წააწყდა, როცა უკანასკნელი ქ. ნუხიდან ჩამოტანილ საქონელს ალაგებდა ნაბიბეგოვის სავაჭროში.

ყალთაბანდ ვაჭარს ჩამოერთვა საქონელი და გამოეცხადა, რომ უნებართვოდ ვაჭრობისათვის ის დაჯარიმებულია 600 მანეთით. ჩამორთმეული საქონელი ფინინსპექტორმა ხელწერილის ქვეშ მიაბარა ვაჭარ ნაბიბეგოვს.

მიბარებულს მგელიც ინახავს, მაგრამ ნაბიბეგოვი მგელზე უფრო მსუნაგი აღმოჩნდა. მან მიბარებული საქონელი იუსუფთან შეთანხმებით გაიპარა ბაზარზე და ფულად აქცია.

ნაბიბეგოვი დიდი გაქნილი ვაჭარია. მისი სავაჭროს წლიური ბრუნვა 110,000 მანეთს აღემატებოდა, მაგრამ დავთრებში ბრუნვის მეათედიც არ ტარდებოდა იმისათვის, რომ მსუნაგი ნაბიბეგოვი გადასახად გაქცეოდა. ნაბიბეგოვი მიმართავდა ათასგვარ სიყალბეებს.

ყალთაბანდმა ვაჭრებმა სახელმწიფოს აზარალეს რამდენიმე ათასი მანეთი, მაგრამ სამაგიეროს მათ მიუზღავს სასამართლო.

გერ.

შემთხვევები

შურისძიება

ბარბალე ელიზბარის ასულმა დევიძემ სამარხველი გამოუსვა კისერში ნადია იოსების ასულ თოფურიას. თოფურიას ქალი მსუბუქადაა დაჭრილი.

შეპყრობა

ქურდობისათვის დააპატიმრეს ნიკოლოზ ზაქარიასძე კვირიკაშვილი; — ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ზურაბ ვასილისძე შახოიანცი.

პატიმარის დაჭრა

გუშინწინ, ბზის მოედანზე მილიციელ სვანიშვილს გამსახლში მიყავდა პატიმრები ევდოკია და მიხეილ გუჯიევი. გზაში გუჯიევს მიეპარა ეფროსინე გუსიევა და დანით მძიმედ დასჭრა ზურგში. დამნაშავე შეიპყრეს. დაჭრილი გადააგზავნეს საავადმყოფოში.

ჩხუბის დროს

პეტრე - პავლეს ქუჩაზე ჩხუბის დროს ბახჩო არმენაკისძე ვართანოვმა დანით დაჭრა ანდრონიკ ვართანისძე გეურქოვი. დაჭრილი გადაგზავნეს საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

ქურდობა

გაქურდეს სოლომონ ხუდავერდოვის ბინა (სამურზაყანოს ქ. № 11); — გაქურდეს ბ. ხოშტარიას ბინა (არსენალის ქ. № 13); — რკინისგზის გადაღმა გაქურდეს ალ. ფეიქრიშვილის ბინა; — გაქურდეს ს. ტარიელოვის ბინა (ბუცილოვის ქ. № 15); — სპირიდონ მომცემლიძის საპარიკმახეროდან (რუსთ. პრ.) მოიპარეს 100 მ. ობლიგაციები და 50 მანეთის ნივთები; — გაქურდეს ვერა ქიქინაძის ბინა (იზმაილოვის ქ. № 2) და გრიგოლ ჩუბინიძის ბინა, (კობის ჩიხი № 11).

ავტომიმოსვლა

ავტო - მიმოსვლა ყველა გზატკეცილებზე გახსნილია

„ზაკავტოპრომტორგი“-ს ცნობით ავტომობილების მოძრაობა ყველა გზატკეცილებზე უკვე გახსნილია.

აქამდე საქართველოს სამხედრო გზაზე, იმის გამო, რომ კობის მახლობლად ჩამოწოლილი იყო დიდი ზვავი, ავტომობილების პირდაპირი მიმოსვლა თბილის—კავკავს შუა არ სწარმოებდა. ეხლა გზა გაწმენდილია და დაწესებულია რეგულიარული ავტო - მიმოსვლა.

ოსეთის სამხედრო გზაზე ავტომობილების მოძრაობა სწარმოებს ქუთაისიდან — შოვამდე.

თუ ზოგიერთი დაზიანებული ადგილები შეკეთებულ იქნა, მოსალოდნელია ავტო - მიმოსვლის მოწყობა ქუთაის — ბათუმანს შუა ზეკარის უღელტეხილით. (კვირაში ორჯერ).

წელს „ზაკავტოპრომტორგი“-ს ავტომობილების პარკი საგრძნობლად არის გაძლიერებული: მუშაობს 309 მანქანა, 32 მანქანით მეტი, ვინემ გასულ წელში. ეს 32 მანქანა მიღებულია წრეულს. გარდა ამისა, ამ დღეებში მიღებულ იქნა კიდევ „ზაურერის“ სისტემის 16 ავტომობილი.

ავიაქიმში

ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევა

საქ. თავდაცვა - ავიაქიმი შეუდგა ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევას.

გამოკვლეულია ქუთაისის, ახალციხის და ახალქალაქის სამაზრო ორგანიზაციების მუშაობა.

მოკლე ხანში დაიწყება ავტონომიურ ოლქების ავიაქიმის მუშაობის გამოკვლევა.

მესამე ავიოლატარია

საქ. ავიაქიმის ცნობით, მთლიანად გასაღებულია მესამე ავიოლატარიის ბილეთები.

ავიოლატარიის ტირაჟი შესდგება 22 ივნისს ქ. ლენინგრადში.

ბრძოლა მავნებლებთან

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საქმის გასაუმჯობესებლად საქ. ავიაქიმის სასოფლო - სამეურნეო სექციასთან დაარსდა პროფილაქტიური ბიურო, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს მავნებლებთან ბრძოლას.

მავნებლებთან საბრძოლველად გამოყენებული იქნება აეროპლანები.

რკინის გზებზე

თათბირი მოძრაობის საკითხებზე

ა.-კ. რკინის გზის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ახლო ხანში მოიწვიოს წევის და მოძრაობის დარგში მომუშავე რკინისგზელების თათბირი.

თათბირზე განხილული იქნება საკითხი, თუ რა საშუალებით შეიძლება გზაზე მატარებლების საშუალო დღიური სისწრაფის გადიდება.

გაფლანგვა

ბაქოს საბარგო სადგურის სალაროს რევიზიის დროს აღმოაჩინეს 1.857 მანეთის დანაკლისი. მოლარე გეგუჩაძემ უარი განაცხადა ახსნა - განმარტების მიცემაზე, ხოლო, როდესაც რევიზორები შეუდგნენ აქტის შედგენას, გეგუჩაძემ იძრო რევოლვერი და მოკვლა მოუნდომა რევიზორებს.

გეგუჩაძე განაიარაღეს და დააპატიმრეს. სალაროს რევიზია გრძელდება.

ასი ახალი ცისტერნა

გზათა სახ. კომისარიატის განკარგულებით ჩრდილოეთ - კავკასიის რკინის გზა ა.-კ. რკინის გზაზე აგზავნის ას ახალ ცისტერნას.

გამომცდელი კომისიები

ა.-კ. რკ. გზის პროფგანათლების განყოფილების კურსებთან თბილისში, ბაქოში, და ლენინაკანში ეწყობა სპეციალური გამომცდელი კომისია ექსტერნებისათვის.

საექსტერნო გამოცდებზე დაშვებული იქნებიან უმუშევარი რკინის გზელები, რომლებსაც გამოცდის ჩაბარების შემდეგ ჩარიცხავენ შრომის ბირჟაში იმ კვალიფიკაციით, რომელზედაც ისინი გამოცდას ჩააბარებენ.

ფეხბურთი

მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

კვირას, 9 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი და მეორე კატეგორიის გუნდების სამი კალენდარული შეჯიბრება.

დილის 8 საათზე თამაშობენ კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა და რკინისგზელთა პირველი გუნდები, დღის 1 საათზე — მედსანშრომის და ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა მეორე გუნდები, ხოლო საღამოს 5 ნახ. საათზე მილიციონერთა და მედსანშრომის მუშაკთა პირველი გუნდები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 7 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ნიკოლოზ გედევანიშვილი, ალექსანდრე ლალინოვი, მიხეილ დიაკოვი, არშალუის ბაგრამოვი, არჩილ მენთეშაშვილი, მარგარიტა კასპაროვა, თამარ გუგუშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ვახტანგ ლომაია, სოფიო შანიძე, აკაკი ცინცაძე, დავით ვაჩნაძე, ვალენტინა ეორუღლიანი, ვლადიმერ იუშკევიჩი, აშხენ თუმაჯანოვა, ლევონ სანტურჯიანი, ეფიმე ემინეიშვილი, მიხეილ ჯაფარიძე, მარიამ გაჟინსკაია, ბარბარე კეხაოპულო, ტატიანა ბაიუნოვა, ოლღა ზაბუკიძე, ლიდა იონოვა, ეკატერინე პაევსკაია, ელენე ოგანეზოვა, ევდოკია არჯევანიძე, ლიუბა მხატვრიშვილი, ელენე მიქელაძე—ჩხეიძისა, კონსტანტინე გუნდიევი, კონსტანტინე ერისთავი, შალვა სიხარულიძე.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ნიკოლოზ ძიძიგური, არსენ მოწონელიძე, აგრაფინა პასიკინა, სპირიდონ თვაური, ალექსი იგნატიევი, მარიამ კულინოვა, ნინო მარიამიძე, პარასკევა ვარილევსკაია, არ. ტეკანიანცი, შალვა გოშეჯიშვილი, ჰაიკა გასპაროვა, გალაკტიონ ხუციშვილი, ჰაილა გასპაროვა, გარიმა დოვლათბეგოვა, გიორგი ძამაშვილი, გიორგი ლოცლაშვილი, ზენდუქიძე, დოლუმოვი, ალექსანდრე შუგაევი, ილარიონ ჯაფარიძე, სამსონ მალაზერიძე, მირიან ანთიძე, ვლადიმერ კირვალიძე, [illegible] შვილი, ტიგრან აკოფოვი, [illegible]

მშენებელ მუშათა სექციიდან: ვართან მაკირტუმოვი, დიმიტრი ლაღიაშვილი, არჩილ ლაფერაშვილი, გაიკ ასრიანი, [illegible] სირაძე, სურენ არუთინიანი, მანუკ ოვანესიანცი, დავით კენჭუაშვილი, კირილე მაცუკატოვი, ბეგლარ გალიანი.

შავ მუშათა სექციიდან: ალექსანდრე პავლოვი, თედორე ბალოტინი, ამაიაკ ბაღდასაროვა, პელაგია ჯავახოვა, ირინე კურმატოვა, სთენიკ ასიანცი, ნინო ხაჩატუროვა, არშაკ ჩობალთანი, კარპოვი, საკიანი ბუძანევიჩი, ბუკოევი, კარაპეტ გალუსტოვი, გრიგორიანი.

მედსექციიდან: მარიამ გერტმანი, სიმა კუშენკო, ევა სულთანიშვილი, ალექსი ფილოვა, შალიბაშვილი.

უმუშევართა აღრიცხვა

8 ივნისს დასრულდება გონებრივ მუშაკთა სექციაში გატარებულ უმუშევართა აღრიცხვა.

10 ივნისს დაიწყება მშენებელ მუშათა სექციაში გატარებულ უმუშევართა აღრიცხვა.

ახალი კოლექტივი

შრომის ბირჟის კომიტეტმა გადასწყვიტა დაარსოს ტრანსპორტის მუშათა კოლექტივი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 8 ივნისს, დღის 11 საათზე რემდასის საქართველოს ცეკას შენობაში (კომინტერნის ქ. № 5) შესდგება რემდასის საქართველოს ცეკას პრეზიდიუმის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის: შ. ლეჟავა, ვ. სტურუა, თენგიზ ელენტი, სამსონ მამულია, ვარო ჯაფარიძე, ერ. ბედია, ვლ. თოდრია, მიხა ჩოდრიშვილი, ივ. ნაცვლიშვილი, ნიკ. ენუქიძე, მ. ცქვიტინიძე და ბესარიონ მუმლაძე.

—:—

თბ. ს. უნ-ვ. ა.ლ.კ.კ.-ის ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს აგრ. ფაკულტ. მე-3 და მე-4-ხე კურსის ა.ლ.კ.კ.-ის უჯრედის წევრ-კანდიდატებს დღეს, 7 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე გამოცხადდენ აგროფაკის შენობაში, დაუგვიანებლივ.

—:—

სახ. უნ-ვ. ა.ლ.კ.კ. № 5 უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს 7 ივნისს პარასკევს სახ. უნივერსიტეტის მთავარ შენობაში საღამოს 6 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის კრება (აუდ. № 58-ში). წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდენ დღის სრულ სამ საათზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მე-3-მე და მე-4-ხე კურსის ა.ლ.კ.კ.-ის უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს 7 ივნისს საღამოს სრულ 5 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რკ. გზ. მე-8 სკოლაში შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედის კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

დღეიდან, 10 ივნისამდე (10-ს ჩათვლით) დღის 1 საათ.—5 საათამდე სწარმოებს ამხ. ვ. ი. ლენინის სახელობის ს.ს.პ.-ის სამთო-ქიმიურ ფაკულტეტთან არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის იმ წევრთა რეგისტრაცია, რომელიც საზაფხულო არდადეგებზე, პრაქტიკაზე და სოფლებში მიემგზავრებიან.

დღესვე საღამოს 5 საათზე შესდგება ზემო ხსენებულ უჯრედის ბიუროს სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხ.: გალდავაძე, ლებანიძე, ესებუა, მინდიაშვილი და ოსაძე.

სამკურნალო ფაკულტეტის პარტ.-ბიურო, აცხადებს, რომ, დღეს 7 ივნისს, სრულ 4 საათზე შესდგება სამკურნალო ფაკულტეტის პარტიის წევრების და კანდიდატების კრება კომკავშირის აქტივთან ერთად, რომელსაც უნდა დაესწრონ მე-3, 4, 5, და 6 კურსის სტუდენტები—პარტიის და კომკავშირის წევრ კანდიდატები, აგრეთვე კომ-კავშირის ბიუროს და პროფკომის წევრები და კურსის რწმუნებულები. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

პარასკევს, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე შესდგება ლენინის სახელობის ს.ს.პ.ი. მექანიკური ფაკულტეტის კომუჯრედის ღია კრება.

—:—

სახ. უნ. სამკ. ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო აცხადებს, რომ 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე შესდგება ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა აქტივთან და კურსის რწმუნებულთან ერთად. ხოლო 8 ივნისს, საღ. 5 საათზე ბიუროს სხდომა და 7 საათზე ამავე უჯრედის კრება. 8 ივნისს ბიუროს სხდომაზე უნდა გამოცხადდენ წევრად გადასარიცხავი კანდიდატები.

კვირას, 9 ივნისს დღის 12 საათზე

საშა გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავად მის საფლავზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ვერა და შვილები—ლიონია და თინა და შვილიშვილი საშუნია გეგეჭკორები

ღრმათ დამწუხრებული დედა ნადია, სიძე ვასილი გეგეჭკორი შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ მათთვის დაუვიწყარი

საშა გეგეჭკორის

ხსოვნის აღსანიშნავათ კვირას, 9 ივნისს, 12 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

(შ)

გაუბედურებული მშობლები ოლა და გენო; და დედო და ძმა ვახტანგი დიდებულიძეები იუწყებიან, რომ საყვარელ შვილის

ლეო დიდებულიძეს

ხსოვნის აღსანიშნავად 8 ივნისს საღ. 6 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

2107

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ფეოდორა ალექსანდრეს ასული, ელენე, კონსტანტინე, ნადია და მუცუცა ერქომაიშვილები და კონსტანტინე დავითის ძე გოგიტიძე, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პირველი მეუღლის მეორენი მამის და მესამე სიმამრის

ფილიპე დავითის ძე ერქომაიშვილის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება საავადმყოფოდად (ყოფ. მიხეილის) რკ. გზის სადგურზე დანიშნულია პარასკევს, 7 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე დასაფლავება ქ. სოხუმში.

(ე)

ლიდია ივანეს ასული გოგიტიძისა, შვილებით: ივანე, მარგარიტა, კონსტანტინე, გრიგოლი, ლიუბა, სიძე აპოლონი ალანია იუწყებიან, რომ 6 ივნისს გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ფილიპე დავითის ძე ერქომაიშვილი

გამოსვენება მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან 7 ივნისს 5 საათზე სადგურზე.

სახაფხულო კინოები: ეთერი, სოლეი, კალასი, მინიონი, აპოლო, დარბაზი

ცნობილი ამერიკული ფილმი
ჩიკაგო
ეგდე ნისენი სურათში
გრიგალი
სეზონის საუკეთესო ფილმი
კოშკი
უკანასკნელი დღე
ვასილინა
კვირას სოლეიში და არფასტოში სეანსები დღისით

შაბათს, 8 ივნისს
გაიხსნება საუკეთესო
საზაფხულო
კინო-აპოლო
საზამთრო
კინო-დარბაზის
ბაღში
(პლეხანოვის პრ. № 91)
ეკრანზე უცხოეთის უკანასკნელი ახალი სურათი.
ნ. 2811

დღეიდან
საზაფხულო კინო ეთერში
და კინო სოლეიში
შესანიშნავი ფილმი
ჩიკაგო
რეჟისორები
ფრანკ ურსონი. და სესილ დემილი

მუშკოოპის
რწმუნებულთა
მე-17 კრება
გადადებულია
და შესდგება ა. წ. 8 ივნისს საღამოს 6 საათზე.
ნ. 2795 მუშკოოპის გამგეობა.

კომუნალური სახლების სამმართველო
იწვევს მშენებელ ორგანიზაციებს, სახელდობრ: სახელმწიფო კანტორებს, არტელებს და სხვ.
იჯარით სამმართველოს ყველა შენობათა კაპიტალური შეკეთება.
კაპიტალურ შეკეთებაში შედის: 1) შენობების გაფუჭებული ნაწილების, საძირკვლების, კედლების, სახურავებისა და სხვ. გამოცვლა, 2) კანალიზაციისა და წყალსადენის შეკეთება, 3) სახურავებისა და ხის გარეთა ნაწილების შეღებვა, 4) დანგრეული და მიტოვებული შენობების საცხოვრებელ ბინებად გადაკეთება.
ცნობებისა და პირობების მიღება შეიძლება კომუნალური სახლების სამმართველოში, ყოფილ თამამშევის ქარვასლაში, დღის 12 საათიდან 2 საათამდე ოთახი 33.
განცხადებათა მიღება იქვე 12 ივნისამდე ჩათვლით.
განცხადებას თან უნდა დაერთოს ცნობები კანტორების, არტელებისა და სხვ. სათანადო რეგისტრაციის შესახებ, აგრეთვე სათანადო კავშირების, ორგანიზაციების და სხვათა მიერ მოცემული დახასიათება,
ნ. 2810 კომუნალური სახლების სამმართველო.

იყიდება
საყინულე, ორი დიდი სარკე მაგიდით, ბუფეტი, ერთი საწოლი და დიდი ემალის ვანა. ნეკრასოვის ქუჩა. № 9.
2—1 2105

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე.
13—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5 25—18

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

ქ. თბილისის მე-5 რაიონის სასამართ. აღმასრულებ.

გ. გამაზოვი

აცხადებს, რომ ის 1929 წლის 11 ივნისს დღის 1 საათზე სახლში № 14-ში ყოფილ ვლადიმიროვის ქუჩაზე ნაძალადევში)

საჯარო ვაჭრობით გაყიდის არშაკ სერკოსძე დივანიანცის ქონებას: უფლებას ერთ მესამედზე—სახლისა, მდებარე ყოფილ ვლადიმეროვის ქუჩაზე № 14. მთელი სახლი შეფასებულია 5.000 მანეთად, და შეიცავს 10 ოთახს და სამ სამზარეულოს. ვაჭრობა დაინიშნა მარიამ დავიდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორისაგან 29 მარტს 1929 წ. თარიღით № 233 გაცემულ აღსრულებითი წარწერისა. გასასყიდი უფლება სახლს ერთმესამედზე შეფასებულია 1.650.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ს.ს. კოდექსის 311, 312, 316 და 317 მ. მ. დაცვით.

2094

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამ. აღმასრულ.

მ. ი. ქილიფთარი

ამით აცხადებს, რომ ის 1929 წ. 11 ივნისს დღისს 11 საათზე სახლში № 3 ტროცკის ქუჩაზე

საჯარო ვაჭრობით

გაყიდის გარდაცვალებულ გიორგი ანდრონიკაშვილის დანაშთ ქონებას: როიალს ფირმა „ბერშტეინ“-ისა, შკაფებს, პირსაბანს და სხვა ძვირფასს საოჯახო ნივთებს შეფასებულს 2.580 მან. ახალშენებათა კომიტეტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მაზრა-ქალაქის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტემბ. 1928 წ. თარიღით, № 403 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

2110

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

პროფ. მრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოზრდილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №2—73 25—6 12405-

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი ოდონტოლოგი
აპოლონ პავლეს ძე
ურუშაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე.
2014—13—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ.; საღამ. 6—7 საათ. ქალები, 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).
25—1

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 2237 შურა ნიკოლოზის ასული ჭანტურიძის სახელზე, ჩ. გ. 2098

დაკარგე: პარტბილეთი № 12797 მალაქია შონიას სახელზე, ჩ. გ. 2108

დაკარგე: პირადობის მოწმობა № 363 თერჯოლის თემ-აღმასკომიდან გაცემული დავით სევასტის-ძე მაკარიძის სახელზე, ჩ. გ. 2109

დაკარგე: პირადობის მოწმობა ტარასი ნიკოს-ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 2109

დაკარგე: სვირის 7 წლედიდან გაცემული მოწმობა № 59 და მეტრიკული ამონაწერი № 1848 ივანე ალექსანდრეს-ძე გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. 2109

დაკარგე: გან. კავშირის საწევრო წიგნაკი კახეთის განყოფილებიდან გაცემული № 16432 პოლიკარპე ნესტორის-ძე გორდაძის სახელზე, ჩ. გ. 2109

დაკარგე: 7 წლედის ატესტატი მე-2 შრომის სკოლისაგან № 745— ოლღა აქსენტის ასული გვიჩიას სახელზე, ჩ. გ. 2103

დაკარგე: პროფკავშირის წიგნაკი № 6199—ვერა ვახტანგის ასული სუკაჩევ-ერისთავის სახელზე, ჩ. გ. 2102

დაკარგე რ. გ. პირადობის მოწმობა № ზ/8 თამარა ზაუტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2111

დაკარგე ს მხედრო სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4, პირადობის მოწმობა თბილისის სახელმწიფო უნ. სამკურნალო ფაკულტეტის მიერ მიხეილ გაცემული სვიმონის-ძე გაბრიჩიძის სახელზე, ჩ. გ. 2113

დაკარგე: პირადობის მოწმობა და რკინის გზის წლიური ბილეთი შიო ნავროზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2102

დაკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 34941 ლეონიდე კალანდაძეს სახელზე, ჩ. გ. 2106

დაკარგე: პარტბილეთი № 0850100 ამვროსი ბრეგვაძეს სახელზე, ჩ. გ. 2101

დაკარგე: 7 წლედის ატესტატი გაცემული ქ. სამტრედიის რკ. გზის მე-2 შრომის სკოლისაგან № 499— სერგო ილიანის-ძე სიხარულიძეს სახელზე, ჩ. გ. 2104

დაკარგე: პასპორტი № 2288 ასლან კლიმიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2099

დაკარგე: პურის წიგნაკი № 94/5634—ანდრი ძაგანიას სახელზე, ჩ. გ. 2096

დაკარგე: მეტრიკული ამონაწერი კუკუ არაბელიძეს სახელზე, ჩ. გ. 2095

დაკარგე: რკ. გზ. კავშირის წიგნაკი № 4958 პეტრე რემანოზის-ძე ხვედელიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 2808

დაკარგე: პირადი წიგნაკი № 654 შიმყო კასაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2097

დაკარგე: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი სილოვან წიწავას სახელზე, ჩ. გ. 2097

დაკარგე: პარტიის საკანდიდატო მანდატი № 20098 თედორე ქიმ ვარდის-ძე ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. 210'

ტირაჟი—38,808 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამის ქუჩა № 63. მთავლიტი № 904.